

აკადემიური ნაშრომი

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული გეგმვის შეფასება



დეკემბერი
2020 წელი

გამოცემა მომზადდა პროექტის ფარგლებში „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის რეცენზირებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე იმუშავა ნანი ბენდელიანმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ანალიტიკოსმა.

აქ გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, SDC ან ADC ოფიციალურ პოზიციას.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები.

© 2020 UN Women

აკადემიური ნაშრომი

სახელმწიფო პროგრამა

„დანერგე მომავლის“ გენდერული
გეგმვის შეფასება



UN WOMEN

თბილისი, საქართველო,
დეკემბერი, 2020 წელი

ავტორები: ანამარია გოლემაკ პაუელი, მაკა ქიტანავა,
ნათია წიქვაძე, ნესტან გაფრინდაშვილი, დავით კეშელავა,
მარიამ ლობჯანიძე

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



With funding from

Austrian
Development
Cooperation


United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

სარჩევი

წინასიტყვაობა	6
მოკლე შეჯამება	8
თავი 1: GIA-ის კონტექსტი	12
ნაწილი 1: ზოგადი ინფორმაცია	13
1.1. მეთოდოლოგია	15
1.2. სოფლის მეურნეობის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში	18
1.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნები და გენდერული თანასწორობა	23
1.4. პროგრამები, რომლებსაც მართავს RDA – გენდერული პერსპექტივა	30
ნაწილი 2: „დანერგე მომავალი“ – პროგრამის მიზანი გენდერულ ასპექტში	34
ნაწილი 3: პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული შესაბამისობა	37
თავი 2: პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული ზეგავლენის ანალიზი	48
ნაწილი 4: პროგრამის გენდერული ანალიზი	49
ნაწილი 5: გამოვლენილი გენდერული გამოწვევები	60
თავი 3: შედეგების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება	63
ნაწილი 6: დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება	64
ნაწილი 7: რეკომენდაციები „დანერგე მომავლის“ გენდერული თანასწორობის კუთხით გაუმჯობესებისთვის	70
დანართი	80
დანართი 1: კვლევის პროცესში გამოყენებული დაინტერესებული მხარეების მატრიცა (გამოკითხული დაინტერესებული მხარეები)	81
დანართი 2: გამოყენებული ლიტერატურა	82
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება და პროგრამა „დანერგე მომავალი“	83
დანართი 4: პროგრამა „დანერგე მომავალი“ – ფინანსური დახმარების/სუბსიდიების კომპონენტები	84
დანართი 5: გენდერული თანასწორობა სოფლის მეურნეობაში – ლიტერატურის მიმოხილვა	87
დანართი 6: „დანერგე მომავლის“ შეჯამებული მონაცემები MEPA-ს 2019 წლის წლიური ანგარიშიდან	93
დანართი 7: მიწის ფართობი – პროგრამის ბენეფიციარების სიხშირის განაწილება სქესისა და წლის მიხედვით	95
დანართი 8: გენდერული პროფილი ტოპ 20 ბენეფიციარისთვის	96
დანართი 9: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები	97
ბიბლიოგრაფია	103

ბრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1.	მშპ-ში სექტორის წილი (%) და რეალური მშპ სოფლის მეურნეობის სექტორში (მილიარდი ლარი), 2010 – 2019 წწ.	22
გრაფიკი 2.	საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განაწილება სქესისა და საკუთრების ფორმის მიხედვით (%)	38
გრაფიკი 3.	ეკონომიკური აქტივობა ქალაქად და სოფლად (2019 წ.)	40
გრაფიკი 4.	ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში, გენდერის მიხედვით (2019 წ.)	41
გრაფიკი 5.	RDA-ისგან საშუალო დაფინანსება (%)	51
გრაფიკი 6.	პროგრამის ბენეფიციართა განაწილება მიღებული დაფინანსების ოდენობის მიხედვით (ათასი ლარი)	51
გრაფიკი 7.	ბენეფიციარების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით, 2015 – 2020 წწ.	53
გრაფიკი 8.	მონაწილეობა პროგრამის კომპონენტების მიხედვით	55
გრაფიკი 9.	მიწის განაწილება პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბენეფიციარებს შორის (%)	57
გრაფიკი 10.	1.5 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობის მქონე ბენეფიციარების რაოდენობა	57
გრაფიკი 11.	მწარმოებელთა შემოსავალი RDA-ს თანადაფინანსების თითოეულ ლარზე, მიწის ფართობის მიხედვით (ლარი)	59
გრაფიკი 12.	მწარმოებლების შემოსავალი რეგიონების მიხედვით RDA-ს მიერ 1 ლარის თანადაფინანსებაზე რეგიონების მიხედვით (ლარი)	59
გრაფიკი 13.	ქალი და კაცი ბენეფიციარების მონაწილეობის მაჩვენებელი (პროგრამის ბენეფიციარების მთლიანი რაოდენობის პროცენტული წილი)	71
გრაფიკი 14.	მიწის ფართობი კაცების შემთხვევაში	95
გრაფიკი 15.	მიწის ფართობი ქალების შემთხვევაში	95
გრაფიკი 16.	ტოპ 20 ბენეფიციარი ქალი	96
გრაფიკი 17.	ტოპ 20 ბენეფიციარი კაცი	96

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1.	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სამუშაო ძალის წილი გენდერულ ჯგუფში, 2019 წ.	21
ცხრილი 2.	ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების გენდერული შეფასება	27
ცხრილი 3.	RDA-ს მიერ მართული პროგრამები (2020 წ.)	31
ცხრილი 4.	პროგრამაში მონაწილეობის მაჩვენებლები სქესის მიხედვით	54
ცხრილი 5.	პროგრამა „დანერგე მომავალში“ მონაწილეთა საერთო რაოდენობა, 2015 – 2020 წწ.	56
ცხრილი 6.	ქალისა და კაცის მიერ შერჩეული კულტურები პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, 2015 – 2020 წწ.	58
ცხრილი 7.	სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, პროგრამა „ერთიანი აგროპროექტისთვის“ და პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“, 2018 – 2024 წწ.	78
ცხრილი 8.	„დანერგე მომავლის“ დაფინანსება 2020-2021 წლებისთვის და GIA-ის გუნდის პროგნოზები (წითლად)	79
ცხრილი 9.	სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები	83
ცხრილი 10.	ინფორმაცია პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ	93

აბრევიატურები

ADC	ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა
RDA	სოფლის განვითარების სააგენტო
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EIGE	გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი
EU	ევროკავშირი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
Geostat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
GIA	გენდერული ზეგავლენის შეფასება
GM	გენდერული მენისტრიმინგი
GoG	საქართველოს მთავრობა
GRB	გენდერული ბიუჯეტირება
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISSET-PI	ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
SDC	შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SIDA	შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო
SMEs	მცირე და საშუალო საწარმოები
SWOT	SWOT ანალიზი (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები)
UAP	ერთიანი აგროპროექტი
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
WEESC	ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში

წინასიტყვაობა

გენდერული ანალიზი სულ უფრო ხშირად გამოიყენება მთელ მსოფლიოში სახელმწიფო პოლიტიკისა და პროექტების შეფასების დროს. ის დამკვიდრდა როგორც საერთაშორისო განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ამჟამინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობაში, შეზღუდული რესურსებისა და სასურველი შედეგის მიღწევად ცვლილებების არეალის გაფართოების საჭიროების პირობებში, გენდერული ანალიზი ხელს უწყობს ინტერვენციების საბოლოო გავლენის გაძლიერებას და პოლიტიკის, პროგრამებისა და განვითარების სხვა ალტერნატივების ზემოქმედების შეფასებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის მათი გენდერული იდენტობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. გენდერული ანალიზი ითვალისწინებს გენდერის და იდენტობის სხვა მახასიათებლებს, რომლებიც მოქმედებს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. გენდერული ანალიზი ხელს უწყობს პოტენციური ზეგავლენის იდენტიფიცირებასა და შერბილებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის, როგორიცაა ქალი, კაცი, სხვადასხვა გენდერული იდენტობის ადამიანები და სხვა მონაცვლადი ჯგუფები. შესაბამისად, გენდერული ზეგავლენის ანალიზი არის თანასწორობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც მოითხოვს ტექნიკურ ცოდნასა და რესურსების გამოყოფას იმისთვის, რომ მთავრობამ შეიმუშავოს გენდერულად სამართლიანი და თანასწორი პროგრამები. გენდერული ზეგავლენის ანალიზი წარმოადგენს ასევე „კარგი მმართველობის“ ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ეფექტიან მმართველობაში საჯარო ინსტიტუტების მხარდაჭერას.

დონორებთან თანამშრომლობის დროს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით აღებული ვალდებულებების შესრულებას. მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის საჯარო მხარდაჭერა აღარ არის საკმარისი დონორებისთვის და მთავრობას მოეთხოვება, აჩვენოს გენდერული ასპექტების გათვალისწინება გენდერული ზემოქმედების ანალიზის შედეგად შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე ინ-

ფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების გზით. გენდერული საკითხების გათვალისწინებისთვის (მეინსტრუქტორებისთვის) საჭიროა თუნდაც ისეთი, შედარებით მარტივი გენდერული ზეგავლენის ანალიზის ჩატარება, როგორიცაა სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“ ჩატარებული ანალიზი. ასევე საჭიროა სახელმწიფოს მიერ უშუალოდ გენდერზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება. გენდერული ზეგავლენის შეფასება ხელს უწყობს პროგრამების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების ზრდას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დონორების დაფინანსების კოორდინირებულ მართვას და გენდერული კუთხით თანასწორი უფლებების გათვალისწინებას. საჯარო სექტორის ანგარიშებში გენდერული საკითხების ინტეგრაცია და გენდერული ზეგავლენის შეფასების სხვა საშუალებების გამოყენება საქართველოში მმართველობის პროცესს ბევრად უფრო მიმდევარს ხდის დონორებისათვის და საშუალებას იძლევა, უფრო მეტი და მრავალფეროვანი დაფინანსება მოვიზიდოთ როგორც ევროკავშირიდან, ისე ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სოფლის განვითარების სააგენტოს, სოფლის მეურნეობის პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერულ ანალიზს. იგი აღწერს მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მსგავსი პროგრამების გენდერული ანალიზის დროს. პროგრამის შესახებ მონაცემების ანალიზის გარდა, ანგარიში ხაზს უსვამს პროგრამის განხორციელების მიდგომებსა და გამოწვევებს, რადგან იზრდება ინტერესი სხვა სექტორებში გენდერული ანალიზის ჩატარების მიმართ და ამ ანალიზის შედეგები ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნება მომავალში მსგავსი ანალიზის ჩატარების დროს. აღსანიშნავია, რომ გენდერული ანალიზის საშუალებით, როგორც ცალკე, ისე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტის მეშვეობით, შესაძლებელია, განისაზღვროს ზეგავლენა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე და მოხდეს მონაცვლადი ჯგუფების გაძლიერება, მათი ინკლუზიურობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის გზით.

მეტიც, ამ ტიპის თანასწორობის ზეგავლენის შეფასება გვაძლევს მექანიზმს, თანასწორობის საკითხები პოლიტიკის შემუშავებისა და გადანაცვ-
ტილების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდეს, რაც მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე არსებული ინფორმაციის უფრო სიღრმისეულად და სტრუქტურულად გაანალიზების საშუალებას იძლევა. თანასწორობის გაძლიერება/წახალისება

საჯარო სექტორის მოვალეობაა, ამიტომ ქვეყ-
ნის მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს გენდერული ზეგავლენის შეფასების ჩატარებით. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სექტორის ყველა რგოლმა გამოიყენოს ეს მექანიზმი ახალი, განახლებული თუ მოქმედი პოლიტიკისა თუ პრო-
გრამის შეფასებისას.

მოკლე შეჯამება

პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული ზემოქმედების შეფასება (GIA) ჩატარდა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, პროექტის „რეგულირების ზეგავლენის შეფასება და გენდერული ზეგავლენის შეფასება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის საქართველოში“. ეს კვლევა წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მიერ ინიცირებულ და სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) მიერ განხორციელებული პროგრამა „დანერგე მომავლის“ ექს-ანტე (ex-ante) GIA-ს. პროგრამა „დანერგე მომავალი“ MEPA-მ დაიწყო 2015 წელს და ხორციელდება ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. პროგრამა მხარს უჭერს სანერგეებისა და მრავალწლიანი ბაღების გაშენებას რეგიონებში და ამჟამად სთავაზობს ბენეფიციარებს ფინანსურ მხარდაჭერას/სუბსიდირებას სამი ცალკეული კომპონენტისთვის: (1) მრავალწლიანი ბაღები, (2) სანერგეები და (3) სეტყვის საინააღმდეგო სისტემების დამონტაჟება და/ან ჭაბურღილის/ჭაბურღილის სატუმბი სადგურის მოწყობა.

ამ GIA-ის ერთ-ერთი პირველი დასკვნაა, რომ პროგრამა „დანერგე მომავლის“ მიზნები, ძირითადად, ძალიან ზოგადია და პროგრამას არ გააჩნია სპეციალურად განსაზღვრული გენდერული მიზნები. პროგრამის შედეგები და ინდიკატორები არ ითვალისწინებს ასევე გენდერულ ასპექტებს. ანალიზი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პოლიტიკის შემქმნელები პროგრამას განიხილავენ როგორც გენდერულად ნეიტრალურსა და არადისკრიმინაციულს, რადგან ის საშუალებას აძლევს ყველას, სქესის განურჩევლად, მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში და, მათი აზრით, პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა სამიზნე ჯგუფისათვის. იგი, ერთი შეხედვით, გამიზნულად არ უქმნის ბარიერებს პოტენციურ მონაწილეებს.

ამასთან, საქართველოში რესურსების (მიწის და უძრავი ქონების საკუთრება, ფინანსური რესურსის ნაკლებობა, ქალების შეზღუდული წვდომა კრედიტზე და ა.შ.) თვალსაზრისით არსებული გენ-

დერული განსხვავებების გათვალისწინებით, გენდერული კუთხით საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, პროგრამა რეალურად შეიძლება განხილულ იქნას როგორც „გენდერულად ბრმა“, რადგან ის ხშირად უგულებელყოფს ქალისა და კაცის განსხვავებულ როლებს, შესაძლებლობებს, არსებულ უთანასწორობას, ძირითად საჭიროებებსა და კონტექსტს. ამ გამოწვევების გადაჭრისა და ქალების გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებების სიმცირე მიუთითებს იმაზე, რომ საჯარო დაწესებულებები მსუბუქად უდგებიან გენდერულ საკითხებს და ძირითადად პროგრამაში ქალების მონაწილეობის შესახებ რაოდენობრივი მონაცემის შეგროვებით შემოიფარგლებიან. ეს შეიძლება მეტყველებდეს იმაზეც, რომ ხშირად საჯარო დაწესებულებები ვერ ახერხებენ, უფრო კომპლექსურად მიუდგნენ გენდერული თანასწორობის საკითხს, რადგან სააგენტოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გენდერული მენისტიმინგის ინტეგრირების პროცესის საწყის ეტაპზეა.

ამრიგად, ამ კვლევის ფარგლებში ჩატარდა პროგრამის საბაზისო ანალიზი, მოხდა არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება გენდერული თანასწორობის კუთხით და გამოვლინდა პროგრამის მიერ გენდერული ტრანსფორმაციის გაზრდისა და შეფასების გზები.

საერთო ჯამში, დადგინდა, რომ პროგრამა წარმატებით ახერხებს მისი ძირითადი მიზნის შესრულებას, რაც გულისხმობს მცირემიწიანი ფერმერების მხარდაჭერას, მონაწილეობა მიიღონ საქართველოში სოფლის განვითარებასა და სოფლის მეურნეობაში. მართალია, პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ოდნავ მაღალ თანადაფინანსებას სთავაზობს, მაგრამ პროგრამის ბენეფიციართა უმეტესობა მაინც ინდივიდუალური ფერმერია. ამასთან, როდესაც საქმე ეხება გენდერული გამოწვევების გადაჭრასა და პროგრამის მონაწილეთა საერთო გენდერულ დაყოფას, ფიქსირდება განსხვავებები ისეთი ცვლადების მიხედვით როგორიცაა მიწის ფართობი, კულტურები, პროგრამის ქვეკომპონენტები და რეგიონები. განსაკუთრებით გამოიკვეთა გენდერული თანასწორობის შემდეგი საკითხები:

- პროგრამის მონაწილეთა გენდერული განაწილება მიკერძოებულია კაცი ბენეფიციარების მიმართ;
- კაცი და ქალი ბენეფიციარების მიერ მიღებული საშუალო სუბსიდიები და დაფინანსების ოდენობა მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მათი მიღების წინაპირობები უპირატესობას ანიჭებს კაცებს, ვინაიდან არ ითვალისწინებს ბევრ კულტურულ დაბრკოლებას, რომელთა გადალახვაც ბენეფიციარ ქალებს სჭირდებათ პროგრამაში ჩასართავად;
- პროგრამაში ჩართული კაცების მიწის საშუალო ფართობი უფრო მაღალია, ვიდრე ქალების;
- არსებული კონტექსტისა და ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, ქალები ნაკლებად ირჩევენ კაპიტალიზაციის ნარმოებს;
- ქალებისა და კაცების მონაწილეობა პროგრამაში განსხვავდება ქვეკომპონენტების მიხედვით. კერძოდ, გენდერული განსხვავება საკმაოდ მაღალია ბაღის კომპონენტისთვის, ქალების მონაწილეობა განსაკუთრებით მაღალია კენკრის ქვეკომპონენტისთვის, რადგან კენკრის წარმოება ფერმერებს საშუალებას აძლევს, უფრო მცირე ფართობზე აწარმოონ პროდუქტი ნაკლები რესურსით;
- ქალთა მონაწილეობის რეგიონული განაწილება არ არის ერთგვაროვანი. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციართა დიდი ნაწილი შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან არის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბენეფიციარი ქალების წილი, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მაღალია.

GIA-ის განხორციელება იყო დროში შეზღუდული. მასზე გავლენა მოახდინა COVID-19-ის პანდემიამაც, რადგან ვეღარ მოხერხდა პროგრამის ბენეფიციარებთან პირისპირ ინტერვიუების ჩატარება. თუმცა არსებული სტატისტიკური მონაცემების სიღრმისეულმა ანალიზმა და მეორადი წყაროების მიმოხილვამ პროგრამაში ქალთა მონაწილეობის დაბალი დონის გამომწვევი ისეთი მიზეზები გამოავლინა, როგორიცაა არსებული გენდერული ნორმებით დაწესებული შეზღუდვები, ცოდნის არათანაბარი ხელმისაწვდომობა, მიწის

არათანაბარი გენდერული განაწილება, ქონებით უზრუნველყოფის საშუალებების ნაკლებობა და ფინანსების არათანაბარი ხელმისაწვდომობა. ზოგიერთი შეზღუდვა წარმოდგენილია ქვემოთ:

- პროგრამა „დანერგე მომავლის“ თანადაფინანსების კომპონენტის მოთხოვნაა, ბენეფიციარი ფლობდეს მიწას ან ჰქონდეს გრძელვადიანი იჯარა, რაც ქალებისთვის პროგრამაში მონაწილეობის ბარიერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქონების მეპატრონეებად რეგისტრირებული ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც ქალებს საჭირო ფინანსური რესურსის მიღების პროცესში არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს;
- ქალები ძირითადად ფლობენ უფრო მცირე ზომის მიწის ნაკვეთებს და ფინანსებზე წვდომაც შეზღუდული აქვთ;
- ფერმერებს არ აქვთ თანაბარი წვდომა საირიგაციო შეღავათებზე და, როგორც წესი, ქალთა საჭიროებები და ინტერესები უგულებელყოფილია სარწყავი სისტემის დიზაინისა და უზრუნველყოფის ეტაპებზე;
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა „დანერგე მომავალი“ სთავაზობს მიწის მესაკუთრეებს ფინანსურ დახმარებას, სუბსიდიებს აქვს შეზღუდვები და შესაძლოა მონაწილეებს კიდევ დასჭირდეთ დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება პროექტის განსახორციელებლად;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებიც საშუალოდ უფრო დიდ მიწის ნაკვეთებს ფლობენ, ვიდრე ინდივიდუალური ბენეფიციარები, არ არიან აქტიურად ჩართული პროგრამაში და ძირითადად წარმოდგენილი არიან კაცებით.

გემოაღნიშნული გამომწვევების გათვალისწინებითა და შემოთავაზებული ალტერნატივების გავლენების შეფასების შემდეგ, GIA-ის გუნდმა ჩამოაყალიბა ორი ყველაზე ხარჯ-ეფექტური ალტერნატივა და შეაფასა მათი გენდერული ზეგავლენა სტატუს-კვოსთან¹ შედარებით.

1 სტატუს-კვო სცენარში ნავარაუდევია, რომ RDA არ გააუმჯობესებს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას პროგრამის მიზნებში და ქალებისა და კაცების

მონაწილეობის მაჩვენებლებში წარჩენდება არსებული ტენდენცია.

ამ GIA-ის ფარგლებში მოხდა შემდეგი ალტერნატივების განხილვა:

პოლიტიკის ალტერნატივა 0. სტატუს-კვო: პროგრამის დიზაინი არ იცვლება და მიმდინარე ტენდენციები ნარჩუნდება მომავალშიც

პოლიტიკის ალტერნატივა 1: გენდერულ ანალიზზე დაფუძნებული გენდერული რეაგირების (გენდერულად მგრძნობიარე) კრიტერიუმების დანერგვა პროგრამა „დანერგე მომავალში“ და გენდერული თანასწორობისა და ანალიზის კუთხით საჯარო ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება.

ალტერნატივა 1.1: ტრადიციული საოჯახო/საარსებო მეურნეობა: RDA-მ შეიძლება გადანაცვლოს, რომ შეამციროს პროგრამაში მცირემიწიან ქალებსა და კაცებს შორის არსებული სხვაობა პროგრამაში მონაწილეობის კუთხით და, შესაბამისად, აირჩიოს ტრადიციული საოჯახო/საარსებო მეურნეობის² მხარდაჭერა.

ეს ალტერნატივა ასოცირდება შემდეგ შესაძლებლობებთან:

- გენდერული ასპექტების გათვალისწინება – პროგრამაში ქალების მონაწილეობის გაზრდა და ეკონომიკური გამოწვევების დაძლევა სოფლის მეურნეობაში;

- გენდერული მგრძნობელობის გაზრდა და ძირითადი მონაწილე/დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება;
- მეტი ყურადღების გამახვილება გენდერული გავლენისა და მომგებიანობის შეფასებაზე;
- პროგრამის ეფექტურობის გაზრდა პროგრამის ბიუჯეტის უფრო ეფექტურად განაწილებით და ინფორმაციის უკეთ გაზიარებით.

ალტერნატივა 1.2: წარმოების კომერციალიზაცია³: RDA-მ შეიძლება გადანაცვლოს გენდერული თანასწორობის შემცირება სასოფლო-სამეურნეო კულტურების არჩევისა და თანმდევი დაფინანსების კუთხით. ეს ალტერნატივა შეიძლება ბევრად უფრო ეფექტური იყოს პროგრამის იმ მიზნის შესრულებაში, რომელიც აქცენტს სექტორის კომერციალიზაციის მხარდაჭერასა და ამ გზით ეკონომიკურ ზრდაში სოფლის განვითარების წვლილის ზრდას ეხება.

ეს ალტერნატივა ასოცირდება შემდეგ შესაძლებლობებთან:

- გენდერული ასპექტების გათვალისწინება – პროგრამაში ქალების მონაწილეობის ზრდა და ეკონომიკური გამოწვევების დაძლევა სოფლის მეურნეობაში;
- პროგრამების გენდერული მგრძნობელობის გაზრდა ყველა დაინტერესებული მხარის შემთხვევაში;
- პროგრამის ტრანსფორმაციული შესაძლებლობების გაზრდა;

2 ამ ალტერნატივის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ისეთ რესურსებზე წვდომაზე, როგორიცაა მიწა, მინის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება იმ შესაკუთრებისთვის, რომლებსაც აქვთ 1.25 ჰა ან ნაკლები ფართობი მინის ნაკვეთი დაბლობში და 5 ჰა მთაში. ექსტენციის ცენტრებს შეუძლიათ დაეხმარონ პოტენციურ ბენეფიციარებს, გააცნობიერონ თავიანთი უფლებები მინის საკუთრების თვალსაზრისით და მიიღონ აქტიური მონაწილეობა მინის რეგისტრაციის რეფორმაში.

3 კომერციალიზაციამ თავდაპირველად შეიძლება გამოიწვიოს უკვე არსებული გენდერული დისბალანსის კიდევ უფრო მეტად გაზრდა; ამასთან, ეს ძირითადად დამოკიდებულია პროგრამების უნარზე, აღმოფხვრას გენდერულ როლებთან დაკავშირებული გამოწვევები. კომერციულ მეურნეობაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, RDA-მ უნდა

შექმნას სხვა დამხმარე მექანიზმები, რომლებიც არამართო უზრუნველყოფს ქალების მონაწილეობას პროგრამაში, არამედ გაზრდის მათ მიერ მიღებულ მოგებას. RDA-მ უნდა დაიწყოს სხვა ისეთი ძირითადი ცვლადების იდენტიფიცირება, რომლებიც ამუშავდნენ სოფლის მეურნეობის დარგში კომერციალიზაციის ხელშეწყობი პროგრამების შემუშავებას ზღუდავს. ამასთან, ამ ტიპის პროგრამებისკენ ნაბიჯის გადასადგმელად, RDA-მ უნდა გააუმჯობესოს თავისი შესაძლებლობები სოფლის მეურნეობის სექტორში გენდერისა და თანასწორობის მნიშვნელობის გააზრების თვალსაზრისით და დაიწყოს მუშაობა უფრო სრულყოფილი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით, რათა გამოავლინოს ამ პროგრამაში ბენეფიციარების მონაწილეობაზე, შედეგებსა და პროდუქტიულობაზე მოქმედი ფაქტორები.

- ყურადღების უფრო მეტად გამახვილება გენდერული გავლენისა და მომგებიანობის შეფასებაზე;
- პროგრამის ეფექტურობის გაზრდა პროგრამის ბიუჯეტის უფრო ეფექტურად განაწილების, ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად მიღებული ზომებისა და ინფორმაციის უკეთ გაზიარების შედეგად;
- ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა სოფლის განვითარების პროცესში;
- მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის;
- ქალებისთვის პროგრამაზე, ცოდნაზე, რესურ-

სებზე, ფინანსებსა და გრანტებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კაცებთან მიმართებით.

პროგრამაში ცვლილებების შეთავაზებისას და ამ და სხვა პროგრამებში გენდერის ინტეგრირებისთვის, გუნდმა გაითვალისწინა მიმდინარე ფინანსური პროცესები და თანხების განაწილება, რადგან ორივე ალტერნატივაში რამდენიმე აქტივობა შეიძლება მოითხოვდეს დამატებით ფინანსურ და/ან ადამიანურ რესურსს. ამასთან, ზოგადი რეკომენდაცია ფოკუსირებულია არსებული სახსრებისა და რესურსების უკეთ გამოყენებაზე, ვიდრე დამატებითი თანხების მოთხოვნაზე.

GIA-ის პრინციპები

ნაწილი 1: ზოგადი ინფორმაცია

ეკონომიკაში ქალთა მონაწილეობის ნაკლებობა ზიანს აყენებს ეკონომიკურ ზრდას. ზოგიერთი კვლევის თანახმად, **მენარმეობისა და ლიდერობის გაუმჯობესებით ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნასა და კეთილდღეობას**⁴. მსოფლიო ბანკმა დაადგინა, რომ ქალების ეკონომიკური ჩართულობის დაბალი დონე მშპ-ს საქართველოში 12%-ით და სომხეთში კი 14%-ით ამცირებს⁵. სხვა კვლევების თანახმად, ეკონომიკა და ფირმები უფრო ეფექტური ხდებიან ქალების ეკონომიკური ჩართულობის ზრდასთან ერთად⁶. მეტიც, ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის ბარიერები, დიდი ალბათობით, აწელებს ინოვაციებს, რადგან ქალების შესაძლებლობები ეფექტურად არ არის განაწილებული და გამოყენებული. სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ინოვაციების შენელება განსაკუთრებით პრობლემური შეიძლება იყოს, რადგან ამ რეგიონში ქალები იმავე განათლებას იღებენ, რასაც მათი თანატოლი კაცები.

წმინდა ეკონომიკური გავლენის გარდა, ქალთა ეკონომიკური საქმიანობა განვითარების რამდენიმე დამატებით პოზიტიურ შედეგთანაც ასოცირდება. ზოგადად, გენდერული თანასწორობა ადამიანის განვითარების ინდიკატორებთან ასოცირდება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ, როდესაც ქალები აკონ-

ტროლებენ საყოფაცხოვრებო შემოსავლების მეტ წილს, ხარჯები იზრდება ბავშვების სასარგებლოდ; მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალების ეკონომიკური საქმიანობა სულაც არ უკავშირდება რესურსებზე კონტროლს, მას აქვს პოტენციალი, გაზარდოს ქალების როლი და მნიშვნელობა შინამეურნეოებში. ეს კი დადებითად აისახება ბავშვების კვებასა და განათლებაზე, რასაც გრძელვადიანი პოზიტიური გეგავლენა აქვს ეკონომიკაზე.

არაფორმალური, ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკა ქალებისათვის ხშირად შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში. არაფორმალური სამუშაო შეიძლება მოიცავდეს ისეთ თვითდასაქმებულებს, როგორიცაა გარე მოვაჭრეები და საარსებო მეურნეობაში ჩართული ადამიანები, ასევე ანაზღაურების სანაცვლოდ მომუშავე ადამიანებს, რომლებიც სეზონურად არიან დასაქმებულები სოფლის მეურნეობის სექტორში და საოჯახო მეურნეობაში. ასეთი ტიპის სამუშაო ითვლება არაფორმალურად, რადგან მასზე არ ვრცელდება შრომის კანონმდებლობა და შესაბამისი წესების დაცვა. შედეგად, ასეთი მუშაკები, როგორც წესი, იღებენ დაბალ ანაზღაურებას და მათი სამუშაო პირობები შესაძლოა არ იყოს უსაფრთხო. ისინი ვერ სარგებლობენ სოციალური შეღავათებით, როგორიცაა პენსია, შვებულება და ჯანმრთელობის დაზღვევა. არაფორმალურ დასაქმებაში ჩართული ქალები შეიძლება გახდნენ დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლი⁷. სამხრეთ კავკასიაში მოწყვლადი დასაქმების⁸ საერთო მაჩვენებლები

4 OECD, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გადრმავება მენარმეობისა და ბიზნესის ლიდერობის მეშვეობით OECD ქვეყნებში (2014 წ.). ხელმისაწვდომია: http://www.oecd.org/gender/Enhancing%20Women%20Economic%20Empowerment_Fin_1_Oct_2014.pdf

5 მერსი ტემბონი, ზემის მიღმა – ქალებისთვის ბარიერების შემცირება სამხრეთ კავკასიაში (მსოფლიო ბანკი, 2017 წ.). ხელმისაწვდომია: <http://blogs.worldbank.org/europeandcentralasia/beyond-celebrating-removing-barriers-women-south-caucasus>

6 რეიჩელ ჰიტი, „ქალთა ხელმისაწვდომობა შრომის ბაზრის შესაძლებლობებზე, საყოფაცხოვრებო რესურსების კონტროლი და ოჯახში ძალადობა“, პოლიტიკის დოკუმენტი, No 6149 (მსოფლიო ბანკი, 2012 წ.). ხელმისაწვდომია: <http://hdl.handle.net/10986/11987>

7 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მსოფლიოს ქალთა პროგრესი 2015-2016 წწ. ასევე იხილეთ: გენერალური მდივნის მოხსენება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სამუშაოები ცვალებად სამყაროში (E/CN.6/2017/3, 2016 წლის დეკემბერი).

8 მოწყვლადი დასაქმება არის საოჯახო მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირებისა და დამოუკიდებელი მუშაკების წილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. ანაზღაურების სანაცვლოდ მომუშავე და ხელფასის მქონე მშრომელთა დიდი წილი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. საოჯახო მეურნეობაში მომუშავე ადამიანების დიდი წილი შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობა მსხვილი სექტორია და ფორმალური ეკონომიკა წელი ტემპით იზრდება. ოჯახის წევრების შრომის გამოყენება ზოგადად არაანაზღაურებადი, თუმცა შესაძლოა ირიბად კომპენსირდებოდეს ოჯახის შემოსავლით. ამგვარი მდგომარეობა მიუთითებს სუსტ

მაღალია. მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, ქალთა დასაქმების შემთხვევების 42% მოწყვლად დასაქმებას წარმოადგენს სომხეთში. ანალოგიური მაჩვენებელი აზერბაიჯანში 61%-ს შეადგენს, ხოლო საქართველოში – 57%-ს⁹.

არაფორმალური დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ფორმაა საოჯახო საქმიანობაში წვლილის შეტანა. გლობალურად, საოჯახო ბიზნესებსა თუ ფერმებში უსასყიდლოდ დასაქმებულთა 63% ქალია. სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ხშირია საკუთარი ოჯახის წევრების ჩართვა და სწორედ ოჯახის წევრები წარმოადგენენ დასაქმებულთა დიდ ნაწილს სოფლის მეურნეობაში; ამ დასაქმებულებში ბევრი ქალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამივე ქვეყანაში ქალების დასაქმება სოფლის მეურნეობაში მოწყვლად დასაქმებას წარმოადგენს¹⁰.

რეგიონში გენდერული უთანასწორობა ხშირად ყველაზე მწვავედ სოფლებში დგას¹¹. CEDAW-ის კომიტეტი „სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების შესახებ“ 34-ე ზოგად რეკომენდაციაში (2016 წ.) აღნიშნავს, რომ სოფლად მცხოვრები ქალები ყველა გენდერული და განვითარების მაჩვენებლით ჩამორჩებიან სოფლად მცხოვრებ კაცებს და ქალაქში მცხოვრებ ქალებსა და კაცებს. ქალები უფრო ხშირად ცხოვრობენ სიღარიბეში და გარიყული არიან საზოგადოებისგან/თემისგან. მიწასა და ბუნებრივ რესურსებზე წვდომის კუთხით სისტემური დისკრიმინაციის გარდა, კომიტეტი

ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ფორმალურად დასაქმების შემთხვევაშიც კი, ქალები უფრო ხშირად ეწევიან არასაიმედო, სახიფათო, ცუდად ანაზღაურებად სამუშაოებს და არ არიან სოციალური დაცვის სისტემის ქვეშ.

საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორი საარსებო წარმოებით, დაბალი პროდუქტიულობითა და კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი შემოსავლის უმეტეს ნაწილს სოფლის მეურნეობიდან იღებს, სექტორს მშპ-ში 10%-ზე ნაკლები წვლილი აქვს და ექსპორტი მხოლოდ სოფლის მეურნეობის იმპორტის¹² დაახლოებით მესამედს შეადგენს. სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებულმა პროდუქტიულობამ და კომერციალიზაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სიღარიბის დაძლევაში, გენდერული უთანასწორობის შემცირებასა და სოციალურ განვითარებაში. ამისათვის საჭიროა მწარმოებლის უნარების გაუმჯობესება და ბაზრებში მცირემიწიანი ფერმერების ჩართულობის გაზრდა. ამასთან, მცირემიწიან ფერმერებს, განსაკუთრებით ქალებს, ხშირად არ აქვთ წვდომა არსებულ სერვისებზე. ისინი იყენებენ წარმოების მოძველებულ მეთოდებს წარმოების თანამედროვე მეთოდებთან ნაკლები წვდომის გამო. კვლევით დადგენილია, რომ სოფლის მეურნეობაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას შეუძლია, რამდენიმე პროცენტული პუნქტით გაზარდოს გამოშვება სოფლის მეურნეობაში¹³.

განვითარებაზე, სამუშაო ადგილების ნაკლებობასა და სოფლის ეკონომიკის დიდ მასშტაბზე. დასაქმებულთა თითოეული ჯგუფი განსხვავებული ეკონომიკური რისკის წინაშე დგას, საოჯახო მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირები და დამოუკიდებელი მუშაკები კი ყველაზე დაუცველები არიან და, შესაბამისად, მათ შემთხვევაში დიდია სიღარიბის რისკი. ამ კატეგორიას ყველაზე ნაკლებად აქვს ოფიციალური სამუშაო შეთანხმებები სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების ბერკეტებით ეკონომიკური მოკისგან თავის დასაცავად და ისინი ხშირად ვერ ახერხებენ საკმარისი დანაზოგის გამოთქმას ამ მოკის კომპენსაციისთვის. წყარო: მსოფლიო ბანკი. ხელმისაწვდომია: <https://data.worldbank.org/indicator/SL.EMP.VULN.FE.ZS>

9 ინდიკატორები მოცემულია მსოფლიო ბანკის 2017 წლის მონაცემების მიხედვით. ხელმისაწვდომია: <http://data.worldbank.org>

10 UNDP, ადამიანის განვითარების რეგიონული ანგარიში, პროგრესი რისკის ქვეშ: უთანასწორობა და ადამიანის განვითარება აღმოსავლეთ ევროპაში, თურქეთსა და ცენტრალურ აზიაში (2016 წ.).

11 მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის თანახმად, 2015 წელს სოფლად მცხოვრები მოსახლეობა სომხეთის მოსახლეობის 37%-ს, აზერბაიჯანის მოსახლეობის 45%-ს და საქართველოს მოსახლეობის 46%-ს შეადგენდა. ხელმისაწვდომია: <http://data.worldbank.org>

12 საქსტატი: www.geostat.ge

13 FAO, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2010-2011 წწ-ში (რომი, 2011 წ.) ხელმისაწვდომია: <http://www.fao.org/docrep/013/i2050e/i2050e00.htm>

ევროკომისიის განმარტებით, GIA¹⁴ არის „წარდგენილი რეგულაციის მოსალოდნელი შედეგებისა და არსებული ვითარების გენდერისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მიხედვით შედარებისა და შეფასების პროცესი. [...] გენდერული ზეგავლენის შეფასება არის გენდერული თანასწორობის მისაღწევად განხორციელებული ნებისმიერი რეგულაციის ან ღონისძიების სხვადასხვა გავლენის (დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური) შეფასება. [...]“ ვინაიდან GIA საქართველოში არ არის კარგად დამკვიდრებული, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ISET-ის კვლევით ინსტიტუტთან ერთად სცადა, GIA-ის მეთოდოლოგია ეროვნულ ინსტიტუტებში პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების პროცესისთვის მოერგო და მინიმუმ ერთი სახელმწიფო პროგრამის ან სტრატეგიის GIA ჩაეთარებინა. ეს შეფასება სოფლის მეურნეობის სექტორით დაიწყო.

პროგრამა „დანერგე მომავალი“, რომელიც დაიწყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მიერ და ხორციელდება სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) მიერ, არის პირველი პროექტი, რომელზეც ტარდება საპილოტე GIA. ეს კვლევა წარმოადგენს ექს-ანტე GIA-ს (ex-ante GIA). ამ GIA-ის ფარგლებში ჩატარდა პროგრამა „დანერგე მომავლის“ საბაზისო (მიმდინარე) მდგომარეობის ანალიზი, გამოვლინდა გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული ხარვეზები და შემუშავდა და შეფასდა ამ ხარვეზების გამოსწორების გზები.

1.1. მეთოდოლოგია

მიმდინარე GIA-ის მიზანია, დაეხმაროს საჯარო მოხელეებს/კანონმდებლებს, გაითვალისწინონ გენდერული ასპექტები თავის პროგრამებსა და პოლიტიკაში, რათა მოხდეს პროგრამების სამიზნე აუდიტორიის განსხვავებული საჭიროებების, მახასიათებლებისა და ქცევის გათვალისწინება. იდეალურ შემთხვევაში, ეს უნდა გაკეთდეს გადამწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, რა-

თა, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს პოლიტიკა. ამ შემთხვევაში, პარტნიორებსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად გადაწყდა, რომ GIA-ის ჩატარება მიმდინარე პროგრამაზე სასარგებლო იქნებოდა, როგორც ხარვეზების დადგენის თვალსაზრისით, ისე პროგრამის იმ კომპონენტების განსაზღვრის კუთხით, რომელთა გაუმჯობესებაც შესაძლებელია. ინიციატივის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანია, შეამოწმოს და საბოლოოდ განსაზღვროს ის მეთოდოლოგია, რომლითაც იხელმძღვანელებს მთავრობა და შეადარებს, რამდენად უქმნის მის მიერ შემუშავებული პოლიტიკა თანაბარ შესაძლებლობებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს. ეს მეთოდოლოგია უნდა დაეხმაროს პოლიტიკის შემქმნელთ, სწორად განსაჯონ, საზოგადოების ყველა ჯგუფზე თანაბრად მოქმედებს თუ არა სახელმწიფო პროგრამები.

პროგრამა „დანერგე მომავლის“ GIA მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეებისთვის იმ ძირითადი საკითხების ხაზგასმას, რომელიც დაანახებდა მათ, რამდენად მოხერხდა პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების თითოეულ ეტაპზე გენდერული თანასწორობის/გენდერული ინტეგრაციის გათვალისწინება. შესაბამისად, GIA-ის მსვლელობისას მოხდა გენდერული ინტეგრაციის ხარისხის გაანალიზება პროგრამის კონკრეტულ ეტაპებისათვის. კერძოდ:

- პრობლემისა და მიზნების განსაზღვრა:
 - ✓ იმ მიზნების განსაზღვრა, რომელთა მიღწევასაც ცდილობს პროგრამა გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით (როგორც პროგრამის, ისე ზოგადი სტრატეგიების ფარგლებში);
 - ✓ გენდერული კუთხით არსებული პრობლემებისა და საკითხები შესწავლა;
 - ✓ პროგრამის შესაძლებლობის შეფასება, უზრუნველყოს ყველა მხარის თანაბარი წვლილი;

14 EIGE, “What is Gender Impact Assessment”, 2019. ხელმისაწვდომია: <https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gender-impact-assessment/what-gender-impact-assessment>

- მონაცემების შეგროვება:
 - ✓ სქესის, ასაკის, ეთნიკურობისა და შებენი შესაძლებლობების მიხედვით ჩამოთვლილი მონაცემების შეგროვება;
 - ✓ კონსულტაციები ექსპერტებთან, ქალებსა და კაცებთან, უმცირესობებსა და შებენი შესაძლებლობების მქონე პირებთან;
 - ✓ არსებული მონაცემების სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა და ახსნა;
- (გენდერულად უფრო მგრძნობიარე) ალტერნატივების შემუშავება:
 - ✓ გავლენის განსაზღვრა სხვადასხვა ჯგუფებისთვის;
 - ✓ პროგრამის ფარგლებში გენდერული თანასწორობის ასამაღლებლად ალტერნატივების შეთავაზება;
 - ✓ სტერეოტიპული აღქმის მოშორება და ტრანსფორმაციული მოქმედებების შემოთავაზება.
- კომუნიკაცია:
 - ✓ პროგრამის შედეგების ინტეგრირება თანასწორობის ვალდებულებებთან საზოგადოების, მთავრობისა და დონორების წინაშე ანგარიშების დროს;
 - ✓ ინკლუზიური ენის გამოყენება;
 - ✓ ძირითადი ასპექტების გათვალისწინება.
- მონიტორინგი და შეფასება:
 - ✓ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის გენდერული გავლენის მონიტორინგი (შესაძლებლობების განვითარება, გრანტები, ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა და ა.შ.) სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მხრიდან (შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები);
 - ✓ სპეციფიკური გენდერული ინდიკატორების შემუშავება;
 - ✓ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე განსხვავებული გავლენების შესწავლა;
 - ✓ შესაძლებლობების თანასწორობისა და თანაბარი შედეგების მიღწევა;
 - ✓ პროგრამის/სექტორის გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ შესაბამისი დასკვნების გამოტანა;
 - ✓ საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და დაწერვა.

GIA-ის კვლევა ჩატარდა 2020 წლის მაის-ოქტომბრის პერიოდში და მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

ა) მოსამზადებელი სამუშაოები – ამ ეტაპზე GIA-ის გუნდმა ჩატარა პირველი შეხვედრა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და RDA-ს წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო სააგენტოსთვის GIA-ის კონცეფციის წარდგენა და პირველი საპილოტე კვლევისთვის შესაბამისი პროგრამის არჩევა.

ბ) სამაგიდო კვლევა – ეს ეტაპი მოიცავდა ეროვნული პოლიტიკისა და მექანიზმების, საერთაშორისო გამოცდილებისა და სოფლის მეურნეობის მსგავსი პროგრამების გენდერული ტრანსფორმაციის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სამაგიდო კვლევას.

გარდა ამისა, ამ ეტაპზე, RDA-ს მიერ მოწოდებულ იქნა პროგრამის ყველა ძირითადი მონაცემი და შეფასდა პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული შესაბამისობა. სოფლის მეურნეობისა და გენდერული ანალიზის სფეროებში მოხდა საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა შესაბამისი ლიტერატურისა და სტატიების საფუძველზე. გენდერული ზეგავლენის შეფასების მიმოხილვასა და მრავალრიცხოვან ანგარიშებზე დაყრდნობით (ჩატარებული ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ევროკომისია, გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (EIGE), აზიის განვითარების ბანკი და სხვ.) მოხდა სოფლის მეურნეობაში გენდერული პრობლემების და სხვა განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მსგავსი პოლიტიკის შესწავლა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ ოფიციალური ეროვნული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების წარმოდგენის მიზნით, გაანალიზდა საქართველოს ყველა ძირითადი სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტი, მათ შორის ზოგადი და დარგობრივი.

გ) თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა – ამ ეტაპზე GIA-ის გუნდმა გამოიყენა სამაგიდო კვლევა, მეორადი მონაცემების ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუები, დაინტერესებულ მხარეებთან კონ-

სულტაციები და შეაჯერა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

რაოდენობრივი ანალიზის დროს GIA-ის გუნდმა გამოიყენა ინფორმაციის სამი ძირითადი წყარო:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები: ძირითადად, მონაცემები სხვადასხვა მაკროეკონომიკური და სოფლის მეურნეობის მაჩვენებლების შესახებ;
- RDA-დან გამოთხოვილი მონაცემები პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბენეფიციარების შესახებ: ამ მონაცემების გამოყენება მოხდა პროგრამის ბენეფიციარების გენდერული ანალიზი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მიწის ნაკვეთის ზომისა და სააგენტოსგან მიღებული თანადაფინანსების ოდენობის შესაბამისად;
- FAO-ის მონაცემები: მოხდა სხვადასხვა კულტურის მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის შესახებ მონაცემების შედარება ქვეყნებს შორის.

თვისებრივი ანალიზის დროს პროგრამის გავლენის შეფასებისთვის GIA-ის გუნდმა გამოიყენა სიღრმისეული ინტერვიუები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. პროექტის ფარგლებში, GIA-ის გუნდმა ჩაატარა ოთხი სიღრმისეული ონლაინ ინტერვიუ RDA-ს წარმომადგენლებთან (პროექტების საოპერაციო დეპარტამენტი, პროექტის განვითარების დეპარტამენტი, კოოპერატივების განვითარების და მართვის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტის ანგარიშგების და ბიუჯეტის განყოფილება), საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევით ცენტრთან. სულ ჩატარდა 14 სატელეფონო ინტერვიუ ლაბორატორიებთან, რომლებიც ატარებენ ნიადაგის ანალიზს (3), RDA-ს რეგიონულ წარმომადგენლებთან (10) და სოფლის მეურნეობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციასთან – ფონდ ტასოსთან (1). დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 9.

დ) გენდერული გავლენისა და თანასწორობის შეფასება და ანგარიშის დაწერა – ამ ეტაპზე მოხდა წინა ეტაპებზე შეგროვებული ინფორმაციის გაანალიზება გენდერულ ჭრილში.

გენდერული ზემოქმედების შეფასება ჩატარდა შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: (i) ნორმები და ღირებულებები – გენდერული როლების იდენტიფიცირება, შრომის დანაწილება, ქალსა და კაცთან დაკავშირებული დამოკიდებულებები და ასოცირებული ქცევები, უთანასწორობა ქალის და კაცის „მნიშვნელობის“/„ღირებულების“ კუთხით, არსებული გენდერული სტერეოტიპები; (ii) მონაწილეობა – პროგრამის ბენეფიციარების გენდერული შემადგენლობა, ქალთა და კაცთა წარმომადგენლობა გადანაცვლების მიმდებარე თანამდებობებზე; (iii) რესურსები – რესურსების (დროის, მიწის, ინფორმაციის, ფინანსური რესურსების, ეკონომიკური ძალაუფლების, ტრენინგების და ა.შ.) განაწილება; (iv) უფლებები – არსებული გენდერული დისკრიმინაცია. მომდევნო ეტაპზე მოხდა გენდერული გავლენების შეწონვა და პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“ რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევას ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები. ეს შეზღუდვები ნაწილობრივ განპირობებული იყო იმით, რომ გენდერული შეფასებები და შესაბამისი გენდერული ინტეგრირების ინსტრუმენტები კვლავ ახალია ქვეყნისთვის. ხარვეზებია მონიტორინგისა და შეფასების (M&E) მიდგომებშიც, ამიტომ M&E გეგმებში არ არის გენდერთან დაკავშირებული ინდიკატორები, რაც მომავალში გავლენის შეფასების საფუძველი უნდა იყოს.

კერძოდ, მნიშვნელოვანი შეზღუდვები იყო:

- საწყისი საბაზისო კვლევის არარსებობა: რადგან პროგრამა „დანერგე მომავალი“ დაიწყო საწყისი საბაზისო ანალიზის გარეშე, GIA-ის გუნდს გაუჭირდა პროგრამის ზეგავლენის სწორად დადგენა;
- მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის (კერძოდ კი, counterfactual analysis) ჩატარების სირთულე: ვინაიდან RDA არ ინახავდა ინფორმაციას იმ აპლიკანტების შესახებ, რომელთაც უარი ეთქვათ გრანტის მიღებაზე, GIA-ის გუნდმა ვერ შეძლო ინტერვენციებსა და შედეგებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. ამგვარი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა იმის შეფასება, თუ რა მოხდებოდა ბენეფიციარებისთვის პროგრამის გარეშე. პროგრამის შედეგების შეფასებისთვის

მოხდებოდა ორი ჯგუფის შედეგების შედარება: ჯგუფისა, რომელმაც მიიღო დაფინანსება, იმ ჯგუფთან შედარებით, რომელმაც შეიტანა განაცხადი პროგრამაში მონაწილეობაზე, მაგრამ ვერ მიიღო დაფინანსება.

- გენდერულ ჭრილში ჩაშლილ მონაცემებზე წვდომის ნაკლებობა მონაცემების ფრაგმენტულად ფლობიდან გამომდინარე: RDA-ს ფინანსური დეპარტამენტის ანგარიშების და ბიუჯეტის განყოფილება ფლობდა მონაცემებს ინდივიდუალური ბენეფიციარების შესახებ სქესის მიხედვით, თუმცა არასაკმარისი დეტალებით. სოფლის მეურნეობის კოოპერატივების წევრების შესახებ ინფორმაციას ინახავს RDA-ს კოოპერატივების განვითარების და მართვის დეპარტამენტი. GIA-ის გუნდმა მოითხოვა, მაგრამ ვერ მიიღო მონაცემები კოოპერატივების განვითარების და მართვის დეპარტამენტისგან.
- სტრატეგიული დაგეგმვის ციკლებში გენდერული მიზნების/შედეგების ნაკლებობა, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სექტორში; გენდერული თანასწორობის შესაბამისი ჩარჩოების არარსებობა, რაც ხელს უშლის ამ სექტორში გენდერული კუთხით მუშაობას. კვლევაში აღნიშნულია, რომ საჯარო უწყებებში საჭიროა უფრო მეტი გენდერული ექსპერტიზა სპეციფიკური თემატური ცოდნით, რაც საჭიროა კონკრეტული სექტორებისთვის.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში შეზღუდული გენდერული ცოდნა და გამოცდილება. ლიტერატურის მიმოხილვის პროცესმა (იხ. დანართი 5) და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებმა აჩვენა (იხ. დანართი 9), რომ ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის დარგში ცოტაა გენდერის ექსპერტი. მართლაც, ამ სფეროში ჩატარებული კვლევების სიმცირე, აკადემიის მხრიდან გენდერულ ჭრილში ჩაშლილ მონაცემებზე დაბალი მოთხოვნა და სექტორში ექსპერტიზის დაბალი დონე ნიშნავს, რომ ეს GIA არ იყო ისეთი სიღრმისეული, როგორც იქნებოდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვის არარსებობის

შემთხვევაში. GIA-ის განხორციელების გარდა, ამ საპილოტე ინიციატივის ერთ-ერთი მიზანი იყო GIA-ის მეთოდოლოგიის შემოწმება, რომელიც ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა GIA-ის საერთაშორისო ექსპერტთან ერთად იმისთვის, რომ მომზადდეს საპილოტე GIA-ის პროექტები ქართულ კონტექსტში და ხაზი გაესვას ძირითად გამოწვევებსა და მათი დაძლევის გზებს.

1.2. სოფლის მეურნეობის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში

ქართული აკადემიური წრის წარმომადგენლები და საჯარო მოხელეები თანხმდებიან, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ისინი ერთსულოვანნი არიან, როდესაც საქმედებას სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების შესაბამისი დონის განსაზღვრას და მისი კომერციალიზაციის აუცილებლობას, რადგან სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს¹⁵. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელობა ყველამ იცის, სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი საქართველოში მაინც დაბალია, მრავალრიცხოვანი მცირე ფერმერი – მისი ხერხემალი – ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს დარგის მაღალ ეფექტიანობას. ქართველ ფერმერებს უამრავი პრობლემა აქვთ: ქვეყანაში შემოსული იაფი იმპორტი, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, არასაკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, ახალი ტექნოლოგიებისა და სხვა საჭირო რესურსების ნაკლებობა, კერძო და საჯარო სექტორების არაეფექტიანი მუშაობა. ეს ყველაფერი ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ განვითარებას ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება დამოკიდებულია მცირე მეურნეობის წარმატებაზე, არსებობს ეჭვი, რომ მცირე ფერმერებს არ შეუძლიათ გახდნენ ვაჭრობის ლიბერალიზაციისა

15 ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი. 2012 წ. საქართველოს სოფლის

მეურნეობის ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი.

და გლობალიზაციის პროცესების განუყოფელი ნაწილი, დაუპირისპირდნენ მზარდ გლობალურ კონკურენციას და დააკმაყოფილონ მოთხოვნა ბაზარზე. ამკარაა, რომ იმ ფერმერებს, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივი შემდუღული ინფრასტრუქტურის გამო, სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე წარმატების პოტენციალი არ აქვთ. მართლაც, ადრე სახელმწიფო მხარს უჭერდა მსხვილ მეურნეობებს და გონივრულად მიმართავდა ინვესტიციებს კომერციალიზაციაზე ორიენტირებულ, მსხვილ ფერმერებზე. თუმცა ამჟამად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და ძალისხმევა მიმართულია „მცირე მეურნეობების გადსარჩენად“, რადგან ისინი მოგების დაბალ მარჟაზე ოპერირებენ, უფრო მგრძნობიარე და მოქნილი არიან ტრანზაქციის დანახარჯების თვალსაზრისით, ვიდრე მსხვილი მეურნეობები. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ შრომის დაბალ დანახარჯებსა და სხვა გარე ფაქტორებს, მცირე ფერმერების ეფექტიანობა არანაირად არ ჩამოუვარდება მსხვილ ფერმერებს¹⁶. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ მეურნეობას უფრო მეტი საქონლის წარმოება შეუძლია, ვიდრე მცირე ფერმერების კოოპერატივს, ეს უკანასკნელი უფრო მეტ მოგებას ქმნის, ვიდრე მსხვილი. ამრიგად, მცირე ფერმერული მეურნეობა ამკარად უფრო ეფექტიანია. თუმცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის საკითხებს უპირველესი მნიშვნელობა აქვს ღია ბაზრებზე და ეს მნიშვნელოვნად აისახება მცირე მეურნეობების განვითარების პოტენციალზე.

სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის საუკეთესო და ყველაზე ეფექტიანი გზის არჩევა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან სოფლის მეურნეობის სექტორზე¹⁷ კვლავ ქვეყნის მთლიანი დასაქმების 38,2% მოდის, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 99% თვითდასაქმებულად ითვლება (საქსტატის 2019 წლის მონაცემებით). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყ-

ნის სამუშაო ძალის მესამედზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, ეს სექტორი რეალური მშპ-ის მხოლოდ 7.4%-ს შეადგენს. ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობას ასეთი მცირე წვლილი შეაქვს მშპ-ში, განპირობებულია დაბალ-პროდუქტიული, საკუთარ მოხმარებაზე ორიენტირებული წარმოებით სექტორში – სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების 45% არის ანაზღაურების გარეშე მომუშავე ოჯახის წევრები¹⁸, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ 2010 – 2019 წლებში სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქტიულობა, რომელიც იზომება რეალური მშპ-ის რაოდენობით ერთ დასაქმებულზე, გაორმაგდა, სექტორი კვლავ 6-ჯერ ნაკლებად პროდუქტიულია, ვიდრე საშუალო და 14.3-ჯერ და 8.3-ჯერ უფრო ნაკლებად პროდუქტიული, ვიდრე მრეწველობა¹⁹ და მომსახურების²⁰ სექტორები, შესაბამისად.

რეგიონული მრავალფეროვნების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროგრამების და სტრატეგიების შემუშავებისას, განსაკუთრებით კი ამ პროგრამების გავლენის შეფასებისას. ვინაიდან საქართველოს რეგიონებში სოფლის მეურნეობის დარგი ერთ-ერთი წამყვანია, ასეთი პროგრამებისა და სტრატეგიის პოტენციალი რეგიონული განვითარებისათვის ძალიან მაღალია. თბილისის გარდა, რეგიონული განაწილების კუთხით, სოფლის მეურნეობაში მომუშავე სამუშაო ძალის წილი მთლიან სამუშაო ძალაში 30-58%-ს შორის მერყეობს. სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება გურიაში (61%)²¹, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში (58% თითოეული) – სოფლის მეურნეობის განვითარების კარგი პოტენციალის მქონე რეგიონებში. ყველაზე დაბალი წილი კი აჭარაშია

16 Ibid.

17 სოფლის მეურნეობის სექტორი მოიცავს სოფლის მეურნეობას, სატყეო მეურნეობას და თევზაობას.

18 სამუშაო ძალის გამოკითხვა, 2019 წელი, საქსტატი.

19 მრეწველობა მოიცავს სამთომოპოვებით და დამამუშავებელ მრეწველობას.

20 მომსახურების სექტორი მოიცავს ყველა სექტორს, გარდა სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და თევზაობის, სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის.

21 გურია არის პატარა, ძირითადად სოფლის მეურნეობაზე ფოკუსირებული რეგიონი, სადაც ხალხი მეტწილად მცირე მეურნეობაშია ჩართული.

(30%). სოფლის მეურნეობის დასაქმების განსაკუთრებით დაბალი კონცენტრაცია სხვადასხვა რეგიონში შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ფაქტორით, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის გენდერული ზემოქმედების შეფასების დროს. მაგალითად, აჭარაში, სხვა რეგიონებთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დაბალი დასაქმების დონე შეიძლება აიხსნას შემდეგი ფაქტორებით: (1) აჭარა არის ურბანული რეგიონი, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 55.4% ქალაქად ცხოვრობს (აჭარის რეგიონის ცენტრალური ქალაქი – ბათუმი, მოსახლეობის სიდიდის მიხედვით, საქართველოში მეორე ქალაქია)²²; (2) რეგიონი ხასიათდება რთული რელიეფით – რეგიონის დიდი ნაწილი მთიანია, მცირე მიწის ნაკვეთებით²³; (3) ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა ძირითადად ტურიზმსა და სამშენებლო საქმიანობაშია ჩართული (მაგალითად, ბათუმი და ქობულეთი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კურორტებია).

გარდა ამისა, რეგიონების დიდ უმრავლესობაში სოფლის მეურნეობაში მომუშავე ქალისა და კაცის წილი საკმაოდ ახლოს არის ერთმანეთთან. ყველა რეგიონისთვის, გარდა მცირე, მთიანი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა, სოფლის მეურნეობაში ქალების დასაქმების წილი უფრო მაღალია, ვიდრე კაცების (ეს ნაწილობრივ უკავშირდება ქალების ოფიციალური დასაქმების დაბალ დონეს არასასოფლო-სამეურნეო სექტორში). ქალთა სასარგებლოდ წილებს შორის ყველაზე მეტი სხვაობა შეიმჩნევა ქვემო ქართლის რეგიონში (სხვაობა 12 პროცენტულ პუნქტსაც კი უტოლდება), რომელსაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებით მესამე ადგილი უკავია რეგიონებში და სადაც მოსახლეობის დიდი წილი ეთნიკურ უმცირესობებზე მოდის.

22 „აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020“, ხელმისაწვდომია: <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/644f050424b74b899c9e1709ff03.pdf>

23 „აჭარის რელიეფის რთული ხასიათი და დანაწევრების მაღალი დონე აგროგანვითარებას აფერხებს“, 2015 წ. ხელმისაწვდომია: <https://bpi.ge/acharis-reliefis-rtuli-khasiati-da-danawevrebis-maghali-done-agro-ganvitarebas-aferkhebs/>

ცხრილი 1.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სამუშაო ძალის წილი გენდერულ ჯგუფში, 2019 წ.

	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული		სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სამუშაო ძალის წილი*	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ქალების წილი**	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კაცების წილი***
	ქალი	კაცი			
თბილისი	528	2,724	1%	0%	1%
აჭარა	28,178	24,963	30%	34%	26%
გურია	20,284	20,936	61%	62%	60%
იმერეთი	59,114	59,061	41%	44%	39%
კახეთი	50,166	51,237	58%	60%	56%
მცხეთა-მთიანეთი	48,190	43,632	40%	47%	35%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	11,456	11,496	40%	44%	37%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5,696	5,726	57%	55%	58%
სამცხე-ჯავახეთი	44,565	45,093	51%	53%	48%
ქვემო ქართლი	27,254	30,139	58%	60%	56%
შიდა ქართლი	24,340	30,114	40%	42%	40%
სულ	319,769	325,120	34%	36%	32%

წყარო: ავტორის გამოთვლები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

შენიშვნა: * დასაქმება სოფლის მეურნეობაში მთლიან სამუშაო ძალასთან შეფარდებით;

** სოფლის მეურნეობაში ქალთა დასაქმება ქალების მთლიან სამუშაო ძალასთან შეფარდებით;

*** სოფლის მეურნეობაში კაცების დასაქმება კაცების მთლიან სამუშაო ძალასთან შეფარდებით;

ბოლო ათწლეულის განმავლობაში **სოფლის მეურნეობის სექტორის წილი რეალურ მშპ-ში** 9.6%-დან (2010 წ.) 7.4%-მდე (2019 წ.) შემცირდა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოებაც შემცირდა. მართლაც, 2010 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მშპ მუდმივ ფასებში 2019 წელს 17.3%-ით გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოება მიმდინარე ფასებში (შუალედური წარმოების ჩათვლით) იმავე პერიოდში 1.67 ჯერ გაიზარდა. სინამდვილეში, სოფლის მეურნეობის წილის შემცირება მთლიან მშპ-ში აჩვენებს, რომ შემცირების ტენდენციას სხვა სექტორებში ზრდის უფრო მაღალი ტემპი განაპირობებს. დაბალი პროდუქტიულობა იწვევს დაბალ მოგებას და

ის გამოწვევა, რომ სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და მშპ-ის მცირე წილს ქმნის, საჭიროებს გადაწყვეტას, არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, არამედ ისეთი ღონისძიებების გასატარებლად, რაც თანაბრად გააუმჯობესებს ქალთა და კაცთა ცხოვრებას სოფლად.


ეს კვლევა ასევე აფასებს გენდერის როლს მთავრობის პოლიტიკაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სტრუქტურული ცვლილების დაწყებას – დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობიდან სამუშაო ძალის უფრო მაღალპროდუქტიულ ინდუსტრიულ და მომსახურების სექტორებში

გადასვლას და სოფლის მეურნეობის სექტორში პროდუქტიულობის გაზრდას მიწის კონსოლიდაციით, ცოდნისა და ტექნოლოგიებზე ფერმერების წვდომის გაუმჯობესებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურას რაც შეეხება, მეცხოველეობაზე მოდის 51%, მემცენარეობაზე – 42%-ს, ხოლო სოფლისა და სოფლის მეურნეობის მომსახურებაზე – დანარჩენი 7%.

გრაფიკი 1.

მშპ-ში სექტორის წილი (%) და რეალური მშპ სოფლის მეურნეობის სექტორში (მილიარდი ლარი), 2010 - 2019 წწ.



წყარო: საქსტატი

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოს ეკონომიკაში, მაღალი თვითღირებულების გამო ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები კვლავ არ არის კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზრებზე. გარდა ამისა, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ანაცვლებს იაფი იმპორტი, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებს მოძველებული მანქანა-დანადგარები და ტექნოლოგიები, შესანახი და გადამამუშავებელი შენობა-ნაგებობები, გაუმართავი ლოჯისტიკა და ფინანსების ნაკლებობა²⁴.

ამის მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალი ჯერ კიდევ ასათვისებელია. მოდერნიზაციით, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნითა და ექსპორტის მხარდაჭერით შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევა და სიღარიბის დაძლევა. შესაბამისად, მისი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ სექტორების სიის სათავეშია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის სოფლის მეურნეობის განვითარება

24 საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021, საქართველოს მთავრობა.

მნიშვნელოვანია, მაშინ სექტორი მეტ კვლევას საჭიროებს, რათა განისაზღვროს, რა გავლენას ახდენს იგი საქართველოში გენდერულ თანასწორობაზე. ანგარიშის მომდევნო თავები აღწერს იმ კონტექსტსა და ტენდენციებს, რაც დაგვეხმარება, შევაფასოთ, რა პოტენციალი აქვს სოფლის მეურნეობის სექტორს, განსაკუთრებით კი „დანერგე მომავლის“ მსგავს პროგრამებს, საქართველოში, განსაკუთრებით კი სოფლის მოსახლეობაში, გენდერული სიტუაციის გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრის საქმეში.

1.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნები და გენდერული თანასწორობა

საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის სოფლის მეურნეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, GIA-ის გუნდმა გამოიყენა ამ სექტორის საერთაშორისო და ეროვნული განვითარების ჩარჩოები, რომელთა მიხედვითაც შეფასდა სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“, განსაკუთრებით მისი გენდერული აქტუალობა. ქვემოთ მოცემულია რელევანტური საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოების მოკლე მიმოხილვა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

საერთაშორისო კონტექსტი

2014 წელს **ევროკავშირსა და ატომური ენერგიის ევროპულ საზოგადოებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების**²⁵ თანახმად, შემოღებულ იქნა თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით. ამ GIA-ის მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ღირსეული სამუშაო დღის წესრიგთან დაკავშირებული დებულებები (მუხლი 239) და ხელშეკრულების მე-14 თავში „დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების ნაწილში“

მოცემული დებულებები (კერძოდ, მუხლი 349) და XXX დანართი. პირველის თანახმად, „მხარეებმა შეიძლება ითანამშრომლონ ILO-ის ღირსეული სამუშაო დღის წესრიგში ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებში, მათ შორის ვაჭრობასა და სრულ და პროდუქტიულ დასაქმებას შორის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, შრომის ბაზრის კორექტირებაზე, შრომის ძირითად სტანდარტებზე, შრომის სტატისტიკასთან, ადამიანური რესურსების განვითარებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასთან დაკავშირებით. სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა, სოციალური დიალოგი და გენდერული თანასწორობა“. ეს უკანასკნელი ასევე დასძენს, რომ „თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს... თანაბარი შესაძლებლობებისა და ანტიდისკრიმინაციის საკითხს, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ამაღლებას და ქალთა და კაცთა შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, აგრეთვე, სქესის, ეროვნების, რელიგიის, ფიზიკური შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას“.

გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-10 თავი „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ და შესაბამისი 332-334 მუხლები აღნიშნავს, რომ „მხარეებს შორის თანამშრომლობა სოფლისა და სოფლის მეურნეობის დარგში მოიცავს სოფლის განვითარების პოლიტიკის ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას სოფლის თემების ეკონომიკური კეთილდღეობისთვის; ცოდნის გავრცელება და სოფლის მეურნეობაში მწარმოებლებისთვის ექსტენციის სერვისების ხელშეწყობა“. ასოცირების ხელშეკრულება ასევე მოიცავს ღირეფტივებს, რომლებიც გულისხმობს ქალების და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, თანაბარ წვდომას სოციალურ დაცვაზე, საქონელსა და მომსახურებაზე. ერთობლივი პოლიტიკის ინიციატივის ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP)²⁶ მიერ 2017 წელს დამტკიცებული მიზნებიდან გამომდინარე,

25 იხილეთ: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)).

26 ერთობლივი პოლიტიკის ინიციატივა 2009 წელს დაიწყო. ის მიზნად ისახავს ევროკავშირის, მის წევრ სახელმწიფოებსა და მის ექვს აღმოსავლეთ

მეზობელს – სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკასა და უკრაინას – შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და განმტკიცებას.

2020 წლისთვის მოხდა გენდერული საკითხების გათვალისწინება ოთხი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებით: (1) უფრო ძლიერი ეკონომიკა; (2) უფრო ძლიერი მმართველობა; (3) უფრო ძლიერი კავშირი; და (4) უფრო ძლიერი საზოგადოება²⁷.

2015 წელს²⁸ საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, თავისი ეროვნული პოლიტიკა **გაეროს დღის წესრიგი 2030-ის მდგრადი განვითარების მიზნებისთვის** (SDG) მიესადაგებინა და ისინი ძირითად ეროვნულ მიზნებთან დაეკავშირებინა. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების SDG ცალკე არ არსებობს, თუმცა SDG-ების თითქმის ნახევარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისა და გენდერული თანასწორობის მხრივ. სურათი 1-ზე მოცემულია GIA-ის გუნდის მიერ შეჩვენებული მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან და გენდერულ თანასწორობასთან.

მიზანი 5. გენდერული თანასწორობა (ყველა სექტორში გენდერული თანასწორობის მიზნებისა და ამოცანების დასახვის შესახებ) და **მიზანი 10. უთანასწორობის შემცირება** (საზოგადოებაში ყველას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერება და ხელშეწყობა, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და ა.შ.) პირდაპირ უკავშირდება კვლევის მთავარ თემებს. ზოგიერთი SDG (განსაკუთრებით **მიზანი 1. არა სიღარიბეს და მიზანი 2. არა შიმშილს**) თავის თავში აერთიანებს მნიშვნელოვან საკითხებს სოფლის მეურნეობისა

და სოფლის განვითარების პარალელურად გენდერული თანასწორობის მისაღწევად. გარდა ამისა, **მიზანი 4. ხარისხიანი განათლება, მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა. მიზანი 16. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები** მოიცავს სხვა ასპექტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების კონტექსტში.

ანგარიში „საქართველოს ეროვნული ნებაყოფლობითი მიმოხილვა“ ხაზს უსვამს პროგრამა „დანერგე მომავლის“ მნიშვნელობას და მის მიზნებს შიმშილის აღმოფხვრის, სურსათის უვნებლობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდის პროცესში. ამასთან, ხაზგასმულია გამოწვევები მიწის დანაწევრებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რაც მოხსენიებულია როგორც „სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერსებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი“. ანგარიშის თანახმად, „2030 წლისთვის ქვეყანა მიზნად ისახავს მიწაზე საკუთრების კანონიერი უფლების მქონე პირთა წილის 80%-მდე გაზრდას და მიწის კანონიერ მფლობელებს შორის ქალების წილის 10-15%-ით ზრდას. 2015 წლიდან დღემდე საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ამ პროცესში, რადგან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა წილი 50%-დან 59%-მდე გაიზარდა, ქალების საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული მიწის წილი კი – 35%-დან 38%-მდე“²⁹

27 წყარო: EaP 20 Deliverables for 2020: Bringing tangible results for citizens. ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/20_deliverables_for_2020.pdf

28 იხილეთ: <http://sdg.gov.ge/main>

29 Secretariat of the SDGs, Voluntary National Review Georgia / VNR 2020 – Report on the Implementation of the 2030 Agenda on Sustainable Development (Administration of the Government of Georgia, Interagency Council of Georgia, 2020). ხელმისაწვდომია: https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/26389VNR_2020_Georgia_Report.pdf

საქართველო და გაეროს დღის წესრიგი 2030

სოფლის მეურნეობასა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზნები (SDG)

მიზანი 1: არა სიღარიბეს

მიზანი 1.2. 2030 წლისთვის ნებისმიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის კაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის შემცირება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად.

მიზანი 1.4. 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა კაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში. ასევე მათთვის უზრუნველყოფილ იქნას ხელმისაწვდომობა საბაზისო მომსახურებებზე, მიწისა და ქონების სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე.

მიზანი 2: არა შიმშილს

მიზანი 2.3. 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და სურსათის მცირე მწარმოებლების, კერძოდ, ქალების, საოჯახო ფერმერებისა და მეთევზეების შემოსავლების გაზრდა. მათ შორის მიწაზე და სხვა პროდუქტიულ რესურსებსა და საშუალებებზე, ცოდნაზე, ფინანსურ მომსახურებაზე, ბაზრებზე, დამატებითი ღირებულების შექმნასა და არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმების შესაძლებლობებზე უსაფრთხო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით.

მიზანი 2.4. 2030 წლისათვის სურსათის წარმოების მდგრადი სისტემების უზრუნველყოფა და სიცოცხლის-უნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გაზრდის პროდუქტიულობას და წარმოების მოცულობას; ხელს შეუწყობს ეკოსისტემების შენარჩუნებას, რაც გააძლიერებს კლიმატის ცვლილებასთან, ექსტრემალურ ამინდთან, გვალვასთან, წყალდიდობასა და სხვა სახის კატაკლიზმებთან ადაპტირების უნარს და თანდათანობით გააუმჯობესებს მიწის ნაკვეთებისა და ნიადაგის ხარისხს.

მიზანი 2.5. 2020 წლისთვის თესვების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ფერმისა და შინაური ცხოველების და მათი მონათესავე ველური სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება; მათ შორის კარგად მართული და დივერსიფიცირებული სათესლე და მცენარეთა ბანკების საშუალებით სახელმწიფო დონეზე, აგრეთვე გენეტიკური რესურსების და ამასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის გამოყენებით მიღებული სარგებლის ხელმისაწვდომობის და სამართლიანი და თანაბარი გაზიარების უზრუნველყოფა, როგორც ეს საერთაშორისო დონეზე იქნა შეთანხმებული.

მიზანი 2.ა. სოფლის ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის კვლევის და საკონსულტაციო მომსახურების, ტექნოლოგიების განვითარების და მცენარეებისა და მსხვილფეხა საქონლის გენეტიკურ ბანკებთან დაკავშირებით ინვესტიციების ზრდა, მათ შორის ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის მიზნით.

მიზანი 4: ხარისხიანი განათლება

მიზანი 4.3. 2030 წლისთვის ყველა ქალისა და კაცისათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი, მათ შორის საუნივერსიტეტო, განათლების უზრუნველყოფა.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობა

მიზანი 5.1. ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგონას მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება.

მიზანი 5.2. ყველა ქალისა და გოგონას მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა.

მიზანი 5.3. ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება.

მიზანი 5.5. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადანაცვტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

მიზანი 5.6. 2030 წლამდე სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის, ასევე, მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად.

მიზანი 5.ა. ზომების განხორციელება და ჩვეულებითი პრაქტიკის შეცვლა ეკონომიკურ რესურსებზე ქალების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, მიწისა და სხვა ფორმის ქონების და მემკვიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე.

მიზანი 5.ბ. ქალთა გაძლიერების ხელშეწყობი ტექნოლოგიების, კერძოდ, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხარდაჭერა.

მიზანი 8: ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

მიზანი 8.5. 2030 წლისთვის ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ყველა ქალისა და კაცისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე, თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების მისაღწევად.

მიზანი 8.8. შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნა ყველა მომუშავე პირისთვის, მათ შორის მიგრანტი მუშაკებისთვის, განსაკუთრებით კი მიგრანტი ქალებისა და არასაიმედოდ დასაქმებულებისათვის.

მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა

მიზანი 10.2. 2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რასის, ეთნიკური კუთვნილების, წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა.

მიზანი 10.3. თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და შედეგების მხრივ უთანასწორობის შემცირება, მათ შორის დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ თვალსაზრისით სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ქმედების ხელშეწყობით.

მიზანი 10.4. პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ფისკალური, სახელფასო და სოც. დაცვის პოლიტიკის შემოღება და თანდათანობით მეტი თანასწორობის მიღწევა.

მიზანი 16: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

მიზანი 16.7. ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადანაცვლებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა.

მიზანი 16.10. ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის და უფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მიზანი 16. ბ. არადისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის ხელშეწყობა და განხორციელება მდგრადი განვითარებისთვის

ეროვნული კონტექსტი

გენდერი აღნიშნულია სექტორის მარეგულირებელ რამდენიმე სტრატეგიულ დოკუმენტში, რაც მიუთითებს მთავრობის აღიარებაზე, რომ შესაბამის სექტორებში გამოვლენილი უთანასწორობა უნდა აღმოიფხვრას. პროგრამის გავლენა და მისი გენდერული ასპექტები შეფასდა არსებულ ეროვნულ კონტექსტში. ჩატარდა საერთაშორისო და ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების სამაგიდო მიმოხილვა, რომელმაც გამოავლინა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჩარჩოებში მოცემულია გენდერული პერსპექტივა, რომელიც ქვეყანას გენდერული თანასწორობისკენ უბიძგებს, სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნულ სტრატეგიებში გენდერული ასპექტები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ასახული. მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოა გენდერული საკითხების ხაზგასმა სხვადასხვა სექტორის ეროვნულ დოკუმენტებში, ჯერ კიდევ არ არსებობს ამ მიმართულებით სამუშაოდ საჭირო გაიდლაინები და სტრატეგიებში გენდერული საკითხების ზოგადი ხსენება არ არის საკმარისი. ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტები საჭიროებს

სიღრმისეული გენდერული ანალიზის დამატებას. ამ ეტაპზე კი არ ხდება ინფორმაციის გაანალიზება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გენდერულად ჩაშლილი მონაცემები ხელმისაწვდომია. ეს, თავის მხრივ, ხელს უშლის არსებული გენდერული უთანასწორობის შესამცირებლად სამიზნე აუდიტორიის სწორად განსაზღვრასა და რესურსების განაწილებას. პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამინისტროებისა და ინსტიტუტების სამოქმედო გეგმებსა და ბიუჯეტებში, გენდერული ანალიზის სრულად ინტეგრირების გარეშე, გენდერული მენისტრიმინგი და გენდერული სხვაობების შემცირების/აღმოფხვრის თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა შეუძლებელია. სოფლის მეურნეობის პროგრამების (მაგ.: „დანერგე მომავლის“) აღქმა კი, გაგრძელდება როგორც გენდერულად ნეიტრალური³⁰ პროგრამის, რაც ამცირებს სტრატეგიების გენდერული ტრანსფორმაციის უნარს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების მიმოხილვის შედეგები:

30 გენდერულად ნეიტრალური: პოლიტიკა, პროგრამა ან სიტუაცია, რომელსაც არ აქვს განსხვავებული დადებითი ან უარყოფითი გავლენა გენდერული

ურთიერთობების ან ქალთა და კაცთა თანასწორობის თვალსაზრისით. ხელმისაწვდომია: <https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1190>

ცხრილი 2.

ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების გენდერული შეფასება

სტრატეგიული დოკუმენტი (მიღების წელი)	გენდერული შეფასების შედეგები
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, „საქართველო 2020“ ³¹ (მიღებულია 2014 წელს)	სტრატეგია ითვალისწინებს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ასპექტებს. მასზე დაყრდნობით, სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებებია პროდუქტიულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანობა და ინვესტიციები სექტორში: „სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, მათ შორის ირიგაციის და დრენაჟის სისტემების, განვითარებას“. „სოფლის მეურნეობის როგორც მწარმოებლურობის, ისე კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის ინვესტიციების მოზიდვის გზით, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ისე საექსპორტო პოტენციალის ზრდას“. „სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი ბიზნესისთვის საინვესტიციო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა“. საინტერესოა, რომ გენდერული კრიტერიუმები ამ სტრატეგიაში საერთოდ არ არის ნახსენები.
სამთავრობო პროგრამა 2019-2020 ³² (მიღებულია 2019 წელს)	პროგრამა ცალ-ცალკე განსაზღვრავს მიზნებს სოფლის მეურნეობისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებებით, მაგრამ ერთიანად არ განიხილავს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაში გენდერულ გამოწვევებს: „რეგიონების, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია“. - სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა; მსხვილფეხა პირუტყვის რძისა და ხორცის საბაზრო სისტემის განვითარება, დანაკარგების შემცირება, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის გაზრდა, კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება, ასევე, სავაჭრო პოტენციალის გაზრდა; გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები; განხორციელდება დეგრადირებული ნიადაგების კვლევა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებები; შეიქმნება ქარსაფარი ზოლების მართვისა და გაშენების საკანონმდებლო ბაზა და დაიწყება ქარსაფარი ზოლების გაშენება; ჩამოყალიბდება თანამედროვე ექსტენციის მოქნილი სისტემა. „განხორციელდება ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის დასაცავად. უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და ქმედითი რეაგირება გენდერული უთანასწორობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის თითოეულ ფაქტზე“.

31 ხელმისაწვდომია: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf და <https://matsne.gov.ge/en/document/view/2373855?publication=0>

32 ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/41_73525_555908_GovernmentProgram2019-2020.pdf

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027³³ (მიღებულია 2019 წელს)	ეს არის ძირითადი ოფიციალური გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორში. ეს დოკუმენტი მოიცავს სამ ძირითად ნაწილს: ამჟამინდელი მდგომარეობისა და 2015 – 2020 წწ-ის მიღწევების აღწერას, სოფლის მეურნეობის სექტორის SWOT³⁴ ანალიზს და სამომავლო სტრატეგიას (ჩამოთვლილია მიზნები და ამოცანები). გენდერული თვალსაზრისით, ამ სტრატეგიის SWOT ანალიზს აქვს რამდენიმე საინტერესო დასკვნა: • „ძლიერ მხარეებში“ აღნიშნულია, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები აღიარებს სოფლად მცხოვრები ქალების სპეციალურ საჭიროებებს მათი ეკონომიკური გაძლიერების კუთხით“. • „სუსტი მხარეების“ ნაწილში აღნიშნულია, რომ საქართველოში სოფლად მცხოვრები ქალებს აქვთ შედარებით მაღალი უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლები, მაღალი სოციალური მოწყვლადობის რისკი. აქვე აღნიშნულია, რომ დაბალი პროდუქტიულობის მქონე სექტორებში თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლები ფართოდ არის გავრცელებული სოფლებში, განსაკუთრებით ქალებში. ანაზღაურება განსხვავდება გენდერული ნიშნითაც და ფართოდ არის გავრცელებული ქალთა არაანაზღაურებადი შრომა. გარდა ამისა, დოკუმენტში ხაზგასმულია „ქალების შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე, თანამედროვე და სასოფლო-სამეურნეო რესურსებთან, კაცებთან შედარებით“, „ქალთა შეზღუდული წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, სხვა უძრავ ქონებასა და ფინანსებზე“, „სოფლის მოსახლეობის დაბალი ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებასა და ტრენინგზე, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალების საოჯახო საქმეების არათანაბარი გადანაწილება ქალებსა და კაცებს შორის, ასევე ქალების ლიმიტირებული წვდომა სოციალური ინფრასტრუქტურაზე და სერვისებზე (ჯანდაცვა, საბავშვო ბაღი, ხანდაზმულთა მოვლის ცენტრები, და ა.შ.)“, და „გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების არარსებობა“. • „შესაძლებლობების“ კუთხით გამოვლინდა, რომ არსებობს შესაძლებლობა „სოფლის მოსახლეობის გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამებზე (მათ შორის სამეწარმეო და პროფესიული) ხელმისაწვდომობის გაზრდა განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი ტექნიკურ დარგებში მენეჯერულ პოზიციებზე“, ახალგაზრდების (მათ შორის ქალების) დასაქმების ხელშეწყობა, ეკონომიკური გაძლიერება“; და „მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ქალების, ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021 – 2027 წწ-ის სტრატეგია უფრო სპეციფიკურია ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებთან შედარებით და წარმოგვიდგენს მომავლის ტენდენციებს – ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და ინდიკატორებს (საბაზისო და სამიზნე). სტრატეგიის ძირითადი მიზნებია: • კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები; • ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; • სურსათის/ცხოველის საკვების უზენებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი მიზანი და შესაბამისი ინდიკატორები არ არის გენდერულად სპეციფიკური, მიუხედავად SWOT-ის ანალიზში ამ მხრივ აღწერილი ყველა სისუსტისა. მხოლოდ ბოლოს, სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილშია ხაზგასმული, რომ ეტაპობრივად დაიწყება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება.
--	--

33 ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>

34 SWOT – Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ³⁵ (მიღებულია 2015 წელს)	დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების კიდევ ერთ ოფიციალურ სტრატეგიასა და პოლიტიკის დოკუმენტს. იგი ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და ყურადღებას ამახვილებს მეტად ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისათვის გენდერულად სეგრეგირებული ინფორმაციის მნიშვნელობაზე. კერძოდ: „შეგროვდება ინფორმაცია გენდერულ ჯრილში შემდგომში დეტალური ანალიზის ჩასატარებლად, რაც საჭირო იქნება ისეთი პოლიტიკის შესაშუშავებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ქალების ჩართულობას სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში. შემუშავდება სპეციალური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება გენდერული თანასწორობის, უმცირესობების, ხანდაზმულების, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის, ნაკლებად განვითარებული რეგიონების და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები“ (გვ. 37). „კოოპერაციის განვითარება აუჭობესებს მოწყვლადი ჯგუფების, კოოპერატორ ქალთა და ახალგაზრდა ფერმერთა ჩართულობას სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში“ (გვ. 20).
საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020³⁶ (მიღებულია 2016 წელს)	დოკუმენტი ხაზს უსვამს ქალების და ახალგაზრდების თანამშრომლობის მხარდაჭერას, რადგან ეს ხელს შეუწყობს მათ ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობაში და დადებითად აისახება მათ შემოსავლებზე და გაზრდის სოფლად ცხოვრების სტიმულს. სტრატეგია განსაზღვრავს ორ შესაბამის მიზანს სოციალური პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით: „ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის)“. „ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში“ (გვ. 53).
საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021³⁷ (მიღებულია 2018 წელს)	ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარების მთავარ მიზნებს, პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს 2018 – 2021 წწ-ის საშუალოვადიანი პერიოდისთვის. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონული განვითარების ხელშეწყობი საჯარო და კერძო ინვესტიციების ჩარჩოს, რაც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს, კონცენტრირება მოახდინონ ერთიანი სტრატეგიის შესაბამისად, ინტერვენციების მაქსიმალური ეფექტურობისა და ეფექტიანობის მისაღწევად. პროგრამა ეხება სოფლის მეურნეობას და ითვალისწინებს მისი განვითარების მიზანს 2018 – 2021 წწ-ისთვის: ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას³⁸. ამ მიზნის მისაღწევად, დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ღონისძიებები: - სოფლის მეურნეობის წარმოების, სოფლის მეურნეობის სექტორში ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების მხარდაჭერა იაფი და ხელმისაწვდომი ფინანსების საშუალებით, ლიზინგი, პროცენტების თანადაფინანსება, სესხების უზრუნველყოფა, აგროდაზღვევა. - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა - ღვინის წარმოების ხელშეწყობა - სოფლის მეურნეობის წარმოების სხვა სექტორების განვითარება / დივერსიფიკაცია ადამიანური კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით, ცალკე მიზანია სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მხარდაჭერა.

35 ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/30/>

36 ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/En/PublicInformation/6346>

37 ხელმისაწვდომია: <https://mrdis.gov.ge/pdf/5d11c43dcd7cc.pdf/2018-2021%20Region->

al%20Development%20Programme%20of%20Georgia%20%28Unofficial%20translation%29.pdf

38 პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო ბიზნესის, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების მხარდაჭერა და ექსპორტის ხელშეწყობა. ღონისძიება: 2.4 სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა.

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020³⁹ (მიღებულია 2015 წელს)	ეს სტრატეგიული დოკუმენტი მნიშვნელოვანია ანალიზისთვის, როდესაც საქმე ეხება გენდერულ ასპექტებს სოფლის მეურნეობაში, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მდგრად და ინკლუზიურ ზრდას. ამ სტრატეგიაში აღნიშნულია ქალების როლი ინკლუზიურ ზრდაში: „ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ქალთა მენარმეობის გაძლიერება და ხელშეწყობა. ქალები ნაკლებად არიან ჩართულები სამეწარმეო საქმიანობაში, ვიდრე კაცები, ასე რომ, მნიშვნელოვანია, მოხდეს კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ქალ მენარმეთა სტიმულირების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქალების მონაწილეობის ზრდას ეკონომიკურ საქმიანობაში“ (გვ. 31). ამ სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქალებს შორის მენარმეობის ნახალისება (პრიორიტეტული მოქმედება 3.9), რომლის თანახმადაც, მენარმეობაში ქალების ჩართვის მიზნით, ჩატარდება ქალთა მენარმეობის კუთხით არსებული ნაკლოვანებების შეფასება და საჭიროებათა ანალიზის შედეგების საფუძველზე შემუშავდება კოკონკრეტული მიდგომა ქალთა მენარმეობის პოპულარიზაციისთვის. გარდა ამისა, შეიქმნება ქალი მენარმეების თანამშრომლობის პლატფორმა, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რაც ხელს შეუწყობს ქალების ჩართვას სამეწარმეო საქმიანობაში.
---	---

1.4. პროგრამები, რომლებსაც მართავს RDA - გენდერული პერსპექტივა

სოფლის განვითარების სააგენტო (RDA), რომელსაც ადრე სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA) ერქვა, 2012 წელს⁴⁰ სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, საქართველოში სოფლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. RDA-ს მიზანია შექმნას კონკურენტული გარემო, ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის პროდუქციის უფრო მაღალ და მდგრად წარმოებას და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას სოფლის მეურნეობის სექტორში.

მისია:

- საჭირო რესურსების ყველაზე ეფექტურად და სწორად მიწოდებით, ფერმერთა და სოფლად მაცხოვრებელთა კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა.

ძირითადი ფუნქცია:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამების/პროექტების დაგეგმვა და მართვა;
- დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კომპანიების მართვა.

კვლევის ფარგლებში, სააგენტოში გენდერული მენისტრისთვის საერთო დონისა და იმ ზოგადი კონტექსტის შესაფასებლად, რომელშიც განხორციელდა პროგრამა „დანერგე მომავალის“ GIA, ჩატარდა RDA-ს პროგრამების მიმოხილვა და გენდერული შეფასება. RDA-ს პროგრამული ნაწილი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს ბიუჯეტის პრიორიტეტების⁴¹ შესაბამისად, სოფლის მეურნეობა მე-10 პრიორიტეტია. ყოველწლიურად მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 2-3% გამოიყოფა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის (MEPA). საერთო ჯამში, MEPA-ს დაფინანსებამ 2019 წელს 358 მილიონ ლარს მიაღწია. 2020 წელს 353 მილიონი ლარი იყო დაგეგმილი, თუმცა მოგვიანებით ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო 477 მილიონ ლარამდე გაიზარდა. სოფლის განვითარების სააგენტო 12 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამას მართავს და მასზე MEPA-ს ბიუჯეტის დაახლოებით 28% მოდის. პროგრამები, რომლებსაც RDA მართავს, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, „დანერგე მომავალი“ სიდიდით მეორე პროგრამაა, რომელსაც RDA მართავს და მასზე სააგენტოს მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 10% იხარჯება.

39 ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45>

40 2013 წლიდან APMA ახორციელებს მასშტაბურ პროექტებს სოფლის მეურნეობის სექტორის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ხოლო 2019

წელს, მისი მანდატის გაფართოების ასახვის მიზნით, ორგანიზაცია განახლდა, როგორც „სოფლის განვითარების სააგენტო“.

41 წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – <https://mof.ge/5261>

ცხრილი 3.

RDA-ს მიერ მართული პროგრამები (2020 წ.).

დასახელება		2020 წლის ბიუჯეტი (ათასი ლარი)	პროგრამის ბიუჯეტის წილი სოფლის განვითარების სააგენტოს მთლიან ბიუჯეტში, 2020 წ.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		476,860	-
სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები		131,995	-
1	შეღავათიანი აგროკრედიტი	74,000	56%
2	დანერგე მომავალი	13,000	10%
3	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება	12,000	9%
4	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა	9,295	7%
5	აგროდაზღვევა	9,000	7%
6	მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი	5,000	4%
7	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება	4,500	3%
8	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტის საგრანტო კომპონენტი (GEF, IFAD)	2,800	2%
9	პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა	1,500	1%
10	ქართული ჩაი	500	0%
11	ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი	300	0%
12	მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა	100	0%
სააგენტოს მიერ მართული პროგრამების ბიუჯეტის წილი სამინისტროს მთლიან ბიუჯეტში: 28%			

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ თემატურად შეაფასა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში, განსაკუთრებით RDA-ს მიერ მართულ პროგრამებში, ქალთა მონაწილეობა. ამ ანგარიშის თანახმად, RDA-ს პროექტები ღიაა ყველა მოქალაქისთვის და არ ითვალისწინებს რაიმე განსაკუთრებულ პირობას სქესის მიხედვით. ასეც რომ იყოს, წარსულში ზოგიერთ პროგრამას გენდერული კვთები ჰქონდა, რომლებიც გაუქმდა აპლიკანტების დაბალი

რაოდენობის გამო. ერთ-ერთი ასეთი პროგრამა იყო „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტი“, რომლის თანახმადაც, პროგრამის ბიუჯეტის 30% ქალებსა და 30 წლამდე ახალგაზრდებზე უნდა გაცემულიყო. თუმცა, ქალების დაბალი აქტიურობის გამო, ვერ მოხდა პროგრამის ბიუჯეტის ათვისება. ეს კვოტა 2019 წელს გაუქმდა და გადაწყდა კაცი ბენეფიციარების წილის გაზრდა.

ერთადერთი პროგრამა, რომელშიც ამჟამად კონკრეტულად გამოიკვეთა გენდერული კრიტერიუმები, არის სოფლად ახალგაზრდა მენარმეების მხარდაჭერის პროგრამა – „ახალგაზრდა მენარმე“, რომელიც პროგრამაში მონაწილეო ბისთვის ასაკობრივ ზღვარს აწესებს. კაცებისთვის ეს ზღვარი არის 18-დან 35 წლამდე, ხოლო ქალებისთვის – 18-დან 40 წლამდე. ქალების შემთხვევაში უფრო დიდი ასაკობრივი სხვაობა დაწესდა პროგრამაში მათი უფრო მაღალი ჩართულობის მისაღწევად.⁴²

2018 წელს RDA-ს მიერ განხორციელებული ყველა პროგრამის ჯამური გენდერული ბალანსი შემდეგია: 23% ქალი (15 400 ბენეფიციარი, თანადაფინანსების ოდენობა 25 031 000 ლარი⁴³) და 77% კაცი (52 100 ბენეფიციარი, თანადაფინანსების ოდენობა 152 562 000 ლარი⁴⁴). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება, სამწუხაროდ, სააგენტო ეფექტურად ვერ მართავს მონაცემებს უარყოფილი აპლიკანტების შესახებ, რაც განპირობებულია იმით, რომ მონაცემთა დიდი რაოდენობა იქმნება სხვადასხვა გზით – ონლაინ და ფიზიკურად, აპლიკაციებიდან. აქედან გამომდინარე, ამ მონაცემების შესაგროვებლად და გასაანალიზებლად სააგენტოს დამატებითი დრო და რესურსი დასჭირდება. RDA აანალიზებს ინფორმაციას მხოლოდ გამარჯვებული აპლიკანტების შესახებ, თუმცა ეს ინფორმაციაც არ არის დეტალური და გენდერულად სეგრეგირებული. ძნელია იმის დადგენა, რამდენად აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები პროგრამის საწყის ეტაპზე – განაცხადის შეტანისას. მსგავსი ინფორმაცია საშუალებას მოგვცემდა, დაგვედგინა ქალების აქტიურობის დონე საწყის, განაცხადის გაკეთების ეტაპზე, და შეგვეფასებინა მათი წარმატების დონე. შესაბამისად, გამოიკვეთებოდა, საჭიროებენ თუ არა ქალები ტექნიკურ დახმარებას ამ ბარიერის გადასალახად.⁴⁵

ბენეფიციართა მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ქალები ძირითადად მონაწილეობენ პროექტებში,

რომლებიც მცირე თანადაფინანსებას გულისხმობს. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, ქალთა მონაწილეობა ყველაზე მაღალი იყო აგრო დაზღვევის პროგრამაში, რომელსაც თანადაფინანსების ყველაზე დაბალი მოთხოვნა ჰქონდა. მეორე მხრივ, აგროკრედიტის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად (რომელიც ყველაზე მასშტაბურია RDA-ს პროგრამებში) და სადაც განმცხადებელს იპოთეკისთვის მოეთხოვება დიდი ქონება, ქალთა რაოდენობა ძალიან დაბალია იმის გამო, რომ ქალებს ამ ქონებაზე არ მიუწვდებათ ხელი და, შესაბამისად, არ შეუძლიათ მართვად დააკმაყოფილონ პროგრამის მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით უძრავი ქონების საკუთრების შესახებ არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ რეგისტრირებული უძრავი ქონების 56.1% კაცებს ეკუთვნით, ხოლო დანარჩენი, 43.9, ქალების საკუთრებაა (2010 – 2015 წწ), რეგიონებში ქონების მესაკუთრეობა უფრო არათანაბარია⁴⁶ და ხაზს უსვამს ამ კუთხით არსებულ გენდერულ უთანასწორობას, განსაკუთრებით სოფლად. ამკარაა, საწყის ეტაპზე არსებული ეს უთანასწორობა მოგვიანებით აისახება სოფლის მეურნეობაში ქალების ფინანსებსა და პროგრამების ხელმისაწვდომობაზე.

პროგრამა „დანერგე მომავალს“ აქვს თანადაფინანსების კომპონენტი და მოითხოვს მიწის საკუთრებას ან გრძელვადიან იჯარასაც, რაც განსაკუთრებით დიდ ბარიერს წარმოადგენს აპლიკანტებისთვის, განსაკუთრებით სოფლად, სადაც მიწის მესაკუთრეობის პროცენტული წილი მნიშვნელოვნად დაბალია. ეს აისახება პროგრამაში ქალთა მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელზეც. RDA-ს მიერ მოწოდებული 2019 წლის მონაცემებით, ამ პროგრამაში ქალების მონაწილეობა 22% იყო. ეს ფაქტი გასაკვირი არ არის, რადგან ქალებს უჭირთ საჭირო ფინანსების მოპოვება და მიწაც ძირითადად კაცის საკუთრებაშია. 2019 წელს მიწის მესაკუთრე კაცების წილი (61,6%) მნიშვნელოვნად აღემატებოდა მესაკუთრე ქალების წილს (38,4%)⁴⁷.

42 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა (2019 წ.).

43 რამაც შესაბამისი წლის მთლიანი თანადაფინანსების 14.1% შეადგინა.

44 რამაც შესაბამისი წლის მთლიანი თანადაფინანსების 85.9% შეადგინა.

45 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა (2019 წ.).

46 ქალები თითქმის ყველა რეგიონში ჩამორჩებიან ქონების რეგისტრაციის მხრივ, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ქალების ეს წილი 40%-ზე დაბალია (მაგალითად, დმანისში (34%), ბოლნისში (29%), მარნეულში (35%), ონში (39%), გურჯაანში (37%)). წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

47 წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მეტიც, საოჯახო მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის (იჯარით გაცემულის ჩათვლით) განაწილება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ დისბალანსს (2018 წელს საოჯახო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების 19%-ს ქალები მართავდნენ, ხოლო 81%-ს – კაცები)⁴⁸.

გარდა ამისა, „დანერგე მომავალი“ (ისევე როგორც RDA-ს სხვა პროგრამები) აფინანსებს არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ კოოპერატივებს. ბოლო მონაცემებით, ამჟამად საქართველოში 1 093 კოოპერატივია და საერთო ჯამში 10 964 მეპაიე. აღსანიშნავია, რომ მეპაიეთა მხოლოდ 24% არის ქალი, ხოლო ქალთა შორის მხოლოდ 5%-ია

კოოპერატივის თავმჯდომარე. ამასთან, სააგენტოს თანახმად, განხორციელებული პროექტებიდან გამომდინარე, კოოპერატივები, რომელთაც ქალები მართავენ, უფრო წარმატებულები არიან⁴⁹. მიუხედავად იმისა, რომ სოფლისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით ქალთა ჩართულობა და ეკონომიკური გაძლიერება მთავრობის პრიორიტეტია, კოოპერატივებში ქალ მეპაიეთა წილი ოთხჯერ ნაკლებია კაცებთან შედარებით. ქალების დაბალი ჩართულობა შესაძლოა გამოწვეული იყოს საკრედიტო და ფინანსურ რესურსებზე არათანაბარი წვდომითა და მიწის საკუთრების თვალსაზრისით არსებული უთანასწორობით.⁵⁰

საერთო ჯამში, RDA-ს პროგრამები პირდაპირ არ ახდენს ქალების დისკრიმინაციას და გენდერულად ნეიტრალურ პროგრამებად ითვლება. ამასთან, იმის გამო, რომ პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე არ მოხდა სექტორში არსებული გენდერული უთანასწორობის გათვალისწინება, ჯერ კიდევ არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელიც ამ პროგრამების ხელმისაწვდომობასა და ფინანსების განაწილებას ზღუდავს და ხელს უშლის სექტორში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროგრამებში მონაწილეობის მოთხოვნებისა და რესურსების არსებული გენდერული გადანაწილების შედარებისას, ცხადი ხდება რომ ამ პროგრამებში ქალების მონაწილეობა დაბალი იქნება. მიწის ან უძრავი ქონების მფლობელობამ, ფინანსური რესურსების ნაკლებობამ და საკრედიტო და სხვა რესურსებზე შეზღუდულმა წვდომამ შეიძლება შეზღუდოს ქალთა მონაწილეობა სოფლის მეურნეობის პროექტებში, შეაფერხოს მათი ეკონომიკური გაძლიერება და, შესაბამისად, წვლილი შეიტანოს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული გენდერული უთანასწორობის არსებობაში. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები აშკარად არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, ანალიზი მიუთითებს პროგრამების არაეფექტურობაზე არსებული განსხვავებების აღმოფხვრაში და, შესაბამისად, მომავალში სოფლის დაბალანსებულ და თანაბარ განვითარებაში. კიდევ ერთი გამოწვევაა გენდერულ როლებთან მიმართებაში არსებული ინსტიტუციური და საზოგადოებრივი ღირებულებები და ნორმები გავლენას ახდენს სააგენტოს პროგრამების განხორციელებაზე. საქართველოში, სოფლად, ქალის როლის უგულვებელყოფით, სადაც ისედაც ითვლება, რომ კაცი არის ოჯახის უფროსი და გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირი, ამ პროგრამების გენდერულ ნეიტრალიტეტს შეუძლია კიდევ უფრო გააძლიეროს გენდერული სტერეოტიპები. ამრიგად, RDA-სა და სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, რომლებიც მკაფიოდ არ გამოკვეთენ გენდერულ თანასწორობას თავიანთი პოლიტიკისა და პროგრამის შემუშავებისას, შეუძლიათ უნებლიეთ გააძლიერონ არსებული სოციალური სტატუს-კვო და გაზარდონ გენდერული უთანასწორობა.

48 წყარო: საქსტატი.

49 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა (2019 წ.).

50 გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის მთავრობა, კავშირი „საფარი“ (2017 წ.). ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/up-loads/other/86/86670.pdf>

ნაწილი 2. „დანერგე მომავალი“ – პროგრამის მიზანი გენდერულ ასპექტში

როგორც ზემოთ აღინიშნა, გენდერული ზეგავლენის ანალიზი ხორციელდება კონკრეტულ სახელმწიფო პროგრამაზე „დანერგე მომავალი“, რომელიც 2015 წელს დაინერგა MEPA-ს მიერ⁵¹. ეს პროგრამა შეირჩა RDA-სთან კონსულტაციის შედეგად, მისი დაფარვის არეალისა და მასშტაბის გამო. პროგრამა „დანერგე მომავალი“ ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში ხორციელდება და, RDA-ს მიერ განხორციელებულ სხვა პროგრამებთან შედარებით, ყველაზე მეტი ბენეფიციარი ჰყავს. გარდა ამისა, ეს პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს, მათ შორის სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს, რაც დამატებით ღირებულებას სძენს ანალიზს და საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს ისეთი სოციალური კატეგორიების ურთიერთკავშირი, როგორიცაა ეროვნება, სოციალური კლასი, სქესი და ამ კატეგორიების თანაკვეთის შემთხვევაში დაფიქსირებული დისკრიმინაცია და უთანასწორობა.

პროგრამას ახორციელებს RDA და იგი რეგულირდება საქართველოს მთავრობის 56-ე დადგენილებით⁵² (2015 წლის 12 თებერვალი). 2015 წლიდან დადგენილებაში დაამატეს ან/და შეიტანეს ცვლილებები, თუმცა პროგრამის ძირითადი მიზნები და ამოცანები უცვლელი დარჩა. დადგენილების თანახმად, პროგრამა მოიცავს საქართველოს⁵³ ყველა რეგიონს და აქვს ორი ძირითადი მიზანი:

- ხელი შეუწყოს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ეფექტურ გამოყენებას მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გზით, შესაბამისად, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის გაზრდას იმპორტის ჩანაცვლებისა და ნედლეულის ექსპორტის გაზრდით, და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

- ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების, მაღალი ხარისხის ფიტოსანიტარული სტანდარტების შესაბამისი, სუფთა სანერგე მასალის წარმოებას, რაც გაზრდის იმპორტულთან შედარებით უფრო იაფ ნედლეულზე ხელმისაწვდომობას მათთვის, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა ხელს უწყობს სანერგეებისა და მრავალწლიანი ბაღების განვითარებას რეგიონებში. პროგრამა ფოკუსირებულია ხილის წარმოებაზე, ძირითადად კერკოვან ხილზე, კენკროვნებზე, სუბტროპიკულ ხილსა და ციტრუსებზე, თესლოვან და კაკლოვან კულტურებსა და სუფრის ყურძენზე (საღვინე ვაზი). აქედან გამომდინარე, პროგრამა „დანერგე მომავალი“ სთავაზობს ბენეფიციარებს ფინანსურ მხარდაჭერას / სუბსიდირებას სამი კომპონენტისთვის⁵⁴:

- მრავალწლიანი ბაღები;
- სანერგეები;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების დამონტაჟება და ჭაბურღილის სატუმბი სადგურის მოწყობა.

პროგრამა 2020 წლამდე ითვალისწინებდა ფინანსურ მხარდაჭერას მხოლოდ პირველი ორი კომპონენტისთვის: მრავალწლიანი ბაღებისა და სანერგეებისთვის, თუმცა 2020 წლის მარტიდან RDA-მ შემოიღო სუბსიდირება სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების დამონტაჟებისა და ჭაბურღილის სატუმბი სადგურების მოწყობისთვის. პროგრამის თითოეული კომპონენტის ფინანსური მხარდაჭერის/სუბსიდირების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 დანართი.

ხილის სექტორის დივერსიფიკაციის სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს დაბალშემოსავლიანი ხილის სეზონური წარმოების ჩანაცვლებას მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი ბაღებით, 2018 წლის მაისში RDA-მ წარა-

51 იხილეთ: <https://mepa.gov.ge/En/>

52 დადგენილება სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2729265?publication=0>.

53 გარდა შემდეგი ხუთი თვითმმართველი ქალაქისა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი.

54 დადგენილების დანართებში მოცემულია, რომელ რეგიონში რომელი კულტურები ფინანსდება, ასევე, სხვა ტექნიკური და ფინანსური დეტალები.

დგინა მრავალწლიანი ბაღების კენკროვნების ქვე-კომპონენტის ფინანსური მხარდაჭერის გეგმა.

პროგრამის მოთხოვნების თვალსაზრისით, პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ფინანსური ან/და ტექნიკური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი უნდა:

- იყოს სრულწლოვანი და საქართველოს მოქალაქე ან საწარმო⁵⁵, რომელიც ოპერირებს საქართველოში;
- ფლობდეს რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ან ჰქონდეს გრძელვადიანი იჯარა⁵⁶ სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან (მრავალწლიანი ბაღების ქვეკომპონენტში მიწის ფართობი შეიძლება იყოს მინიმუმ 0,5 ჰა და მაქსიმუმ 50 ჰა); გარდა ამისა, მიწის ნაკვეთი, რომელიც განკუთვნილია ბაღებისთვის, უნდა იყოს უზრუნველყოფილი წყლის მუდმივი მიწოდების წყაროთი⁵⁷.

განაცხადის წარმოების პირველ ეტაპზე განმცხადებლებმა ნიადაგის ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზის შედეგები უნდა მიაწოდონ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, რომელიც დაადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთის ხარისხი ვარგისია იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, რომელთა მოყვანაც იგეგმება ნაკვეთზე პროგრამის ფარგლებში. შესაბამისობის შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გასცემს ცნობას პროგრამის ამ კრიტერიუმთან შესაბამისობის შესახებ, ცენტრის წარმომადგენლები კი ეწვევიან მიწის ნაკვეთს, რათა შეამოწმონ მიწის დამუშავებისა და მისი წყალმომარაგების წყაროების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. პროცესის ბოლო ეტაპზე განმცხადებელმა უნდა შეავსოს განაცხადის სტანდარტული ფორმა და წარუდგინოს RDA-ს. განაცხადის ფორმისა და თანდართული ყველა დოკუმენტის შემოწმების შემდეგ, RDA ამტკიცებს ან უარყოფს მოთხოვნას. განაცხადის დამტკიცების შემთხვევაში, იდება თანადაფინანსების ხელშეკრულება.

55 საწარმოს, რომელშიც სახელმწიფო პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს წილს ან აქციებს, არ შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება.

56 იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ 10 წელი.

პროგრამა „დანერგე მომავალზე“ ინფორმაციის გაზიარების მთავარი არხი სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტია, რომელიც, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების ფარგლებში, ინფორმაციას აწვდის პოტენციურ ბენეფიციარებს ადგილობრივ დონეზე. სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოებთან სიღრმისეული ინტერვიუების შედეგების მიხედვით, პოტენციურ ბენეფიციარებთან კომუნიკაციის შემდეგი ძირითადი არხები გამოიკვეთა: პროგრამის საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება მერიებში, თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან და მათი საინფორმაციო არხების მეშვეობით პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, და ბოლოს, სოფლებში კარდაკარ ვიზიტები. გარდა ამისა, პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია RDA-ს ვებ-გვერდზე⁵⁸, რომლის ნავიგაცია მარტივი, მოსახერხებელი და ინტერაქტიულია, და მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას. ამის მიუხედავად, RDA-ს ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამის ერთადერთი სარეკლამო ვიდეო იყენებს გენდერულ სტერეოტიპებს და აძლიერებს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ ნორმებს (ასახავს ორი კაცის ისტორიას, რომლებიც მემკვიდრეობით იღებენ მიწას და რჩევას სთხოვენ სხვა კაცებს), რაც ნაკლებად უწყობს ხელს ქალთა მონაწილეობას პროგრამაში. გარდა ამისა, მთლიანი (1.5 წთ) ვიდეოს განმავლობაში, არ არსებობს ქალების ეკრანზე გამოჩენის არცერთი ეპიზოდი.

მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდების სკრინინგის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობა არსებობს, რადგან მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე შეზღუდულია ან საერთოდ არ არის ინფორმაცია პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ ან იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ვებ-გვერდზე, ის ხშირად არასრულყოფილი ან მოძველებულია.

57 რაც გამოიხატება მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით ტბის, მდინარის, მდინარის არხის ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე ჭის ან ჭაბურღილის არსებობით.

58 იხილეთ: http://rda.gov.ge/projects/read/plant_future/2:parent

საერთო ჯამში, პროგრამა „დანერგე მომავლის“ მიზნები ძალიან ზოგადია, არადისკრიმინაციული და, ყველას, სქესის განურჩევლად, შეუძლია პროგრამებში მონაწილეობის მიღება. თუმცა არ არსებობს სპეციალურად განსაზღვრული გენდერული მიზნები. ამ პროგრამის შედეგები და ინდიკატორები არც გენდერულ ასპექტებს არ ითვალისწინებს, რადგან პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან პროგრამა აღქმულია როგორც თანაბრად ხელმისაწვდომი და არ საჭიროებს კონკრეტულ გენდერულ მიზნობრიობას და სოციალური ინკლუზიურობის დამატებით მექანიზმებს პროგრამაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

GIA-ის გუნდის მიერ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე აშკარაა, რომ პოლიტიკის გამტარებლები ამ პროგრამას აღიქვამენ როგორც გენდერულად ნეიტრალურს და ზოგ შემთხვევაში გენდერულად მგრძნობიარეს, რადგან ის ხელმისაწვდომია სამიზნე მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის და არ ქმნის რაიმე ბარიერს პოტენციური მონაწილეებისთვის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ არსებულ გენდერულ განსხვავებებს ზემოთ განხილულ რესურსებში, პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს გენდერულად ბრმა⁵⁹, ქალისა და კაცის განსხვავებული როლების, შესაძლებლობების, არსებული უთანასწორობის, ძირითადი საჭიროებებისა და პრიორიტეტების უგულებელყოფიდან გამომდინარე. ამ და მსგავს პროგრამაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად და ქალების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, შესაბამისი მექანიზმების არარსებობა მიუთითებს საჯარო დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის საკითხის მიმართ ყურადღების ნაკლებობასა და იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო უწყებები თავის პროგრამებში გენდერული საკითხების ინტეგრირების პროცესის საწყის ეტაპზე იმყოფებიან.

ნორმებსა და აღქმაში ცვლილებებს დრო სჭირდება. ამრიგად, პოლიტიკის შემქმნელებისთვის მნიშვნელოვანია არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრისკენ ძალისხმევის მიმართვა. ამ მიმართულებით GIA შეიძლება ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს საჯარო პოლიტიკისათვის.

გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების პოტენციური გავლენა მრავალმხრივია და გენდერული ასპექტების სწორად ინტეგრირების შემთხვევაში პროგრამა „დანერგე მომავალი“ შეიძლება გახდეს ასეთი პროგრამა. ასეთი პროგრამები, უპირველეს ყოვლისა, შეესაბამება ევროკავშირის დღის წესრიგს გენდერული თანასწორობის შესახებ. მეორეც, ამ ტიპის შეფასებები აძლიერებს მიზნობრიობას და ანგარიშვალდებულებას ბიუჯეტის განაწილების თვალსაზრისით. და ბოლოს, ისინი ემსახურებიან გამჭვირვალობის ამაღლებას და შეესაბამებიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში წამოწყებულ რეფორმებს – ევროკავშირისა და მის ექვს აღმოსავლეთ პარტნიორს შორის ურთიერთობების წარმართვის საერთო ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება ისეთ **ორმხრივ შეთანხმებებს**, როგორიცაა ასოცირების ხელშეკრულება, ასოცირების დღის წესრიგი და პარტნიორობის პრიორიტეტები და **აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 შედეგი 2020 წლისთვის** შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით: (1) უფრო ძლიერი ეკონომიკა; (2) უფრო ძლიერი მმართველობა; (3) უფრო მტკიცე კავშირები და (4) უფრო ძლიერი საზოგადოება, ასევე გენდერის, სამოქალაქო საზოგადოების და სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხების გადასაჭრელად დასახული მიზნები.

59 გენდერის მიმართ სიბრმავე გულისხმობს სხვადასხვა სოციალური პრაქტიკის, პოლიტიკისა თუ ინსტიტუტის ფუნქციონირებაში გენდერული ასპექტის შემჩნევის უუნარობას. გენდერულად ბრმა მიდგომა ეფუძნება

დაშვებას, რომ კონკრეტულ სოციალურ მოვლენას ან აქტივობას ერთნაირი და თანაბარი გავლენა აქვს ქალებსა და კაცებზე. იხილეთ: <https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1157>

ნაწილი 3. პროგრამა „დანერგე მოგავლის“ გენდერული შესაბამისობა

მისი მიზნისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მოგავალს“ აქვს მრავალმხრივი როლის შესრულების პოტენციალი გენდერულ თანასწორობაში შეტანილი წვლილის თვალსაზრისით:

- (i) ერთი მხრივ, მას აქვს პოტენციალი, გავლენა მოახდინოს **პრაქტიკულ გენდერულ საჭიროებებზე**, რადგან ამ პროგრამაში მონაწილეობით ქალებს შეუძლიათ ყოველდღიურად საკუთარი თავისა და შინამეურნეობის დახმარება;
- (ii) მეორე მხრივ, მას შეუძლია ხელი შეუწყოს **სტრატეგიულ გენდერულ საჭიროებებს**, ქალთა ეკონომიკურ საქმიანობასა და სოციალური ნორმების ცვლილებაზე გავლენის მოხდენის გზით, რადგან პროგრამაში მონაწილეობა შეიძლება გახდეს ქალის გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობა (სოფლის მეურნეობის პოლიტიკაში გენდერული ანალიზის მნიშვნელობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 5).

თუმცა ამ პოტენციალის სრულად ასათვისებლად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას პროგრამის გენდერული შედეგები, არსებული განსხვავებები პროგრამის მოთხოვნებსა და შემოსავლების გენერირებაში, ასევე ქვეყანის სოციალური სისტემა.

პროგრამის პირობებიდან გამომდინარე, მასში მონაწილეობის მიღების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია **რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება** ან გრძელვადიანი იჯარა სახელმწიფოსგან. ამასთან, ქვემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, რომ ამ კრიტერიუმით (მიწის საკუთრება ან იჯარა) ქალების დიდი ნაწილი უნებლიეთ გამოირიცხება პროგრამაში მონაწილეობიდან.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების კუთხით, გენდერული უთანასწორობა ძალიან მაღალია. საქართველოში 2014 წლის სოფლის მეურნეობის ეროვნული აღწერის თანახმად⁶⁰, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეადგენს 788 ათას ჰა-ს, აქედან 87% (681.1 ათასი ჰა) საოჯახო მეურნეობების სარგებლობაშია და მხოლოდ 13%-ია (106.6 ათასი ჰა) კერძო კომპანიების სარგებლობაში. ასევე, მაღალია მიწის ფრაგმენტაციის დონე, რადგან მეურნეობების უმეტესობა (77%) მუშაობს 1 ჰა-ზე ნაკლებ მიწის ფართობზე და მათზე მოდის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწის 21.5%. საოჯახო მეურნეობებისა და კერძო კომპანიების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საშუალო ზომა, შესაბამისად, 1.2 და 49.2 ჰექტარია. რაც შეეხება საოჯახო მეურნეობების საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის გენდერულ განაწილებას, მიწის მთლიანი ფართობის საშუალოდ 82% (იჯარის ჩათვლით) კაცებს ეკუთვნით⁶¹. ქალების წილი მიწის მესაკუთრეთა შორის 2019 წელს 38.4%-ს შეადგენდა⁶².

რაც შეეხება მიწაზე საკუთრების უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციის (მუხლი 21) თანახმად, ქალებსა და კაცებს აქვთ თანაბარი უფლებები მემკვიდრეობასა და ქონებაზე ქორწინებაში და განქორწინების შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 1161) აღნიშნავს, რომ ის ქონება, რომელიც მეუღლეს გადაეცა/ფლობდა ქორწინებამდე, ამ მეუღლის ცალკე საკუთრებაა. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური პრაქტიკა კვლავ მტკიცედ ემხრობა კაცებისთვის მიწის მემკვიდრეობით საკუთრებაში გადაცემას, ქალები იშვიათად ითხოვენ მემკვიდრეობის უფლებას მათი ოჯახის მიწაზე და აქვთ შეზღუდული, ან საერთოდ არ აქვთ უფლება იმ მიწაზე, რაც ქმრებს გადაეცათ/ან ქმრები ფლობდნენ ქორწინებამდე. ეს მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებაში.

კიდევ ერთი გამოწვევაა მიწის რეგისტრაცია. საქართველოში კვლავ მიმდინარეობს მიწის რეგისტრაციის რეფორმა. ამ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 30%-ზე ნაკლებია

60 იხილეთ: <http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2016/04/AG-Census-Release.pdf>

61 წყარო: საქსტატი, სტატისტიკური მონაცემების ბაზა.

62 წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.


რეგისტრირებული⁶³, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრი ფერმერი კვლავ ამუშავებს მიწას, რომელზეც არ აქვს ყველა საჭირო საბუთი ან საბუთები არის მოძველებული და საბუთში წარმოდგენილი აღწერილობა არ ემთხვევა ნაკვეთის რეალურ საზღვრებს. არსებული სოციალური ნორმების გამო, მიწის რეგისტრაციის პრაქტიკაშიც შეიმჩნევა გენდერული ტენდენცია გენდერული როლების თვალსაზრისით; მაშინაც კი, თუ ქალები ფლობენ მიწას, ის იშვიათად არის რეგისტრირებული მათ სახელზე.

რეგისტრაციის არარსებობა, როგორც წესი, ამცირებს ქალის შესაძლებლობას, მიიღოს სხვადასხვა სახელმწიფო სუბსიდია. თუმცა 2019 წლიდან მიწის რეგისტრაციის რეფორმამ უზრუნველყო მეუღლეებს შორის მიწის თანარეგისტრაციის შესაძლებლობა და პროგრამის ბენეფიციართა სიაში დაახლოებით 2% წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის თანამესაკუთრებს (კაცი და ქალი) (მენარმეებსა და ფიზიკური პირებში).

2018 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის⁶⁴ მიერ „პილოტურმა კვლევამ გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მენარმეობაზე“ გამოავლინა ორი მნიშვნელოვანი ფაქტი: 1. აქტივების საკუთრებაში აშკარაა გენდერული სხვაობა თითქმის ყველა ტიპის აქტივებში და უპირატესობა ენიჭება კაცებს; 2. საკუთრების მაჩვენებლები რეალურად უფრო მაღალია, ვიდრე დოკუმენტურად ჩანს⁶⁵. ეს ორი დასკვნა ცხადყოფს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ქალებში არსებობს რეალური (არა აუცილებლად ლეგალური) საკუთრების უფლების არსებობის პრობლემა, რაც წარმოადგენს გენდერული სტერეოტიპების ნიშანს შესაბამის კულტურასა და საზოგადოებაში. მეორე, კვლავ გამოწვევად რჩება ყველა უძრავი ქონების ოფიციალური რეგისტრაცია რეესტრში – ამრიგად, შესაძლოა ადამიანმა მოიხსენიოს ქონება როგორც საკუთარი, მაგრამ ეს ქონება არ ჰქონდეს ოფიციალურად დარეგისტრირებული.

გრაფიკი 2.

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განაწილება სქესისა და საკუთრების ფორმის მიხედვით (%)



წყარო: საქსტატი

63 FAO, *Gender, agriculture and rural development in Georgia – Country Gender Assessment Series* (Rome, 2018). ხელმისაწვდომია: <http://www.fao.org/3/ca0577en/CA0577EN.pdf>

64 იხილეთ: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3212>

65 პირი ითვლება განცხადებულ მფლობელად, თუ შინამეურნეობაში ერთი რესპონდენტი მაინც

აცხადებს, რომ ეს ადამიანი არის კონკრეტული ქონების მფლობელი და ითვლება დოკუმენტირებულ მფლობელად, თუ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში (ოფიციალურ რეესტრში) მითითებულია პირის სახელი (საქსტატი (2018 წ.). პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მენარმეობაზე). იხილეთ: <https://www.geostat.ge/media/21027/EDGE-Report-ENG-Final.pdf>

როგორც გრაფიკი 2 გვიჩვენებს, საკუთრების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში, საცხოვრისის შემთხვევაშია. გარდა ამისა, ყველაზე მაღალი სხვაობა (პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით) საცხოვრისის ფაქტიურ და დოკუმენტირებულ (იურიდიულ) საკუთრებაშია (80% და 46% კაცებში, ხოლო ქალებში 76% და 33%). სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შემთხვევაში, ქალების მიერ იურიდიული მფლობელობა თითქმის სამჯერ დაბალია, ვიდრე ფაქტიური მფლობელობა (13% და 34%) ერთი და იმავე აქტივის შემთხვევაში; კაცთა დაახლოებით 48% აცხადებს, რომ ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და მათგან მხოლოდ 31% ფლობს მას იურიდიულად.

საკუთრების მაჩვენებელი სხვა უძრავი ქონების კატეგორიაში⁶⁶ საკმაოდ დაბალია საცხოვრისთან და სასოფლო-სამეურნეო მიწებთან შედარებით. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადად, გენდერული უთანასწორობა უფრო გამოხატულია სოფლად. სოფლად და ქალაქში საცხოვრისის და სხვა უძრავი ქონების კატეგორიებში საკუთრების მაჩვენებელში მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის, თუმცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების მაჩვენებელი სოფლად უფრო მაღალია, რადგან სოფლის მეურნეობა სოფლად მცხოვრები ადამიანების ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა.

კვლევის თანახმად, უძრავი ქონების მფლობელთა სქესის და სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლების (ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით) მიხედვით ანალიზმა რამდენიმე საინტერესო ფაქტი გამოავლინა:

1. ყველა სახის აქტივებში (საცხოვრებელი ფართი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სხვა უძრავი ქონება) საკუთრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის დაოჯახებულ ადამიანებზე როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში. შემდეგი

ქალების შემთხვევაში არის კატეგორია „ქვრივი ან განქორწინებული“ ქალები (17%-28%), და კაცების შემთხვევაში დაახლოებით მსგავსი წილი (17%-21%) მოდის მარტოხელა კაცებზე (კატეგორია „არასოდეს ყოფილა ქორწინებაში“). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქორწინება გავლენას ახდენს ქალის მიერ ქონების საკუთრებაში ფლობაზე, თუმცა კაცისთვის ეს ასე არ არის.

2. არ არსებობს დიდი გენდერული სხვაობა ქონების საკუთრების თვალსაზრისით განათლების დონის მიხედვით. დაწყებითი ან დაბალი განათლების მქონე ადამიანების ძალიან მცირე წილი (4%-ზე ნაკლები) ფლობს აქტივებს. საცხოვრებელი სახლებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შემთხვევაში, კაცთა და ქალთა უმეტესობას საშუალო განათლება აქვთ მიღებული. „სხვა უძრავი ქონების“ კატეგორიაში, ქალებისა და კაცების უმეტესობას (50%-ზე მეტი) აქვს უმაღლესი განათლება ან მეტი.
3. აქტივების მფლობელთა უმეტესობა დასაქმებულია. მიუხედავად ამისა, მაინც მაღალია იმ ქალების წილი (38%-52%), ვინც ფლობს სხვადასხვა სახის აქტივებს, მაგრამ არ არის დასაქმებული. ანალოგიური მაჩვენებელი კაცებში არის 23%-34%.
4. ასევე არ არის დიდი გენდერული განსხვავება აქტივების მფლობელობაში ასაკის თვალსაზრისით, თუმცა ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთა საინტერესო ფაქტები. აქტივების მფლობელი ქალებისა და კაცების დაახლოებით 30%-36% არის 30-49 წლის, ხოლო მათი დაახლოებით 25%-37% არის 60 წლის ან უფროსი. განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შემთხვევაში, „60+“ ასაკობრივი კატეგორიის საკუთრების წილი აჭარბებს ყველა დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფის საკუთრების წილს. ეს, ფაქტობრივად, გულისხმობს იმას, რომ ბევრი ქალი და კაცი ფლობს (და, სავარაუდოდ, არ იყენებს) რესურსებს იმ ასაკში, როდესაც ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით მათი პროდუქტიულობა დაბალია.

66 სხვა უძრავი ქონება ეხება საცხოვრებელ და არარეზიდენტ შენობებს, გარდა საცხოვრებელი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018 წ.). პილოტური კვლევა

გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მენარმოებაზე). ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/media/13803/EDGE-Report-GEO-Final.pdf>


კვლევის კიდეც ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ საკუთრების ფორმების მიხედვით აქტივების განაწილებაში ფიქსირდება განსხვავება. ადამიანები ხშირად აფასებენ აქტივების მფლობელობას როგორც „ყველა ოჯახის წევრის მიერ ერთობლივი საკუთრება“ აქტივების ყველა კატეგორიაში, მაგრამ იურიდიულად (დოკუმენტირებულად) საკუთრება ძირითადად „ექსკლუზიურად კაცისაა“. გენდერული განსხვავება კაცების სასარგებლოდ უფრო მეტია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში. „სხვა უძრავი ქონების“ კატეგორიის შემთხვევაში, დოკუმენტურად (იურიდიულად) ფლობის შემთხვევაში, „ექსკლუზიურად ქალის“ საკუთრება ყველაზე მაღალია სხვა აქტივების კატეგორიებთან შედარებით. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ აქტივის გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის შესახებ გადამწყვეტილება ხშირად კონსულტაციებით (ოჯახის სხვა წევრებთან ერთად) წყდება, თუმცა ყველა კატეგორიის აქტივის შემთხვევაში აქტივის გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის გადამწყვეტილებას კაცი იღებს. ეს გენდერული უთანასწორობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კატეგორიების შემთხვევაში. გარდა ამისა, გაცილებით მეტმა ქალმა, ვიდრე კაცმა, განაცხადა, რომ „უფლება არ აქვთ“, მიიღონ მონაწილეობა აქტივების გა-

ყიდვასა და ანდერძით გადაცემაში. აღსანიშნავია აქტივების მიღების გზებიც: ქალისა და კაცის შემთხვევაში ყველა აქტივის „შენაძენის“ გზით მიღება მოხდა. გარდა ამისა, კაცი მფლობელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქონება მიიღო საჩუქრად და მემკვიდრეობის გზით, ხოლო ქალებმა ძირითადად ქორწინების შედეგად (საქორწინო კანონით/ჩვეულებით მიღებული).

ეკონომიკური საქმიანობის⁶⁷ შესახებ რეგიონული მონაცემები მნიშვნელოვანია მსგავსი პროგრამების კონტექსტის შესაფასებლად. დასაქმების შესახებ ბოლოდროინდელი მონაცემების თანახმად, ქვეყნის სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია თბილისში, რომელსაც მოყვება იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები. გარდა ამისა, თბილისში დასაქმების დონე მხოლოდ 43%-ია. დედაქალაქისგან განსხვავებით, საქართველოს სხვა რეგიონებში შედარებით მაღალი აქტივობა და დასაქმების დონეა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რეგიონებში მოსახლეობის უმეტესობა (55%-70%) თვითდასაქმებულია (თბილისში ეს რიცხვი მხოლოდ 16%-ია). თვითდასაქმებული პირები წარმოადგენენ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 24%-ს ქალაქად და 73%-ს სოფლად, სადაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მთავარ ეკონომიკურ საქმიანობას.

გრაფიკი 3.

ეკონომიკური აქტივობა ქალაქად და სოფლად (2019 წ.)



წყარო: ავტორის გამოთვლები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით


67 იხილეთ: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>

საინტერესოა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის შესახებ ინფორმაცია გენდერულ და ასაკობრივ ჯგუფში. ერთი მხრივ, ქვეყანაში უმუშევრობის დონე უფრო დაბალია ქალებში (10%), ვიდრე კაცებში (13%), მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი (55%), ისე დასაქმების დონე (49%) ქალებისთვის ბევრად ჩამოუვარდება კაცების ანალოგიურ მაჩვენებლებს (73% და 63% შესაბამისად). ამის მიზეზი ის არის, რომ სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის 66% ქალია, შესაბამისად, სამუშაო ძალაში ქალების საერთო რაოდენობა დაბალია და, შესაბამისად, უმუშევრობის დონეც ქალებში უფრო დაბალია, ვიდრე კაცებში. ეს არ ნიშნავს, რომ ქალების მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე კაცების, რადგან ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი და დასაქმების მაჩვენებელი აჩვენებს, რომ ქალების დიდი რაოდენობა სამუშაო ძალაში არ შედის, ვინაიდან არ ეძებს სამუშაოს ან არ არის მზად მის დასაწყებად. ეს სიტუაცია მიუთითებს სამუშაო ძალაში გენდერულ დისბალანსზე და ქმნის ისეთ სურათს, სადაც ქალები წარმოადგენენ აუთვისებელ რესურსს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

შრომის ბაზრის ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ასაკის მატებასთან ერთად უმუშევრობის დონე მკვეთრად მცირდება. როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა ნაჩვენები, ეს შემცირება მკვეთრია დაწყებული 15 წლიდან 65 წლამდე, ასაკის ცვლილებასთან ერთად, უმუშევრობის დონეც მცირდება 30%-დან და 2%-მდე შესაბამის ასაკობრივკატეგორიაში, რადგან ასაკის მატებასთან ერთად სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ადამიანების რიცხვი იზრდება, ვინაიდან ბევრი ადამიანი გადის პენსიაზე. ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი და დასაქმების დონე მაქსიმუმს (შესაბამისად 79% და 70%) აღწევს 35-49 წლის ასაკობრივი კატეგორიის შემთხვევაში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულ ადამიანებში აღწევს მაქსიმუმს (66%) 20-34 წლის ასაკობრივი კატეგორიის შემთხვევაში⁶⁸. შემდეგ, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება თვითდასაქმების წილი, რომელიც თავის მაქსიმუმს (73%) აღწევს საპენსიო ასაკის (65+) ეტაპზე. ეს ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ საპენსიო ასაკის ადამიანები თვითდასაქმების ხარჯზე კვლავ წარმოადგენენ როგორც აქტიური მოსახლეობის, ისე დასაქმებულთა მნიშვნელოვან ნაწილს (შესაბამისად 13% და 14%) მთელი ქვეყნის სამუშაო ძალაში.

გრაფიკი 4.

ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში, გენდერის მიხედვით (2019 წ.)



წყარო: ავტორის გამოთვლები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

68 დაქირავებული თანამშრომელი არის 15 წლის ან ზემოთ ასაკის პირი, რომელიც გარკვეული ტიპის სამუშაოებს ასრულებდა საანგარიშო პერიოდში,

ფულადი სახსრების ან ნატურალური შემოსავლის ან სხვა კომპენსაციის მისაღებად. წყარო: <https://www.geostat.ge/media/28955/samushao-dzalis-gamokvl-eva-%28eng%29.pdf>

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტენდენცია გამო-
წვეულია ქართველ საზოგადოებაში არსებული
გენდერული როლებით, რომლებიც გამოიხატება
განსაკუთრებით სოფლად და, შესაბამისად,
სოფლის მეურნეობის სექტორში. სექტორში
შრომის დანაწილებისას არსებობს განსხვავებული
როლები, რომლებიც აღიქმება როგორც „კაცის“⁶⁹
ან „ქალის“⁷⁰ საქმე. ქალები საქართველოში ძირი-
თადად დაკავებული არიან საყოფაცხოვრებო და
სამინაო მოხმარებითვის სასოფლო-სამეურნეო
კულტურების წარმოებით, ხოლო კაცები პასუ-
ხისმგებელი არიან მაღალშემოსავლიანი (ე.წ.
„cash crop“⁷¹) და საექსპორტო კულტურების
წარმოებაზე – ნედლეული სამრეწველო წარმო-
ებისთვის ან საერთაშორისო ბაზრებზე ექსპო-
რტისთვის⁷². ვინაიდან პროგრამა „დანერგე მო-
მავლის“ მიზანია ადგილობრივად ნედლეულის
წარმოების გაზრდა და იმპორტის ჩანაცვლება,
პროგრამის მოთხოვნები არაგამიზნულად მხარს
უჭერს კაცის მიერ წარმოებული სასოფლო-სა-
მეურნეო კულტურების მოყვანას.

გარდა ამისა, ბაზარზე კონკურენციის გამო, მა-
ღალშემოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულ-
ტურების (ე.წ. cash crops) წარმოება მოითხოვს
უფრო მეტ ინფორმაციას ახალ ტექნოლოგიებზე,
ნედლეულის ფასებზე და ა.შ. კავშირები ამ

ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემის ერთ-ერთი
ძირითადი წყაროა. კაცებს, როგორც წესი, უკეთესი
ინფორმაცია აქვთ უფრო ძლიერი კავშირების
გამო. ლიტერატურის თანახმად, ქალებს აქვთ
ნაკლებად განვითარებული საინფორმაციო კავ-
შირები – ქსელები, ცოდნის გადაცემაც სუსტად
ხდება⁷³. ზოგადად, ქალები ნაკლებად არიან
ინფორმირებულები, ვიდრე კაცები, და იშვიათად
აქვთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ადგილო-
ბრივ შეხვედრებსა ან ტრენინგებში⁷⁴. ამრიგად,
ინფორმირებულობის დაბალი დონე და სუსტი
კავშირები შეიძლება დამატებითი დაბრკოლება
იყოს ქალებისათვის პროგრამაში მონაწილეობის
მისაღებად. ამ შემთხვევაში ქალების ცნობიერების
ამაღლებასა და ინფორმაციის გაზიარებაზე მი-
მართული დამატებითი ძალისხმევის გარეშე,
ქალები შესაძლოა დარჩნენ ამ არახელსაყრელ
მდგომარეობაში. ამ პრობლემის გადაჭრა შესა-
ძლებელია ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღ-
ლების გზით, ქალებში მარკეტინგისა და ბიზნესის
შესახებ ცოდნის გაზრდით, მექანიზაციისა და
ტექნოლოგიების გამოყენების სწავლების საშუა-
ლებით (ხშირად ხდება ისე, რომ ქალებს არ
შეუძლიათ გამოიყენონ ან ფიზიკურად ძალიან
რთულია ქალებისათვის პრაქტიკაში მათი გამო-
ყენება) და სხვა მნიშვნელოვანი სასოფლო-სამე-
ურნეო ინფორმაციის მიწოდებით.

69 მაგალითად, სხვადასხვა კულტურების წარმოებაში
კაცები ყურადღებას ამახვილებენ ბაზარზე
ორიენტირებულ ანუ მომგებიანი კულტურების
წარმოებაზე, ხოლო ქალები ხშირად კავდებიან
საარსებო/საოჯახო კულტურებით, მცირე კულტურებით
და ბოსტნეულით. World Bank, FAO and IFAD, Gender
in Agriculture: Sourcebook (Washington, D.C., The
International Bank for Reconstruction and Develop-
ment and The World Bank, 2009). ხელმისაწვდომია:
<http://www.fao.org/tempref/docrep/fao/011/aj288e/aj288e.pdf>.

70 მაგალითად, მებაღეობაში ქალების მიერ ხდება
თესლის განმეწმადე, თესლის მომზადება და თესვა,
სათბურშიც ქალები მუშაობენ. P. C. Tripathi and oth-
ers, eds., Role of Women in Horticulture and women
friendly technologies (Bhubaneswar, Orissa, India,
Directorate of Research on Women in Agriculture,
2012). ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/303802575_Role_of_Women_in_Horticulture_and_women_friendly_technologies

71 სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის მოყვანაც
გასაყიდად ხდება. ეს ტერმინი გამოიყენება ბაზარზე
გატანილი კულტურების საკუთარი მოხმარებისთვის
წარმოებული კულტურებისგან განსხვავებისთვის.

72 FAO, Gender, agriculture and rural development in
Georgia; UN Women, The Gender Gap in Agricul-
tural Productivity in Sub-Saharan Africa: Causes,
Costs and Solutions (2019). ხელმისაწვდომია:
<https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2019/un-women-policy-brief-11-the-gender-gap-in-agricultural-productivity-in-sub-saharan-africa-en.pdf?la=en&vs=1943>

73 გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის
მთავრობა, კავშირი „საფარი“, ქალთა ეკონომიკური
გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის
და ინიციატივების ანალიზი.

74 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, შვეიცარიის
განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და
ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა, სოფლის
მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების
სისტემების გენდერული შეფასება საქართველოში
(2018 წ.). ხელმისაწვდომია: <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/agri%20and%20local%20dev%20georgia.pdf?la=en&vs=4604>

არსებული გენდერული როლები გავლენას ახდენს ტრენინგის ტიპსა და ხელმისაწვდომობაზეც. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლამდე „დანერგე მომავლის“ თითოეული ქვეკომპონენტის შემთხვევაში სავალდებულო იყო ტრენინგების გავლა. ეს მოთხოვნა 2019 წლის შემდეგ ძალაში დარჩა მხოლოდ კენკროვნების ქვეკომპონენტისთვის. ეს ტრენინგები ჩვეულებრივ ტარდებოდა სააგენტოს შენობაში, ძირითადად თბილისში და ამიტომ ფიზიკური წვდომა/მოძილობა შეიძლება გამხდარიყო ქალებისთვის ტრენინგში მონაწილეობის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი. ტრენინგები არ ითვალისწინებდა ქალისა და კაცის საბაზისო ცოდნაში განსხვავებასაც, რაც, ტრენინგებში ქალისა და კაცის თანაბარი რაოდენობრივი ჩართულობის მიუხედავად, დიდი ალბათობით, არათანაბარ გავლენას მოახდენდა კაცსა და ქალზე ტრენინგამდე არსებული გასხვავებების გამო.

გარდა ამისა, პროგრამას აქვს ირიგაციის კომპონენტი, რადგან მორწყვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემის გენდერული შეფასების თანახმად⁷⁵, გამოკითხულთა 35%-50%-მა დააფიქსირა სარწყავ წყალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა როგორც მიწის დამუშავების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა (გამონაკლისია მხოლოდ აჭარისა და სამეგრელოს რეგიონები). მეტიც, წყლის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და სარწყავი სისტემის განვითარება ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია და მას ახორციელებს იუსტიციის სახლი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, მიწის ბაზრის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

ამასთან, ყველა ფერმერი თანაბრად ვერ იღებს სარგებელს ირიგაციიდან. ასეთი ფერმერები ძირითადად ის ქალები არიან, რომელთა საჭი-

რობები და ინტერესი უგულებელყოფილია სარწყავი სისტემის დიზაინისა და იმპლემენტაციის პროცესში. დარგული კულტურების სახეობა, ბენეფიციარი ქალებისა და კაცების საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი და ადგილმდებარეობა განსხვავდება. ქალებმა და კაცებმა შეიძლება განსხვავებულ სარწყავ ტექნოლოგიებს მიანიჭონ უპირატესობა. იმის გათვალისწინებით, რომ კაცებს, როგორც წესი, აქვთ უფრო დიდი მიწის ნაკვეთები, მეტად მიუწვდებათ ხელი ფინანსურ რესურსებზე და მეტად მობილურები არიან, უკეთესი შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ თანამედროვე სარწყავი ტექნოლოგიები (წვეთვანი მორწყვა, ძრავის ტუმბოები და სხვ.). მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ქალები ძირითადად უფრო მცირე მიწის ნაკვეთებს ფლობენ და ფინანსებზე შეზღუდული წვდომა აქვთ, ისინი, სავარაუდოდ, დაეყრდნობიან შრომის ინტენსიურ მორწყვას. ამრიგად, სარწყავი სისტემის თანადაფინანსების შეთავაზებისას, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერული ასპექტები, რომლებიც ამჟამად არ არის გაკეთებული.

ამასთან, საერთაშორისო ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ როდესაც მეურნეობას, რომელსაც მართავს ქალი, აქვს წვდომა იგივე რესურსებზე (სამუშაო ძალა, მაღალმოსავლიანი კულტურები⁷⁶, პესტიციდები და სასუქი, განათლება, გაუმჯობესებული ტექნოლოგიები, ფინანსები, მიწა და სხვ.), რაზეც ხელი მიუწვდება კაცის მიერ მართულ მეურნეობებს, ქალების მეურნეობები ისეთივე წარმატებულია, როგორც ის მეურნეობები, რომელთაც მართავენ კაცები⁷⁷. ამასთან, როგორც წესი, საქართველოში მექანიზაციასთან, პესტიციდებთან/სასუქებთან და სარწყავ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი, „კაცის საქმედ“ ითვლება, იქიდან გამომდინარე, რომ კაცები უფრო მობილურები არიან და უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ ფერმერულ ორგანიზაციებთან. ამიტომ ქალებს შეიძლება უფრო მეტი გამოწვევა

75 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა, *სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება საქართველოში (2018 წ.)*.

76 მაღალმოსავლიანი / მაღალი ღირებულების კულტურებში შედის ე.წ. cash crops და საექსპორტო კულტურები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, კაცები

ამუშავებენ. UN Women, *The Gender Gap in Agricultural Productivity in Sub-Saharan Africa*.

77 C. Doss, If women hold up half the sky, how much of the world's food do they produce? (FAO, Agricultural Development Economics Division, 2011). ხელმისაწვდომია: <http://www.fao.org/3/a-am309e.pdf>; UN Women, *The Gender Gap in Agricultural Productivity in Sub-Saharan Africa*.

ჰქონდეთ სარწყავ სისტემებზე, მექანიზაციასა და წარმოების სხვა საშუალებებზე წვდომის კუთხით⁷⁸. იმის გათვალისწინებით, რომ ნაკვეთთან ახლოს სარწყავი სისტემის ან წყლის წყაროს არსებობა პროგრამაში მონაწილეობის ერთ-ერთი მოთხოვნაა, ის განიხილება როგორც პროგრამის კიდევ ერთი გენდერულად დისკრიმინაციული კომპონენტი.

არსებული გენდერული ნორმები შესაძლოა იყოს ის ძირითადი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს ამ პროგრამაში ქალთა მონაწილეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ პატრიარქალური სისტემა კვლავ ძლიერად არის წარმოდგენილი საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად⁷⁹, შინამეურნეობებს, როგორც წესი, კაცები ხელმძღვანელობენ. 2018 წელს ქალები შინამეურნეობების მხოლოდ 31%-ს ხელმძღვანელობდნენ და ქალების უმეტესობა (დაახლოებით 70%) 60 წელზე მეტი ასაკის იყო⁸⁰. სქესის და ასაკის მიხედვით ასეთი განაწილება შესაძლოა იყოს გამოწვეული იმით, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ და ოჯახის უფროსის ადგილს იკავებენ ძირითადად მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. გენდერული როლების თვალსაზრისით, ქალის მთავარი პასუხისმგებლობა არის ოჯახზე ზრუნვა, ხოლო კაცი გადაწყვეტილების მიმღებად და მარჩენალად ითვლება.

მეტიც, საქართველოს ყველა რეგიონში ქალები სოფლის მეურნეობაში წლის განმავლობაში უფრო მეტი დღეები არიან ჩართული წელიწადის განმავლობაში, ვიდრე კაცები⁸¹. საშუალოდ, ქალები 344

დღის განმავლობაში არიან დაკავებული, ხოლო კაცები – მხოლოდ 264. ქალების არაანაზღაურებადი შრომაც 13-ჯერ აღემატება კაცისას⁸²:

- ქალები უფრო ხშირად ასრულებენ არაანაზღაურებად სამუშაოს (ქალები, რომლებიც შინამეურნეობაში მუშაობენ, თავს არ თვლიან ფერმერებად ან დასაქმებულებად და ამ საქმიანობას მათი საოჯახო საქმის ნაწილად განიხილავენ). თვითდასაქმებული ქალების დაახლოებით 60% არაანაზღაურებად სამუშაოს ასრულებს;⁸³
- ოჯახში საქმეების განაწილება გენდერული ნიშნით ხდება. კერძოდ, ქალები უფრო შრომატევად აქტივობებში არიან ჩართულები, კაცები კი – კაპიტალიზაციის სფეროში;⁸⁴
- კაცის აქტივობები მოიცავს: მექანიზაციასთან მუშაობას, მწყემსობას, პროდუქციის ტრანსპორტირებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას; ვენახებისა და ფუტკრების მოვლას, ხე-ტყესთან მუშაობასა და სარწყავი სისტემების მოვლა-პატრონობას; ხვნასა და საველე სამუშაოებს (სამუშაოები, რომლებიც ფიზიკურ ძალას საჭიროებს ან უფრო რთულია (მენეჯმენტი და ტექნიკა), კაცის სამუშაოდ ითვლება);⁸⁵
- ქალის აქტივობები მოიცავს საოჯახო საქმეს, ბავშვების და/ან ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვას, სოფლის მეურნეობის წარმოებასა და გადამამუშავებაში ხელით მუშაობას, შინაურ ცხოველებზე ზრუნვას, ხილისა და ბოსტნეულის შეგროვებას და კაცის მიერ შესასრულებელ აქტივობებში მონაწილეობის მიღებას.⁸⁶

78 ეს გამოვლინდა GIA-ის გუნდის მიერ ჩატარებულ ინტერვიუშიც.

79 გაეროს მოსახლეობის ფონდი, *კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში* (2014 წ.). ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Men_and_Gender_Relations_in_Georgia.pdf

80 მაშინ, როდესაც კაცების შემთხვევაში მათი 45% 40-59 ასაკობრივ ჯგუფში შედიოდა, ხოლო 45% 60 წელს გადაცილებული იყო. წყარო: საქსტატი.

81 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა, *სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება საქართველოში* (2018 წ.).

82 Ibid.

83 FAO, *Gender, agriculture and rural development in Georgia*.


84 Ibid.

85 Ibid.

86 Ibid.

დიაგრამა 1.

პრომატევადი საქმიანობები სოფლის მეურნეობაში



ოჯახში არაანაზღაურებადი სამუშაოს არათანაბარი განაწილება (იმის გათვალისწინებით, რომ ქალი უფრო მეტად არის ორიენტირებული საკუთარი (არაკომერციული) მოხმარებისთვის წარმოებაზე) ასევე ხაზს უსვამს ქალების მოწყვლადობას საზოგადოებაში და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგში გენდერულ უთანასწორობას. სოფლის მეურნეობაში ქალების როლი ძირითადად ეყრდნობა სტერეოტიპულ მოსაზრებას, რომ ისინი მხოლოდ საოჯახო საქმეებით არიან დაკავებული და უგულებელყოფილია მათი მრავალგანზომილებიანი მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

გარდა ამისა, არათანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებზე, სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, კრედიტებზე, ქალთა ჩართულობა დაბალი ღირებულების და მცირე მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო

წარმოებაში, საზოგადოებრივ შეხვედრებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დაბალი დონე, ასევე, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგში გენდერულ უთანასწორობას.⁸⁷ დარგში სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ადამიანური რესურსის მობილიზება შეუძლიათ საოჯახო მეურნეობებს ოჯახის შიგნით, და ასევე, სამუშაო ძალაზე, რომლის დაქირავებაც შეიძლება შრომის ბაზარზე. კაცებს, როგორც წესი, შეუძლიათ მთელი თავისი დრო დაუთმონ სოფლის მეურნეობაში მეშაობას და ასევე შეუძლიათ დამატებით დაიქირავონ სამუშაო ძალა (არა ოჯახის წევრი). მეორე მხრივ, ქალებს საოჯახო საქმეების გამო, აქვთ დროის ნაკლებობა და, როგორც წესი, არ აქვთ საკმარისი რესურსი დამატებითი სამუშაო ძალის დასაქირავებლად. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს წარმოების მასშტაბსა და ეფექტურობაზე.

87 გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის მთავრობა და საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ნაწილი 2 (2018

ნ.). ხელმისაწვდომია: http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84646/ENG_Volume2_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_ENG

ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შედარებით შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო აქტივობები, რომლებსაც ჩვენ გენდერული პერსპექტივიდან გავაანალიზებთ. კერძოდ:

- ჩვეულებრივ, კაცები ასრულებენ მხოლოდ წარმოებასთან და მოსავლის აღების შემდგომ დაკავშირებულ აქტივობებს. ქალები კი ჩართულები არიან წარმოებაში, მოსავლის აღების შემდგომ და რეპროდუქციულ აქტივობებში (მინის მომზადება, დამუშავება და სარეველებისგან გასუფთავება მოითხოვს დიდ ფიზიკურ ძალას).
- მონაცემთა ნაკლებობის გამო ძნელია დადგინდეს შრომის ბუსტი დანაწილება წარმოების და მოსავლის აღების შემდგომ ეტაპებზე. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ქალები, კაცებთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში 80 დღით მეტს მუშაობენ⁸⁸.
- მეტიც, ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ ოჯახის მოვლაზე; საშუალოდ, ქალები 45 საათს ხარჯავენ არაანამზადებულად სამუშაოზე კვირის განმავლობაში, ხოლო კაცები – მხოლოდ 15 საათს.⁸⁹

სწორედ ეს გაბატონებული გენდერული ნორმები და საოჯახო საქმეების არათანაბარი განაწილება წარმოადგენს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო შრომის ბაზარზე არსებული გენდერული სხვაობის ერთ-ერთ მთავარ ახსნას. 2019 წელს სოფლად დასაქმებული იყო ქალთა 62.2% და კაცთა 74.5%, ხოლო უმუშევრობის დონემ ქალებში 4.5% და კაცებში 6.4% შეადგინა⁹⁰. დასაქმებაში გენდერულ სხვაობასთან ერთად, მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებაა შემოსავლის გენერირების თვალსაზრისით. საშუალოდ (2015 – 2018 წლების განმავლობაში) სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო სექტორში ქალისა და კაცის ანაზღაურებებში სხვაობა დაახლოებით 10%-ს შეადგენს, ხოლო თვითდასაქმებულებში ეს სხვაობა 50%-ია. კაცისა და ქალის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ საშუალო თვიურ შემოსავალში სხვაობა დაახლოებით 58% შეადგენს⁹¹.

88 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, სამხრეთ კავკასიაში შევიცარიის თანამშრომლობის ოფისი და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფონდი, *სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება* (2016 წ.). ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2016/04/gender-assessment-of-agriculture-and-local-development-systems>

89 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, *ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში* (2018 წ.).

ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2018/12/womens-economic-inactivity-and-engagement-in-the-informal-sector-in-georgia>

90 წყარო: საქსტატი. შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უმუშევრობის ზოგადმა დონემ მხოლოდ 13% შეადგინა კაცებში და 10% ქალებში, შრომის ბაზრის სტრუქტურა კვლავ გამოწვევად რჩება: 50.3% დაქირავებული თანამშრომელია, ხოლო 49.7% მაინც თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

91 წყარო: საქსტატი.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა „დანერგე მომავალს“ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების მხარდაჭერისა და სიღარიბის შემცირებით კუთხით, გენდერული სხვაობების მხოლოდ ზედაპირულად გათვალისწინება და მათი გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებლობა ნიშნავს ამ კომპლექსური საკითხის ზედმეტად გამარტივებას. პროგრამა გარკვეულწილად კაცებს ანიჭებს უპირატესობას, რადგან სოფლის მეურნეობაში საქმიანობა მაინც კაცის საქმედ ითვლება და არც RDA არ ცდილობს, შეცვალოს ეს გენდერული სტერეოტიპები და გაითვალისწინოს ისინი პროგრამის განხორციელებისას. განხილული გენდერული სხვაობების პროგრამის დიზაინში გათვალისწინებლობამ შეიძლება შეამციროს არა მარტო პროგრამის ეფექტურობა, არამედ მთლიანად თემებისა და ოჯახების კეთილდღეობის დონეც. ამასთან, მხოლოდ ქალებისა და კაცებს შორის არსებულ განსხვავებებზე ფოკუსირებამ, განსაკუთრებით რესურსებზე წვდომის, გენდერული როლებისა და ღირებულებების კუთხით, შესაძლოა შეზღუდოს ანალიზი – ქალისა და კაცის განხილვა ფიქსირებულ გენდერულ ჯგუფებად და სხვა სოციალური განზომილებებისა და კავშირების უგულებელყოფა ასევე შეზღუდავს ანალიზს.

იმისათვის, რომ RDA-ს გენდერული ინტეგრაციის მცდელობები იყოს ტრანსფორმაციული ხასიათის, საჭიროა დარგში სტრუქტურულ ცვლილებების მხარდაჭერა. ქალები არ უნდა განიხილებოდნენ როგორც ჰომოგენური ჯგუფი. პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სოფლად მცხოვრები ქალების გრძელვადიანი საჭიროებები, გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება, რესურსებზე, მათ შორის საკუთარ სამუშაო ძალაზე, მათი წვდომა და კონტროლის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს ისეთი სოციალური მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა ასაკი, სოციალური სტატუსი, ეროვნება, რეგიონი და ა.შ. ამიტომ, ბენეფიციარი ქალების რაოდენობის გაზრდის მიზნით, პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმების დაკორექტირებასთან ერთად, RDA-მ უნდა უზრუნველყოს ქალი ბენეფიციარების საკმარისი მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ წარმატების მიღწევა. მეტიც, პროგრამაზე ქალების წვდომამ უნდა გამოიწვიოს კონკრეტული გაუმჯობესება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და სექტორისა და ეკონომიკის საერთო პროდუქტიულობის გაზრდა.

პროგრამა „დანერგე
მომავლის“ გენდერული
გეგმავლების ანალიზი

ნაწილი 4: პროგრამის გენდერული ანალიზი

ამ თავის მიზანია პროგრამის შედეგების დეტალური განხილვა გენდერული პერსპექტივიდან, რადგან პროგრამას აქვს პოტენციალი, აღმოფხვრას აგრარულ სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობა. თანაბრად მნიშვნელოვანია ამ პროგრამაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესწავლა და იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენა იქონია პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა თანადაფინანსებამ საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევაზე. პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“ გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსები 2015 წელს 1.788 მლნ. ლარიდან 2019 წელს 15.614 მლნ. ლარამდე გაიზარდა. პროგრამაზე საშუალოდ „ერთიანი აგროპროექტის“ წლიური დაფინანსების 7% მოდის, ხოლო „ერთიანი აგროპროექტზე“ იხარჯება სამინისტროს საბიუჯეტო რესურსების თითქმის ნახევარი. 2020 წელს პროგრამა „დანერგე მომავლის“ დაგეგმილი ბიუჯეტი 13 მლნ. ლარია⁹².

ამჟამად შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად ითვალისწინებს პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბიუჯეტი გენდერული თანასწორობის ვალდებულებებსა და მიზნებს, რადგან პროგრამის მიზნებში არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები⁹³. ამ ეტაპზე ბიუჯეტზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ პროგრამის ბენეფიციართა უმრავლესობა ფიზიკური პირია. ბენეფიციარი ფიზიკური პირებიდან 51%-ის სარგებლობაშია 1.5 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მიწა. სულ ბენეფიციარი ფიზიკური პირების მხოლოდ 17% ფლობს 10 ჰა-ს ან უფრო მეტს. ბენეფიციარი ფიზიკური პირების 80%-ს აქვს

დაფინანსება ბაღის კომპონენტისთვის, პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 2 სათბური დაფინანსდა. ვინაიდან გენდერულ ჭრილში ჩაშლილი მონაცემები ან მონაცემები ბენეფიციარების მიერ მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილების – წარსულში მათი შემოსავლების/მოგების – შესახებ არ არის ხელმისაწვდომი, შეუძლებელია მათ კეთილდღეობაზე პროგრამის ზეგავლენის შეფასება. მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი იქნება ამ პროგრამის ბენეფიციართა შესახებ გენდერულ ჭრილში ჩაშლილი მონაცემები და იქნება ინფორმაცია სხვა ცვლადებზე, გარდა მიწის ნაკვეთის ფართობისა (მაგ. პროგრამის დასაწყისში მათი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, მათი შემოსავლის დონე, მოგება და ა.შ.) შესაძლებელი იქნება უფრო სიღრმისეული ანალიზის ჩატარება და ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რომელიც გააძლიერებს ამ პროგრამის საბოლოო შედეგებს.

ეს ანალიზი მიმართულია ძირითადი ტენდენციებისა და ისეთი პრობლემების გამოკვეთაზე, რომლებიც შეიძლება დაუყოვნებლივ მოგვარდეს ამ პროგრამაში გენდერული ასპექტის ინტეგრაციის გაუმჯობესებისა და გაზრდისათვის.

MEPA-ს 2019 წლის წლიური ანგარიშის⁹⁴ თანახმად, 2015 – 2019 წლებში პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 1 305 ბაღი გაშენდა, ხოლო დამუშავებული მიწის საერთო ფართობმა 8 476 ჰა შეადგინა. ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ 87 მლნ. ლარი შეადგინა, რომლის 55% სახელმწიფომ დაფინანსა. პროგრამის ფარგლებში ყველაზე მეტი კაკლის, ნუშისა და ვაშლის ბაღი გაშენდა. პროგრამის ბენეფიციარები უფრო კონცენტრირებულნი არიან აღმოსავლეთ

92 წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – <https://mof.ge/4564>

93 საქართველოს ფისკალურ ჩარჩოში არ შედის გენდერული რეაგირების ბიუჯეტის (GRB) დაზუსტება ან მეთოდოლოგია. მთავრობის რეკომენდაციით (საქართველოს მინისტრის ბრძანება, No385, 08.07.2011), GRB არის შესრულებაზე დაფუძნებული ბიუჯეტის კომპონენტი. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით, რომელშიც წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციები შესრულებაზე დაფუძნებული ბიუჯეტის მომზადების შესახებ, აღნიშნულია, რომ ყველა გენდერულად მგრძნობიარე

საბიუჯეტო პროგრამა უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, ერთ გენდერულ ინდიკატორს, ამ პროგრამის შედეგების გასაზომად. პროგრამა „დანერგე მომავლის“ შემთხვევაში, შედეგების ინდიკატორები მოიცავს მხოლოდ დამუშავებული მიწის ფართობის მონაცემებს და ბაღების რაოდენობას, გენდერთან დაკავშირებული მონაცემები და ინდიკატორები არ არსებობს.

94 წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/Reports>

საქართველოში – მთლიანი დამუშავებული მიწის 80%-ზე მეტი განაწილებულია სამ რეგიონში: კახეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში. თუმცა კენკროვანი ბაღების 90% დასავლეთ საქართველოშია. ეს განაწილება შეიძლება აიხსნას მიწის ნაკვეთის მახასიათებლებითა და ზომით, ხელსაყრელი კლიმატური პირობებით სხვადასხვა კულტურისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (მნიშვნელოვანია რეგიონებში სხვადასხვა კულტურის მოსავლის აღების ტრადიციებიც)⁹⁵.

დაფინანსების ტენდენციები

პროგრამა „დანერგე მომავალი“ მიწის მესაკუთრეებს სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას, თუმცა სუბსიდიებს აქვს ზედა ზღვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის მონაწილეებს შესაძლოა კიდევ დასჭირდეთ დამატებითი წყაროების მოძიება პროექტის დასაფინანსებლად. სახელმწიფო სუბსიდიის საერთო წილი მთლიანი ინვესტიციის 55%-ს შეადგენს⁹⁶.

სუბსიდიების საშუალო ოდენობა და ქალი და კაცი ბენეფიციარების მიერ მიღებული დაფინანსების სტრუქტურა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული არ არის. ამასთან, 2018 წელს ქალი ბენეფიციარების მიერ მიღებული საშუალო დაფინანსება უფრო მეტი იყო, ვიდრე კაცი ბენეფიციარების. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ 2018 წელს ბენეფიციართა 24%, რომლებმაც RDA-სგან ყველაზე მეტი თანადაფინანსება მიიღეს

(50 ათას ლარზე მეტი), ქალი იყო, რაც ყველაზე მაღალი წილია სხვა წლებთან შედარებით. მეტიც, ქალი ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მაღალი თანადაფინანსება, 2019 წელსაც შედარებით მაღალი იყო. იმავე წელს მკვეთრად გაიზარდა 1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ნაკვეთის მფლობელი ქალი და კაცი ბენეფიციარების რაოდენობა, რამაც გამოიწვია დაფინანსების საშუალო მაჩვენებლის შემცირება. თუმცა კონსულტაციის პროცესში ამ ფაქტის გამომწვევი ზუსტი მიზეზის დადგენა ვერ მოხდა – ვიცით, რომ არ იყო გამოყენებული გენდერული კრიტერიუმები, ნახალისება ან განზრახ ჩარევა. კაც ბენეფიციართა შემთხვევაში საშუალო თანადაფინანსება მეტ-ნაკლებად სტაბილურია და 2017 – 2019 წლებში დაახლოებით 24 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ქალების შემთხვევაში საშუალო თანადაფინანსება საკმაოდ ცვალებადია. ქალებში საშუალო თანადაფინანსების აღნიშნული არასტაბილურობა ხაზს უსვამს იმას, რომ ნამდვილად არსებობს გაუმჯობესების შესაძლებლობა და საჭიროა შემდგომი ანალიზი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2018 წელს ქალების შემთხვევაში მაღალი თანადაფინანსების გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ პროცესში რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების როლს, რომლებიც წარმოადგენენ RDA-ს ადგილობრივად, მუნიციპალიტეტებში. შესაბამისად, მათ შეუძლიათ შეასრულონ შუამავლის როლი გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების პროცესში.


95 კერძოდ, დასავლეთ საქართველოს აქვს ბუნებრივად ხელსაყრელი პირობები კენკროვანი კულტურების გასაშენებლად შედარებით მწირ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. შედეგად, ამ ე.წ. „მცირე მიწის ნაკვეთებმა“ განაპირობა პროგრამის ამ ახალ ქვეკომპონენტის პოპულარულობა დასავლეთ

საქართველოში. რაც შეეხება სანერგე კომპონენტს, პროგრამის არსებობის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ორი სანერგე დაფინანსდა.

96 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიშები, 2018-2019 წწ.

გრაფიკი 5.


RDA-ისგან საშუალო დაფინანსება (%)



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე

გრაფიკი 6.

პროგრამის ბენეფიციართა განაწილება მიღებული დაფინანსების ოდენობის მიხედვით (ათასი ლარი)



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე

20 ყველაზე დიდი სუბსიდიის მიმღები ქალი და კაცი ბენეფიციარის შესწავლით დადგინდა, რომ კაცებისთვის საშუალო მიწის ზომა არის 21 ჰა, საშუალო სუბსიდია კი – 130 844 ლარი, ხოლო ქალების შემთხვევაში – საშუალო მიწის ნაკვეთის ზომა ოდნავ ნაკლებია – 16 ჰა, ხოლო საშუალო სუბსიდია – 100 805 ლარი (იხ. დანართი 8). იმ ბენეფიციარების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც კერძო კომპანიები და კოოპერატივები, მიწის საშუალო ზომა არის 16 ჰა, საშუალო სუბსიდია – 130 625 ლარი (ამრიგად, კერძო კომპანიები და კოოპერატივები საშუალოდ იღებენ უფრო მაღალ სუბსიდიას თითო ჰა მიწაზე ინდივიდებთან შედარებით).

გარდა ამისა, პროგრამის ბენეფიციართა შერჩევის პროცესში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა გასწიონ გარვეული ხარჯები:

- მათ უნდა წარმოადგინონ მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ დოკუმენტაცია, რომლის ღირებულება დაახლოებით 15 ლარს შეადგენს. უნდა გავითვალისწინოთ ტრანსპორტირების ხარჯებიც (საჯარო რეესტრს აქვს ოფისები ყველა რეგიონულ ცენტრში);
- მათ უნდა წარმოადგინონ სათანადო სერტიფიკატი მიწის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობასა და შესაბამისობაზე მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის, რომლის

ღირებულება ჰექტარზე დაახლოებით 280 ლარს შეადგენს (ანაზღაურდება პროგრამით, თუკი განმცხადებელი გახდება პროგრამის ბენეფიციარი);

- მათ მიწის ნაკვეთი უნდა დაამუშაონ სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომლის ღირებულება ჰექტარზე დაახლოებით 150 ლარს შეადგენს;
- მათ უნდა უზრუნველყონ მიწის ნაკვეთის შემოღობვა (ეს ხარჯი არ ანაზღაურდება პროგრამის მიერ).

მეტიც, ბენეფიციარებს აქვთ მაღალი ფიზიკური წვდომა ფინანსებზე – კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები მოქმედებენ ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში და სთავაზობენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტებს კლიენტებს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ქალები ნაკლებად რეგისტრირდებიან ქონების მესაკუთრეებად (მიწა, სახლი, ბინა და მანქანა-დანადგარები), ისინი კაცებთან შედარებით არათანაბარ პირობებში იმყოფებიან.

მართლაც, პროგრამის წარმომადგენლები ჩვეულებრივ არ აანალიზებენ გენდერულად ჩამოვლილ მონაცემებს, რათა შეიმუშაონ კონკრეტული რეკომენდაციები ამ პროგრამაში ქალთა ჩართულობის გასაზრდელად. ეს რომ გაკეთებულიყო, ისინი შეამჩნევდნენ, რომ პროგრამის ბენეფიციართა უმეტესობა არა კერძო კომპანიები და კოოპერატივები, არამედ ინდივიდუალური ფერმერებია, და რომ ძირითადად კაცი აპლიკანტები ჭარბობენ. აღნიშნული ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას არსებული გენდერული ნორმებით (ბაღში მუშაობა განიხილება როგორც ფიზიკურად რთული სამუშაო, რომელიც უნდა შეასრულონ კაცებმა) და პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმებით, რომლებიც ემყარება საკუთრების უფლებას ან უზრუნველყოფას, რომელზეც ქალებს ნაკლები წვდომა აქვთ. შესაბამისად, საკუთრების უფლების/უზრუნველყოფის ნაკლებობა და ფინანსებზე დაბალი წვდომა აშუამად განისაზღვრება როგორც პროგრამაში ქალთა ჩართულობის/მონაწილეობის ბარიერი.

აღსანიშნავია საკმაოდ დიდი გენდერული დისბალანსი პროგრამის ბაღის ქვეკომპონენტშიც. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ქალები ძი-

რითადად კენკროვნების ქვეკომპონენტში მონაწილეობენ. მართლაც, იმის გათვალისწინებით, რომ კენკროვნების გაშენება ფერმერებს საშუალებას აძლევს, უფრო მცირე ფართობიდან მიიღონ მოსავალი და, როგორც წესი, ნაკლებ რესურს მოითხოვს, ქალების მონაწილეობის ეს მაჩვენებელი ამ ქვეკომპონენტში მოსალოდნელია. ამასთან, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალები არაკომერციულად, საოჯახო მოხმარებისთვის აწარმოებენ პროდუქციას, რაც არც ისე მომგებიანია. ამიტომ ამ პროგრამის მიერ ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე გავლენის შესახებ ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებთ.

მართლაც, პროგრამაში კენკროვნების ქვეკომპონენტის დამატებამ განსაკუთრებით გაზარდა 0.5 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობის მქონე ბენეფიციარების ჩართულობა. გარდა ამისა, ქალისა და კაცის გაშენებული ბაღების საშუალო მოსავლიანობა საკმაოდ მგავსია. ამასთან, ინდივიდუალური ბენეფიციარები ფლობენ საშუალოდ უფრო მცირე მიწის ნაკვეთს, ვიდრე კერძო კომპანიები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. კოოპერატივები აქტიურად არ მონაწილეობენ პროგრამაში. მეტიც, ქალების წილი კოოპერატივის წევრთა ჯამურ რაოდენობაში მცირეა, რაც გამომწვეულია არსებული გენდერული ნორმებით, საბჭოთა მემკვიდრეობითა და, შესაბამისად, კოოპერატივების ადრინდელი ფორმების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა „დანერგე მომავალი“ მიწის მფლობელებს ფინანსურ დახმარებას სთავაზობს, სუბსიდიებს აქვს ზედა ზღვარი და შესაძლოა მონაწილეებს კიდევ დასჭირდეთ დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება პროექტის განსახორციელებლად.

შესაბამისად, თუ გენდერული პერსპექტივიდან შევაფასებთ, პროგრამა „დანერგე მომავალი“ ცდილობს მიაღწიოს თავის მთავარ მიზანს, თუმცა იგი უგულებელყოფს ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს და მთელ პროგრამასა და ფინანსურ განაწილებას გენდერულად ნეიტრალურად მიიჩნევს. ამგვარი მიდგომით პროგრამის განმახორციელებლები კარგავენ შესაძლებლობას, გამოიყენონ პროგრამა და მისი ფინანსური შესაძლებლობები, სოფლის მეურნეობაში ქალების ჩართულობის გასაზრდელად და, შესაბამისად, გავლენა მოახდინონ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

მონაწილეობა

გენდერულ ჭრილში ჩაშლილი მონაცემების არსებობა გამოწვევაა, როგორც ამ კონკრეტული პროგრამის სუბსიდირების გავლენის შეფასების, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების დონეზე. MEPA-ს წლიური ანგარიში არ მოიცავს გენდერულ ჭრილში ჩაშლილ მონაცემებსა და/ან პროგრამის ბენეფიციარების ანალიზს. მეტიც, MEPA-ს წლიური ანგარიში მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და შემოსავლების პროგნოზებს მრავალწლიანი ბალების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში (იხ. ქვემოთ)⁹⁷.

RDA-ს წარმომადგენლების განცხადებით, სააგენტო არ ინახავს ინფორმაციას იმ განმცხადებლების შესახებ, რომელთაც უარი ეთქვათ თანადაფინანსებაზე პროგრამის ზოგიერთი კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის ან/და საჭირო დოკუმენტაციის არქონის გამო. აღსანიშნავია, რომ იმ განმცხადებლების შემდგომი ანალიზი, ვინც არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, სასარგებლო იქნება იმის გასაგებად, თუ რომელი კრიტერიუმების დაუკმაყოფილება ყველაზე რთული განმცხადებლებისთვის და რა მიზეზების გამო


ვერ ხერხდება მათი დაკმაყოფილება⁹⁸. ამგვარი ანალიზი არა მხოლოდ ზრდის პროგრამის მთლიან ეფექტურობასა და ეფექტიანობას, არამედ ხელს უწყობს სპეციფიკური, გენდერული დაბრკოლებების გამოვლენას (მაგალითად, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები, გირაოს არარსებობა, ფინანსებზე წვდომა და ა.შ.). ამ უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელია იმ განმცხადებლების გენდერული განაწილების შესახებ ინფორმაციის შეგროვებით, ვინც ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. მნიშვნელოვანია პროგრამაში მონაწილეობაზე უარის მიღების მიზეზების შესწავლა.

პროგრამის აპლიკანტების დაახლოებით 50%-მა მიიღო გრანტი. პროგრამის ბენეფიციარები დაჯგუფებულია სამ კატეგორიად:

- **ფიზიკური პირები** – ქალი ან კაცი;
- **მიწის თანამესაკუთრები** – 2019 წლიდან პროგრამაში მონაწილეობს რამდენიმე თანამესაკუთრის საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
- **კერძო კომპანიები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.**

გრაფიკი 7.

ბენეფიციარების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით, 2015 – 2020 წწ



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე

97 სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოებთან ინტერვიუს თანახმად, ისინი, როგორც წესი, აკონტროლებენ ინდივიდუალური პროექტების განვითარებას და ეკონომიკურ სიჭანსაღეს მათ რეგიონებში და უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტების სტატისტიკურ ანალიზსა და პროგნოზირებას.

98 გარდა ამისა, ასეთი ჯგუფი სასარგებლო წყაროა ზოგადად პროგრამის ბეგავლენის შესაფასებლად და იმის დასადგენად, თუ რა სარგებელი მიიღეს ბენეფიციარებმა დროთა განმავლობაში, იმ ადამიანებთან შედარებით, ვინც ვერ მიიღო დაფინანსება.

გრაფიკი 7. წარმოდგენს პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბენეფიციართა მახასიათებლებს, საიდანაც ჩანს, რომ ეს პროგრამა წარმატებით ასრულებს მიზანს, რომელიც ემსახურება მცირემნიშნო ფერმერების ჩართვას სოფლის განვითარებასა და სოფლის მეურნეობაში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა უფრო მაღალ თანადაფინანსებას სთავაზობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს (იხ. დანართი 4), პროგრამის ბენეფიციართა უმეტესობა ინდივიდუალური ფერმერებია (საშუალოდ 78%) და RDA-სგან მათი საშუალო დაფინანსება შეადგენს 20 889 ლარს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ან კერძო კომპანიები კი მთლიანი ბენეფიციარების მხოლოდ 14%-ს შეადგენენ, მათ შემთხვევაში საშუალო დაფინანსება კი 42 825 ლარია.

მიჩნეულია, რომ უმეტესწილად ინდივიდუალური ფერმერების დაფინანსება უფრო მეტ ქალს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს პროგრამაში მონაწილეობა (უმჯობესი იქნება გრანტის მიცემა „მინდობილობის საფუძველზე მიწის საკუთრებაზე დაყრდნობით“), რადგან ქალები ნაკლებად

არიან წარმოდგენილნი კერძო კომპანიებსა და კოოპერატივებში (კოოპერატივების აქციონერების დაახლოებით 24% არის ქალი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის პროგრამაში ძირითადად კაცი აპლიკანტები ჭარბობენ.

პროგრამის ბენეფიციარებში კაცების⁹⁹ საშუალო წილი (2015 – 2020 წწ) შეადგენს 79%-ს, მაშინ როცა ქალ ბენეფიციართა საშუალო წილი 19%-ია, ხოლო გენდერულად შერეული (ქალი და კაცი ერთად) თანამესაკუთრეების წილი მხოლოდ 2%. GIA-ის გუნდის მიერ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამაში ქალების დაბალი მონაწილეობის ძირითადი მიზეზებია: გენდერული ნორმები (ბაღში მუშაობა ფიზიკურად რთულ სამუშაოდ მიიჩნევა, რომელიც კაცმა უნდა შეასრულოს), მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები, გირაოს არარსებობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემები. გარდა ამისა, RDA არ აკონტროლებს და არ აფასებს პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელებულ პროექტებს და მათ განვითარებას დროთა განმავლობაში.

ცხრილი 4.

პროგრამაში მონაწილეობის მაჩვენებლები სქესის მიხედვით

მონაწილეთა წილი	2015	2016	2017	2018	2019	2020
ქალი	17%	18%	22%	15%	23%	21%
კაცი	83%	82%	78%	85%	73%	71%
შერეული	-	-	-	-	4%	8%

წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე

მონაწილეთა გენდერული განაწილება პროგრამის კომპონენტების¹⁰⁰ მიხედვით აჩვენებს, რომ ქალზე 5-ჯერ მეტი კაცი მონაწილეობს ბაღის კომპონენტში, ხოლო კაცების მონაწილეობა ახალ ქვე-კომპონენტში – კენკროვნებში (რაც სხვა ქვე-


კომპონენტებთან შედარებით ქალისთვის უფრო შესაფერისად საქმიანობად მიიჩნევა) შედარებით დაბალია. ამ შემთხვევაში კაცების რაოდენობა მხოლოდ 2-ჯერ აღემატება ქალი ბენეფიციარების რაოდენობას.

99 სქესი მითითებულია მხოლოდ ინდივიდუალური ბენეფიციარების შემთხვევაში.

100 ვინაიდან ანალიზი ინდივიდუალურ ბენეფიციარზეა ორიენტირებული, სანერგე კომპონენტი აქ არ არის განხილული, რადგან ამ კომპონენტში ძირითადად შემღებელი პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ჩართული.

გრაფიკი 8.

მონაწილეობა პროგრამის კომპონენტების მიხედვით



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე

მართალია, პროგრამის ახალი ქვეკომპონენტის დანერგვამ ხელი შეუწყო ბენეფიციარი ქალების რაოდენობის გაზრდას, თუმცა ძირითადი ინვესტიცია ბაღის კომპონენტში კვლავ კაცებზეა მიმართული. შესაბამისად, ქალებისთვის მხოლოდ მცირე მინიჭებული ფერმერებზე მიმართული კენკროვნების ქვეკომპონენტი რჩება. ასეთი მიდგომა კი აფერხებს პროგრამა „დანერგე მომავლის“ სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის უნარს, რომელსაც პოტენციურად შეუძლია დაეხმაროს ქალს გააქტიურებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაში, ნაცვლად არსებული გენდერული სტერეოტიპების წახალისებისა, რომ კაცები უკეთ ერკვევიან ბიზნესსა და სოფლის მეურნეობაში.

რაც შეეხება ბენეფიციარ ქალთა რეგიონულ განაწილებას (იხ. ცხრილი 5), მათი დიდი რაოდენობა შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებიდანაა, თუმცა ამ რეგიონებშიც ქალები ბენეფიციარების ჯამური რაოდენობის მხოლოდ 15% და 26%-ს შეადგენენ. მეტიც, სხვა რეგიონებთან შედარებით,

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბენეფიციარი ქალების ყველაზე მაღალი წილი (31%) ფიქსირდება. საინტერესოა ისიც, რომ ეს არის რეგიონი, სადაც პროგრამის ბენეფიციარების საკუთრებაში არსებული საშუალო მიწის ფართობი ყველაზე მცირეა – დაახლოებით 1 ჰა. მეტიც, მცხეთა-მთიანეთში ქალ ბენეფიციართა 60% პროგრამაში 2019 – 2020 წწ-ში ჩაერთო, როდესაც კენკროვნების ქვეკომპონენტი დაემატა პროგრამას და, ამრიგად, პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს პირებმა, რომელთა მიწის ნაკვეთის ზომა 0.5 ჰა ან ნაკლებია. ზოგადად, პროგრამაში ქალების ყველაზე დაბალი მონაწილეობა ორ რეგიონში გვხვდება: აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში. ამ რეგიონებში პროგრამაში მონაწილე ქალების რაოდენობა ნულის ტოლია. მიუხედავად ამისა, მონაწილეთა ნახევარი აჭარაში შედის შერეულ კატეგორიაში, რომელსაც ეწოდება „ქალი, კაცი“. ამ შემთხვევაში ქალი და კაცი, სავარაუდოდ, პროგრამაში მონაწილეობენ როგორც მიწის თანამესაკუთრები.

ცხრილი 5.

პროგრამა „დანერგე მომავალში“ მონაწილეთა საერთო რაოდენობა, 2015 – 2020 წწ

	ბენეფიციარები				წილი		
	კაცი	ქალი	ქალი, კაცი	სულ	კაცი	ქალი	ქალი, კაცი
აჭარა	3	0	3	6	50%	0%	50%
გურია	52	15	12	79	66%	19%	15%
იმერეთი	166	50	14	230	72%	22%	6%
კახეთი	264	93	2	359	74%	26%	1%
ქვემო ქართლი	221	39	0	260	85%	15%	0%
მცხეთა-მთიანეთი	51	25	5	81	63%	31%	6%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	0	0	4	100%	0%	0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	164	54	12	230	71%	23%	5%
სამცხე-ჯავახეთი	12	2	2	16	75%	13%	13%
შიდა ქართლი	555	100	1	656	85%	15%	0%
სულ	1,492	378	51	1,921	78%	20%	3%

წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე

საერთო ჯამში, მონაწილეობა შედარებით მაღალია საქართველოს ხილის მწარმოებელ რეგიონებში (შიდა ქართლი და კახეთი, ასევე იმერეთი და სამეგრელო თანაბარი მონაწილეობით) სხვა რეგიონებთან შედარებით. ამასთან, კახეთისგან, იმერეთისა და სამეგრელოსგან განსხვავებით, შიდა ქართლი ხასიათდება ქალების დაბალი მონაწილეობით. ეს ძირითადად დაკავშირებულია ბენეფიციარი ქალებისა და კაცების მიერ შერჩეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან. მაშინ როდესაც კახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში ძირითადად კაკალი და კენკრა იწარმოება – კულტურები, რომლებიც თანაბრად პოპულარულია ბენეფიციარ ქალებსა და კაცებში, შიდა ქართლში ძირითად კურკოვანი ხილი იწარმოება – კულტურა, რომელსაც ძირითადად კაცი ირჩევს (ვაშლი, მსხალი და ქლიავი). გარდა ამისა, იმ რეგიონებში, სადაც სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლები შედარებით უფრო ფლობენ ცოდნას გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვნების შესახებ, ქალების ჩართულობა პროგრამაში უფრო მაღალია. ამრიგად, ბენეფიციარი ქალების რაოდენობის რეგიონულ განაწილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს იმ ფაქტმა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ


რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზოგადი მოვალეობები რეგულირდება სამინისტროს განკარგულებით, ამ ცენტრების როლი პროგრამა „დანერგე მომავალში“ არ არის განსაზღვრული და, შესაბამისად, მათი მონაწილეობა ყველა რეგიონში ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის.

მინის ფართობი

პროგრამის ბენეფიციარების მინის ზომა გარკვეულწილად განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო მინის ფრაგმენტაციით, რაც ნიშნავს, რომ ინდივიდუალური ბენეფიციარები ფლობენ საშუალოდ უფრო მცირე ზომის მიწებს, ვიდრე კერძო კომპანიები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. სინამდვილეში, პროგრამის ბენეფიციარი კაცების საშუალოდ 55% და ქალების 51% ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელიც 1.5 ჰა-ზე ნაკლებია ან ტოლია, კაცების 32% და ქალების 30% ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, რომელიც 5.5 ჰა-ზე ნაკლებია, მაგრამ 1.5 ჰა-ზე მეტი, ხოლო კაცების 18% და ქალების 15% ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, რომელიც 5.5 ჰა-ზე მეტია (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. დანართი 7).

გრაფიკი 9.

მიწის განაწილება პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბენეფიციარებს შორის (%)




წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მონოღებული მონაცემების საფუძველზე

2018 წლის ბოლოს, პროგრამაში კენკროვნების ქვეკომპონენტის დამატების შემდეგ, 2019-2020 წწ-ში¹⁰¹ მკვეთრად გაიზარდა 0.5 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მქონე ბენეფიციარების პროგრამაში ჩართულობა. კერძოდ, კენკროვნების ქვეკომპონენტის დამატებამ გაზარდა ქალთა და კაცთა მონაწილეობა 17% და 25%-ით, შესაბამისად. მეტიც, 2019-2020 წწ-ში პროგრამის

ბენეფიციართა საშუალოდ 45% იყო ჩართული კენკროვნების ქვეკომპონენტში. ამრიგად, მიწის მცირე ფართობის კრიტერიუმების დამატებამ დადებითად იმოქმედა პროგრამაში ქალების მონაწილეობაზე (დადებითად აისახა პროგრამაში კაცების მონაწილეობაზეც, შესაბამისად, გაიზარდა ბენეფიციართა საერთო რაოდენობაც).

გრაფიკი 10.

1.5 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობის მქონე ბენეფიციარების რაოდენობა



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მონოღებული მონაცემების საფუძველზე

101 კენკრის ქვეკომპონენტი მოიცავს 100%-იან სუბსიდიას ნერგების შესაძენად, სარწყავი სისტემის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო

სავარგულებისთვის ყველა სხვა საჭირო ნედლეულისა და მასალის შესაძენად იმ ნაკვეთებისთვის, რომელთა ზომა 0.15-0.5 ჰა არის.

შერჩეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები

სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევაშიც შეინიშნება გენდერული ტენდენცია, რომელიც მიჰყვება მიწის ფართობის კუთხით არსებულ ტენდენციებს. მიწის და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული

გენდერული უთანასწორობის შედეგად, ნაკლებად სავარაუდოა ქალების მიერ შედარებით მაღალი ღირებულების მქონე, კაპიტალ-ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. კაკალს, ვაშლს, მოცვს, ჟოლოს და ქლიავს პრიორიტეტი მიანიჭეს ორივე სქესის ბენეფიციარებმა, მაგრამ მათი არჩევანის რიგითობა მცირედით განსხვავებულია.

ცხრილი 6.

ქალისა და კაცის მიერ შერჩეული კულტურები პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, 2015 - 2020 წწ

შერჩეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები

	კაცი	ქალი	ქალი, კაცი
კაკალი	18%	19%	0%
მოცვი	14%	21%	65%
ვაშლი	15%	11%	2%
ჟოლო	10%	12%	22%
ქლიავი	7%	6%	0%
ნუში	6%	4%	4%
ალუბალი	5%	3%	0%
მაცვალი	5%	5%	8%
სხვა	20%	20%	0%


წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მონოდეტული მონაცემების საფუძველზე

RDA-სგან მიღებულ 1 ლარის თანადაფინანსებას პროგრამის ბენეფიციარისთვის მოაქვს 1.5 კგ მოსავალი და 3.40 ლარის შემოსავალი. რადგან მიწისფართობი და შერჩეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები განსხვავდება ბენეფიციარი ქალებისა და კაცების შემთხვევაში, მათ მიერ მიღებული საშუალო შემოსავლებიც განსხვავებულია. RDA-სგან მიღებულ 1 ლარის თანადაფინანსებას მოაქვს 1.75 კგ და 3.27 ლარის შემოსავალი ბენეფიციარი ქალებისათვის, და 1.8 კგ და 3.30

ლარის შემოსავალი ბენეფიციარ კაცებისთვის. მეტიც, მცირე ფართობის მიწის ნაკვეთების მქონე ბენეფიციარ ქალებს უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ, ვიდრე იგივე ფართობის მიწის მესაკუთრე კაცებს. თუმცა მიწის ფართობის ზრდასთან ერთად კაცების შემოსავალი იზრდება და აღემატება ქალებისას, რაც განპირობებულია გენდერული უთანასწორობით კაპიტალზე, სარწყავ სისტემებსა და დამატებით ფინანსურ რესურსებზე წვდომით.

გრაფიკი 11.

მწარმოებელთა შემოსავალი RDA-ს თანადაფინანსების თითოეულ ლარზე, მიწის ფართობის მიხედვით (ლარი)




წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მონოდეტული მონაცემების საფუძველზე

აღსანიშნავია რეგიონული განსხვავებებიც RDA-სგან 1 ლარის თანადაფინანსებით მიღებულ შემოსავალზე. სამცხე-ჯავახეთი არის რეგიონი, სადაც ქალების შემოსავალი დაფინანსების თითოეულ ლარზე უფრო მაღალია, ვიდრე კაცებისა. სხვა რეგიონები, სადაც იგივე ტენდენცია შეინიშნება, არის ქვემო ქართლი, სამეგრელო და გურია. აღნიშნული ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზემოთ ხსენებულ რეგიონებში, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მაღალია

იმ ქალების წილი, ვისაც მცირე ზომის ნაკვეთი აქვს და აწარმოებენ კაკალს. როგორც ზემოთ იყო აღწერილი, მცირე ზომის მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, სადაც დამუშავება, მოსავლის აღება და მოვლა-შენახვა შესაძლებელია ხელით, ქალები ირჩევენ ისეთ კაპიტალ-ინტენსიურ და ძვირადღირებულ კულტურებს, როგორიცაა კაკალი, განსხვავებით უფრო დიდი ფართობის ნაკვეთისა, სადაც ტექნიკის გამოყენების საჭიროება გაცილებით მაღალია.

გრაფიკი 12.

მწარმოებლების შემოსავალი რეგიონების მიხედვით RDA-ს მიერ 1 ლარის თანადაფინანსებაზე რეგიონების მიხედვით (ლარი)



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მონოდეტული მონაცემების საფუძველზე

შესაბამისად, ნებისმიერი მოცემული პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვის სტრატეგიის განახლებამ, საფუძვლიანი გენდერული ანალიზის გარეშე, შეიძლება არ იქონიოს მიზანმიმართული გავლენა სხვადასხვა გენდერულ ჯგუფზე. ამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ, ზოგადად, კაც ფერმერებს ურჩევნიათ აწარმოონ (და შეუძლიათ დააკმაყოფილონ პროგრამის მოთხოვნები) მაღალი ღირებულების, საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო კულტურები. მომავალში პროგრამის სტრატეგიის განახლების დროს აუცილებელია გენდერული საჭიროებების გათვალისწინება. საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო კულტურებს კაცები ანიჭებენ უპირატესობას, რადგან ისინი უკეთ აკმაყოფილებენ პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმებს.

ამასთან, თუ პროგრამის მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები სიღრმისეულად უნდა იქნას გაანალიზებული გენდერული სენსიტიურობის თვალსაზრისით, რათა ქალებისთვის საწარმოო ჯაჭვში მონაწილეობისთვის სხვა შესაძლებლობებიც გაჩნდეს (კენკროვანი ქვეკომპონენტის გარდა). ანალოგიურად, საჭიროა დამატებითი ინფორმაცია ქალების საჭიროებების შესახებ და მათი აზრი მოსავლის აღებასთან, ტრანსპორტირებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული სიახლეების დანერგვასთან (განახლების სტრატეგიები) დაკავშირებით. ამჟამად ეს სიახლეები (უფრო მეტად კაცებზე მორგებული) ძირითადად ეხება სასოფლო-სამეურნეო საშუალებებს და კულტურების მარკეტინგს. შესაბამისად, რეკომენდირებულია სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვებში განახლების სტრატეგიების სპეციფიკური გენდერული ანალიზის ჩატარება ახალი (გენდერულად სენსიტიური) ინტერვენციების განხორციელებამდე.

ნაწილი 5: გამოვლენილი გენდერული გამოწვევები

GIA-ის გუნდის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა გენდერული სპეციფიკის გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამა „დანერგვ მომავალთან“. ამ გამოწვევების ძირითადი ნაწილი არა მხოლოდ აღნიშნული პროგრამისთვისაა დამახასიათებელი, არამედ სახელმწიფოს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამებისთვისაც. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერთან დაკავშირებული შემდეგი ასპექტები:

გენდერული როლები და სტერეოტიპები

სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებმა გამოავლინა სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული გენდერული სტერეოტიპები და როლები. საქართველოში შინამეურნეობებს, როგორც წესი, კაცები ხელმძღვანელობენ. კერძოდ, შინამეურნეობების 65%-ში უფროსი კაცია, ხოლო 35%-ში – ქალი¹⁰². მდგომარეობა უფრო თანაბარია ქალაქებში და ნაკლებად თანაბარი – სოფლად. ქალის მთავარი პასუხისმგებლობა არის ოჯახზე ზრუნვა, ხოლო კაცი არის გადამწყვეტილებების მიმღები და ოჯახის მარჩენალი. თუმცა, კაცებთან შედარებით, ქალები სოფლის მეურნეობაში უფრო მეტ დღეს მუშაობენ წელიწადში და მათი წილი სოფლის მეურნეობაში და ოჯახში არაანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებაში უფრო მაღალია¹⁰³. შეიმჩნევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების გენდერული ნიშნით განაწილება:

102 წყარო: საქსტატი. ქალი და კაცი საქართველოში (2019 წ.) ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/27546/W%26M-ENG_2019.pdf

103 საშუალოდ, ქალები არიან დაკავებული წელიწადში 344 დღის განმავლობაში, კაცები კი – 264 წლის განმავლობაში. ქალთა არაანაზღაურებადი სამუშაო 13-ჯერ აღემატება კაცების შრომას. გაეროს

ქალთა ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება, 2016 წ. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2016/04/gender-assessment-of-agriculture-and-local-development-systems>

სეგრეგაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხილის სექტორში. კაცები, როგორც წესი, აწარმოებენ მაღალმოსავლიან კულტურებს კომერციული მიზნით, ქალები კი პროდუქციას, ძირითადად, საოჯახო მოხმარებისთვის აწარმოებენ¹⁰⁴.

ამასთან, სახელმწიფო პროგრამებსა და სტრატეგიებში არსებული გენდერული სტერეოტიპების პრობლემის გადასაჭრელად არასაკმარისი ინსტიტუციური ძალისხმევა კიდევ უფრო აძლიერებს ამ სტერეოტიპებს. სანამ ინსტიტუტები და პოლიტიკის შემქმნელები არ გაიაზრებენ სოფლის მეურნეობაში არსებულ გენდერული თანასწორობის გამოწვევებს, მანამ გენდერული ასპექტი სახელმწიფო პროგრამებში, ძირითადად, მიმართული იქნება იმისკენ, რომ მოერგოს არსებულ სიტუაციას, იმის ნაცვლად, რომ შეცვალოს იგი¹⁰⁵.

რესურსებზე არათანაბარი წვდომა და კონტროლი

კაცებსა და ქალებს საქართველოში აქვთ მემკვიდრეობის და საკუთრების თანაბარი უფლებები. თუმცა არსებული გენდერული სტერეოტიპები და განსაზღვრული გენდერული როლები ქალებს ხშირად გამორიცხავენ მიწის ან უძრავი ქონების მემკვიდრეობიდან. აღსანიშნავია, რომ მაშინაც კი, თუ ქალები ფლობენ მიწას, ის იშვიათად არის რეგისტრირებული მათ სახელზე. შედეგად, მათ ნაკლები წვდომა აქვთ სოფლის მეურნეობის კრედიტებსა და ფინანსებზე და კაცებთან შედარებით არათანაბარ პირობებში იმყოფებიან.

გენდერული უთანასწორობა გამოვლენილია წარმოებისთვის ყველა აუცილებელი ფაქტორის ხელმისაწვდომობაში – ქალებს უფრო მეტი გამოწვევა აქვთ სარწყავი სისტემების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სხვა წარმოების საშუალებებთან

წვდომის კუთხით, რომლებიც მნიშვნელოვანია მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კულტურების საწარმოებლად.

პოლიტიკის შემუშავებისას რესურსებზე არსებული არათანაბარი ხელმისაწვდომობისა და კონტროლის გაუთვალისწინებლობა ხდის პროგრამებს „გენდერულად ბრმას“ და არა გენდერულად ნეიტრალურს.

ტრენინგებსა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობა

მაღალი ღირებულების ე.წ. „ქემ ქროპების“ კულტურების წარმოებაში ქალის მონაწილეობის გაზრდის მიზნით, ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ქალებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მექანიზაციასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები (ხშირად ქალებისთვის ფიზიკურად ძალიან რთულია არსებული სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების პრაქტიკაში გამოყენება)¹⁰⁶, გადალახონ სუსტ კავშირებთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ქალებს შორის ინფორმაციის გაზიარებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების მიმწოდებელთა გენდერულად დაბალანსებულ შემადგენლობაზე. ამჟამად საქართველოში სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცხრა სამმართველოდან მხოლოდ სამს ხელმძღვანელობენ ქალები (33%)¹⁰⁷ და, საერთო ჯამში, თანამშრომლების მხოლოდ 15% არის ქალი. დადგენილია, რომ გლობალური მასშტაბით ქალები სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სპეციალისტების (აგენტების) მხოლოდ 15%-ს შეადგენენ, ხოლო ექსტენციის კაცის სპეციალისტები ხშირად მეზობენ კაც ფერმერებთან, რადგან ზოგჯერ მათ-

104 FAO, *Gender, agriculture and rural development in Georgia*; UN Women, *The Gender Gap in Agricultural Productivity in Sub-Saharan Africa*.

105 პროგრამები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება არსებულ ნორმებს, არამედ მუშაობენ ამ განსხვავებებისა და უთანასწორობის პირობებში.

106 A. Croppenstedt, M. Goldstein and N. Rosas, *Gender and Agriculture: Inefficiencies, Segregation, and Low Productivity Traps* (The World Bank, Capacity Building Unit, 2013). ხელმისაწვდომია:

<http://documents.worldbank.org/curated/en/957311468161359832/pdf/wps6370.pdf>

107 ეს მონაცემები არ მოიცავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, რადგან იქ სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი არ არის. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია, დააკვირდეს ყველა სახელმწიფო და კონკრეტულად რეგიონში მიმდინარე სოფლის მეურნეობის პროგრამას. წყარო: MEPA-ს მიერ მოწოდებული მონაცემები.

თვის შეიძლება კულტურულად მისაღები არ იყოს ქალებთან ურთიერთობა. როდესაც ქალები მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ღონისძიებებში, მათი პასუხისმგებლობა და უნარები შეიძლება არ იყოს სათანადოდ აღიარებული¹⁰⁸.

მონაცემთან დაკავშირებული შეზღუდვები და არსებული მონაცემების ანალიზის ნაკლებობა გენდერული თვალსაზრისით

პროგრამის შეფასების ანგარიშები, ისევე როგორც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, არ მოიცავს გენდერთან დაკავშირებულ ინდიკატორებს და არ ხორციელდება სოფლის მეურნეობის პროგრამების

უმეტესობის, მათ შორის პროგრამა „დანერგე მომავლის“, გენდერული ანალიზი. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც გენდერულად ნეიტრალურად ითვლება, განიცდიან მონაცემთა ანალიზის ნაკლებობას გენდერული თვალსაზრისით, ზოგჯერ კი ასეთი მონაცემები არც არსებობს. მეტიც, არ არსებობს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების სათანადო მონიტორინგი და შეფასება, რათა დადგინდეს, აგრძელებენ თუ არა დაფინანსებული პროექტები ფუნქციონირებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენდერულ ჭრილში ჩაშლილი მონაცემების შეგროვების გაუმჯობესება წარმოადგენს შესაბამისი სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტების ერთ-ერთ მიზანს.

108 A. Gallina, Gender Aware Approaches in Agricultural Programmes – International Literature Review (Sida, 2010). ხელმისაწვდომია: <https://www.sida.se/contentassets/7d8e7381a9644c0b83df399f2c837e74/15012.pdf>

შედგების, დასკვნებისა
და რეკომენდაციების
შეჯამება

ნაწილი 6: დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება

დასკვნების შეჯამება

გამოწვევებისა და მიზნების განსაზღვრა:

- მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ რის მიღწევას ცდილობს პროგრამა გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით (როგორც პროგრამის, ისე სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიების ფარგლებში)
- მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრამის ფარგლებში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გააზრება
- მნიშვნელოვანია, შეფასდეს პროგრამის უნარი, უზრუნველყოს თანაბარი ჩართულობა და მონაწილეობა

პროგრამის ანალიზისას გენდერული ხედვის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პროგრამა ხშირად უგულებელყოფს გენდერულ თანასწორობას მისი ძირითადი მიზნების მისაღწევად: (1) ხელი შეუწყოს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურად გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების წარმოების მხარდაჭერის გზით; და (2) ადგილობრივი წარმოების მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანის მხარდაჭერით. მხედველობაში არ მიიღება ქალებისა და კაცების სპეციფიკური საჭიროებები; პროგრამა აღიქვამს გენდერს როგორც ჰომოგენურ ჯგუფს. მართლაც, მთლიანი პროგრამა, მისი ფინანსური ნაწილის ჩათვლით, განიხილება როგორც გენდერულად ნეიტრალური. უდავოა, რომ პროგრამა „დანერგე მომავალს“ აქვს ძალიან ზოგადი და ერთი შეხედვით არადისკრიმინაციული მიზნები, რადგან ის საშუალებას აძლევს ყველას, სქესის განურჩევლად, მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში. თუმცა შერჩევის კრიტერიუმების, პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაციის, ტრენინგისა და შემოთავაზებული სერვისების უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამა არ არის გენდერულად ნეიტრალური. მეტიც, ვინაიდან ამ პროგრამის არ გააჩნია გენდერული თანასწორობის ნახალისებაზე ორიენტირებული შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები, იგი მიიჩნევა

ყველასთვის ხელმისაწვდომ პროგრამად და ამ ეტაპზე არ განიხილება რაიმე დამატებითი მექანიზმების დანერგვამოწყვლადი ჯგუფებისათვის, რომ პროგრამაში მათი მონაწილეობის დონე გაიზარდოს. ამით RDA და სამინისტრო კარგავენ შესაძლებლობას, გამოიყენონ აღნიშნული პროგრამა და მისი ფინანსური შესაძლებლობა, სხვა შედეგებთან ერთად, სოფლის მეურნეობაში ქალების ჩართულობის გასაზრდელად და, შესაბამისად, გავლენა მოახდინონ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მათ ჩართვაზე.

პროგრამის მონაწილეთა გენდერული დაყოფა განსხვავებულია სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, როგორცაა მიწის ფართობი, კულტურები, ქვეკომპონენტები და რეგიონები:

- პროგრამის მონაწილეთა გენდერული განაწილება კაცების სასარგებლოდაა გადახრილი – 2015 წლიდან ბენეფიციარი ქალების წილი მხოლოდ 19%-ს შეადგენს.
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევაშიც შეინიშნება გენდერული ტენდენცია, რომელიც მიწის ფართობის კუთხით არსებული ტენდენციების მსგავსია. მიწისა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული გენდერული უთანასწორობის შედეგად, ნაკლებად სავარაუდოა ქალების მიერ შედარებით მაღალი ღირებულების მქონე, კაპიტალ-ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. კაკალს, ვაშლს, მოცვს, ჟოლოსა და ქლიავს პრიორიტეტი მიანიჭეს ორივე სქესის ბენეფიციარებმა, მაგრამ არჩევანის რიგითობა განსხვავებულია (იხ. ცხრილი 6).
- გენდერული დისბალანსი შეინიშნება პროგრამის ქვეკომპონენტების მიხედვითაც. კერძოდ, გენდერული განსხვავება საკმაოდ მაღალია ბალის კომპონენტისთვის, ხოლო ქალების მონაწილეობა განსაკუთრებით მაღალია კენკროვნების ქვეკომპონენტში, რადგან კენკრის წარმოება ფერმერებს საშუალებას აძლევს, უფრო მცირე ფართობიდან, ნაკლები რესურსის გამოყენებით მიიღონ მოსავალი.
- ბენეფიციარი ქალების რეგიონულ განაწილებას რაც შეეხება, მათი დიდი ნაწილი შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან

არიან – ამ რეგიონში ქალი ბენეფიციარები შეადგენენ კაცი ბენეფიციარების 18% და 35%-ს, შესაბამისად. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ყველაზე მაღალია ქალების რაოდენობის თანაფარდობა კაცების რაოდენობასთან. რაც შეეხება იმ რეგიონებს, სადაც პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბენეფიციარების რაოდენობა მინიმალურია (აჭარა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი), ბენეფიციარი ქალების რაოდენობა ნულის ტოლია.

პროგრამაში ქალების ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზებია არსებული გენდერული ნორმები, ცოდნაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა, გენდერული ნიშნით მიწის არათანაბარი განაწილება, გირაოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოწვევები და ფინანსებზე არათანაბარი წვდომა:

- სოფლის მეურნეობა კვლავ აღიქმება, ძირითადად, კაცის საქმიანობად. ქალსა და კაცს შორის რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული განსხვავებები, არსებული გენდერული როლები და ღირებულებები შესაძლებელია ბლუდავდეს ანალიზს, იწვევს რა ქალისა და კაცის ჰომოგენურ ჯგუფებად აღქმას და, შესაბამისად, ხშირად არ ხდება სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ მახასიათებლებისა და ურთიერთობების გათვალისწინება. RDA არასაკმარისად ცდილობს, შეცვალოს არსებული გენდერული სტერეოტიპები და აღნიშნული გაითვალისწინოს პროგრამის განხორციელების პროცესში.
- ქალები უფრო ნაკლებად არიან ინფორმირებულები და, შესაბამისად, კაცებთან შედარებით, იშვიათად მონაწილეობენ ადგილობრივი თემის შეხვედრებსა ან ტრენინგებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში გათვალისწინებულია სავალდებულო ტრენინგები, ეს ტრენინგები ჩვეულებრივ ტარდებოდა სააგენტოს შენობაში, ძირითადად, თბილისში და ამიტომ ფიზიკური წვდომა/მოხილობა შეიძლება წარმოადგენდეს ქალებისთვის ტრენინგში მონაწილეობის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს. შესაბამისად, მოსალოდნელია, აღნიშნულ ტრენინგებს არა-

თანაბარი გავლენა ჰქონოდა პროგრამის კაც და ქალ მონაწილეებზე, ტრენინგამდე არსებული გენდერული განსხვავებების გამო.

- პროგრამა „დანერგე მომავალში“ მონაწილეობის მნიშვნელოვანი პირობა მიწის საკუთრებასა ან გრძელვადიან იჯარას უკავშირდება, რაც ქალებისთვის გამოწვევაა. როგორც წესი, ქალები ნაკლებად რეგისტრირდებიან ქონების მესაკუთრეებად (მიწა, სახლი, ბინა და მანქანა-დანადგარები) კაცებთან შედარებით. 2019 წლის მონაცემებით, მიწის მესაკუთრეებში კაცების წილი (61.6%) მნიშვნელოვნად აღემატება ქალების წილს (38.4%).
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა „დანერგე მომავალი“ მონაწილეებს უზრუნველყოფს თანადაფინანსებით, აღნიშნულ სუბსიდიებს აქვს ზღვარი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მონაწილეებს დამატებით დასჭირდეთ ფინანსური რესურსების მოძიება პროექტის განსახორციელებლად.
- ფერმერებს არ აქვთ თანაბარი წვდომა საირიგაციო შეღავათებზე და, როგორც წესი, ქალთა საჭიროებები და ინტერესი უგულებელყოფილია სარწყავი სისტემის დიზაინისა და უზრუნველყოფის პროცესში. ქალები, ძირითადად, უფრო მცირე მიწის ნაკვეთებს ფლობენ და ფინანსებზე შემზღუდული წვდომა აქვთ, შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ისინი მიმართავენ პრომატევად ხელით მორწყვას. სარწყავი სისტემა ან წყლის წყარო მიწის მახლობლად პროგრამაში მონაწილეობის კიდევ ერთი მოთხოვნაა. ეს მოთხოვნა უნებლიეთ იწვევს ნეგატიურ, დისკრიმინაციულ გეგავლენას ქალებზე.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებიც, შესაძლებელია უფრო დიდ მიწის ნაკვეთს ფლობდნენ, ვიდრე ინდივიდუალური ბენეფიციარები, არ არიან აქტიურად ჩართული პროგრამაში და, ძირითადად, წარმოდგენილნი არიან კაცი წევრებით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალების დაბალი ჩართულობა, ძირითადად, უკავშირდება არსებულ გენდერულ ნორმებს, საბჭოთა მემკვიდრეობასა და კოოპერატივებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას.

- მნიშვნელოვანია სქესის, ასაკის, ეროვნების და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ჩაშლილი სტატისტიკის შეგროვება/არსებობა;
- მნიშვნელოვანია კონსულტაცია ექსპერტებთან, ქალებსა და კაცებთან, ეთნიკურ უმცირესობებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებთან;
- მნიშვნელოვანია არსებული მონაცემების ინტერპრეტაცია სხვადასხვა პერსპექტივიდან.

მონაცემების შეგროვება:

შეზღუდული მონაცემები და არსებული მონაცემების გენდერული თვალსაზრისით ანალიზის ნაკლებობა ხელს უშლის პროგრამის ეფექტურობის, ინკლუზიურობის, მომგებიანობისა და მდგრადობის სათანადო შეფასებას:

- პროგრამის შეფასებები და ფინანსური ანგარიშები არ მოიცავს გენდერულ ინდიკატორებსა ან ანალიზს.
- არ ხდება პროგრამის მონაცემების გენდერული ანალიზი და ზოგჯერ ასეთი მონაცემები არც არსებობს.
- RDA არ აანალიზებს ინფორმაციას იმ განმცხადებლების შესახებ, რომელთაც უარი ეთქვათ გრანტზე პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, რის შედეგადაც შეუძლებელია დავადგინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პროგრამის ინტერვენციებსა და შედეგებს შორის.
- პროგრამა არ ახორციელებს უკვე დაფინანსებული პროექტების სათანადო მონიტორინგს და შეფასებას, რათა დადგინდეს, აგრძელებენ თუ არა ფუნქციონირებას დაფინანსებული პროექტები.

(ალტერნატიული / უფრო გენდერულად სენსიტიური) ალტერნატივების შემუშავება:

- მნიშვნელოვანია გავლენის განსაზღვრა სხვადასხვა ჯგუფებისთვის;
- მნიშვნელოვანია სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავება პროგრამის ფარგლებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად;
- მნიშვნელოვანია სტერეოტიპული ნორმების ცვლილებაზე მიმართული ღონისძიებების შემოთავაზება.

მცდარია აღქმა, რომ ქალები ჰომოგენურ გენდერულ ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებები, მათი გადამწყვეტილების მიღების უნარი, რესურსების ხელმისაწვდომობა და კონტროლი სქესის გარდა შეიძლება განპირობებული იყოს ისეთი სოციალური ფაქტორებით, როგორიცაა ასაკი, სოციალური სტატუსი, ეროვნება, რეგიონი და ა.შ. ამიტომ, პროგრამაში ქალების ჩართულობის გაზრდის მიზნით, ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების დაკორექტირებასთან ერთად, RDA-მ უნდა უზრუნველყოს ბენეფიციარი ქალებისთვის სათანადო მხარდაჭერა, რომ მათ შეძლონ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. მეტიც, პროგრამაზე ქალების წვდომამ უნდა გამოიწვიოს კონკრეტული გაუმჯობესება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისევე როგორც სექტორისა და ეკონომიკის საერთო პროდუქტიულობის ამაღლება.

კომუნიკაცია:

- მნიშვნელოვანია თანასწორობის ვალდებულებებთან მიმართებაში პროგრამის შედეგების ინტეგრირება საზოგადოებისთვის, მთავრობისა და დონორებისთვის განკუთვნილ ანგარიშებში;
- მნიშვნელოვანია ინკლუზიური ენის გამოყენება;
- მნიშვნელოვანია ძირითადი გენდერული პერსპექტივების გათვალისწინება.

პროგრამა „დანერგე მომავლის“ ინფორმაციის გაზიარების მთავარი გამავრცელებელია სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების ფარგლებში ინფორმაციას აწვდის ფართო საზოგადოებას. RDA-ს ვებ-გვერდი ინტერაქტიული და ადვილად გამოყენებადია, რაც დაინტერესებულ მხარეებს უადვილებს ყველა საჭირო ინფორმაციის მიღებას. ამასთან, ინკლუზიურობისა და გენდერული პერსპექტივის თვალსაზრისით, დაფიქსირდა შემდეგი პრობლემები RDA-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ სარეკლამო ვიდეო რგოლთან დაკავშირებით:

- ამჟამინდელი სარეკლამო მასალები უფრო მეტად აძლიერებს, ვიდრე ცვლის საზოგადოებაში არსებულ გენდერულ ნორმებს (რომ კაცები, როგორც წესი, მემკვიდრეობით იღებენ საოჯახო მიწას და რომ ისინი არიან ძირითადი

გადაწყვეტილებების მიმდებნი სოფლის მეურნეობაში).

- საკომუნიკაციო მასალა პროაქტიულად არ ახალისებს ქალთა მონაწილეობას პროგრამაში. კერძოდ, აღნიშნულ სარეკლამო ვიდეო რგოლში არ მონაწილეობენ ქალები.
- ბენეფიციარების პერსპექტივები არ არის მკაფიოდ გამოხატული ან საერთოდაც წარმოდგენილი.
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის ადგილობრივად მიწოდების თვალსაზრისით, ან არ შეიცავს, ან მოიცავს არასრულ და მოძველებულ ინფორმაციას პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ.

მონიტორინგი და შეფასება (M&E):

- მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელებული პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის (შესაძლებლობების განვითარება, გრანტები, ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა და ა.შ.) გენდერული ზეგავლენის მონიტორინგი;
- მნიშვნელოვანია გენდერულად სპეციფიკური ინდიკატორების შემუშავება;
- მნიშვნელოვანია დიფერენცირებული გავლენის შესწავლა;
- მნიშვნელოვანია თანაბარი შესაძლებლობებისა და შედეგების მიღწევა;
- მნიშვნელოვანია დასკვნების გამოტანა პროგრამასა და სექტორში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ;
- მნიშვნელოვანია საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და გავრცელება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია სოფლის მეურნეობისა და ევროკავშირის პროექტის ENPARD-ის „სოფლის განვითარების ხელშეწყობა“ მხარდაჭერით, დაფინანსებულია ევროკავშირის და განხორ-

ციელებული გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, წარმოდგენილი მიმოხილვა ადასტურებს, რომ მონიტორინგისა და შეფასების, განსაკუთრებით კი გენდერულად ინფორმირებული მონიტორინგისა და შეფასების, სისტემა ჯერ კიდევ განვითარების საწყის ფაზაშია პროგრამების უმეტესობისთვის.

სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე სხვა მრავალი პროგრამის მსგავსად, „დანერგე მომავლის“ მონიტორინგი, ძირითადად, გულისხმობს ფაქტობრივი საქმიანობის განხორციელებისა და ფინანსური დახმარების გამოყენების მონიტორინგს და არა პროცესებისა და გავლენების შეფასებას.

პროგრამა „დანერგე მომავლის“ სათანადო მონიტორინგი და შეფასება რთულია, განსაკუთრებით გენდერული თვალსაზრისით, მონაცემთა ნაკლებობისა და სხვა მნიშვნელოვანია ფაქტორების გამო:

- საბაზისო კვლევის არარსებობა: რადგან პროგრამა „დანერგე მომავალი“ დაიწყო საბაზისო მდგომარეობის ანალიზის გარეშე, GIA-ის გუნდს გაუჭირდა პროგრამის ზეგავლენის სწორად დადგენა.
- შეუძლებელია სათანადო მიზნებ-შედეგობრივი ანალიზის განხორციელება, რადგან RDA არ აგროვებს ინფორმაციას იმ განმცხადებლების შესახებ, რომელთაც უარი ეთქვათ გრანტზე პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში. შედეგად, შეუძლებელია დავადგინოთ მიზნებ-შედეგობრივი კავშირი პროგრამის ინტერვენციებსა და შედეგებს შორის.
- გენდერული თვალსაზრისით პროგრამის შედეგების¹⁰⁹ და პროცესის¹¹⁰ შეფასება სათანადოდ არ ჩატარებულა, რადგან პროგრამაში მონაწილეობის ბარიერები და ბენეფიციარების შედეგები სათანადოდ არ არის შესწავლილი.
- პროგრამა არ ახორციელებს უკვე დაფინანსებული პროექტების სათანადო მონიტორინგსა და შეფასებას იმის დასადგენად, აგრძელებენ თუ არა ფუნქციონირებას დაფინანსებული პროექტები.

109 შედეგების შეფასება გულისხმობს პროგრამის სამიზნე ჯგუფზე გავლენის შეფასებას იმ ინდიკატორებში ცვლილების შეფასებით, რომელთა მიღწევასაც მიზნად ისახავდა პროგრამა.

110 პროცესის შეფასება განსაზღვრავს, განხორციელდა თუ არა პროგრამის საქმიანობა დანიშნულებისამებრ და გამოიღო თუ არა გარკვეული შედეგები.

საჯირო ქმედებები

კვლევის ანალიზის შედეგების საფუძველზე, პროგრამის განხორციელების სტრუქტურისა და არსებული მენეჯმენტის გათვალისწინებით, განისაზღვრა ქმედებები ამ პროგრამის ზეგავლენის გაძლიერების სამი მიმართულებით: ა) პროგრამის „გენდერული სენსიტიურობის“ გაზრდა; ბ) რეაგირება არსებული გენდერულ ნორმებსა და რესურსებზე არათანაბარ წვდომაზე; გ) გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების დროს.

ა) იმისათვის, რომ „დანერგე მომავალი“ იყოს გენდერულად სენსიტიური პროგრამა, მსგავს სასოფლო-სამეურნეო პროგრამებსა და, ზოგადად, სექტორში მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა და წახალისდეს მათი ეკონომიკური გაძლიერება, საჯიროა შემდეგი ქმედებები:

- სათანადო თემატურ ცოდნასთან ერთად, გენდერული ექსპერტიზის ინტეგრირება საჯირო პოლიტიკის ინსტიტუტებში, მათ შორის RDA-ში და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში;
- გენდერულ საკითხებზე RDA-ს, MEPA-სა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება პროგრამაში მონაწილე ქალების გაზრდილი რაოდენობის უზრუნველსაყოფად;
- პროგრამის ბენეფიციარსა და წარუმატებელ განმცხადებლებზე გენდერულ ჭრილში ჩამოყალიბებული მონაცემების შეგროვება, რათა მომავალში მსგავსი პროგრამის გავლენა უკეთ შეფასდეს;
- პროგრამის ბიუჯეტის ეფექტიანად გამოყენება პროგრამის მონაწილეთა შერჩევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მათ შორის ინფორმაციის უფრო ინტენსიურად და უკეთესად გაცვლის გზით;
- ახალი (გენდერულად მგრძნობიარე) ინტერვენციების განხორციელებამდე მნიშვნელოვანია მოხდეს სასოფლო-სამეურნეო ღირებულების ჯაჭვებში გაუმჯობესების სტრატეგიების სპეციფიკური გენდერული ანალიზი;
- საჯიროა დამატებითი ინფორმაცია ქალების საჯიროებების შესახებ და მათი აზრი მოსავლის

აღების, ტრანსპორტირების და გადამუშავების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სტრატეგიების შესახებ;

- გენდერულად მგრძნობიარე კრიტერიუმების, გენდერული მიზნების (გენდერული კვოტების) შემოტანა გარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემთხვევაში და გენდერული ასპექტების გათვალისწინება პროგრამის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

ბ) პროგრამა „დანერგე მომავალში“ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ საკითხების გადაჭრას, როგორიც არის გენდერულ ნორმებთან დაკავშირებული პრობლემები, ცოდნის არათანაბარი ხელმისაწვდომობა, მიწის არათანაბარი განაწილება, იჯარასთან დაკავშირებული გამოწვევები და ფინანსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა. მათ შორის:

- პროგრამის ბენეფიციარების ცოდნის ამაღლება და ინფორმაციის გაზიარების გაძლიერება ტრენინგებისა და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების დახმარებით. მარკეტინგსა და ბიზნესში ქალების ცნობიერების ამაღლება. ქალებისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ტექნიკის, იარაღებისა (რომელთა გამოყენება ხშირად დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს) და სხვა ტექნოლოგიების გამოყენების სწავლება და შესაბამისი აგროტექნიკური ინფორმაციის მიწოდება;
- ტრენინგების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს კაცებსა და ქალებს შორის საბაზისო ცოდნაში განსხვავებები. ასევე გასათვალისწინებელია ისეთი ლოგისტიკური საკითხები, როგორიცაა არის სასწავლო ცენტრების განლაგება, ტრენინგების დრო, რაც ყველა მონაწილის, მათ შორის ქალებისათვის, მისაღები უნდა იყოს;
- თანამედროვე სარწყავი სისტემების ხელმისაწვდომობის გაზრდა/ინვესტიცია, განსაკუთრებით ქალებისათვის, რაც საშუალებას მისცემს პროგრამა „დანერგე მომავლის“ მონაწილეებს, უფრო მარტივად მიიღონ მონაწილეობა სხვა საირიგაციო სახელმწიფო პროგრამებში;
- პროგრამა „დანერგე მომავლის“ მონაწილეებისათვის შესაძლებლობების გაზრდა, რომ

ერთდროულად ჰქონდეთ წვდომა სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე სხვადასხვა შეღავათიან პროგრამაზე, რაც მათ საშუალებას მისცემს, მოიძიონ დამატებითი სახსრები;

- მიწის რეგისტრაციის პროცესის დაჩქარება, რამაც შეიძლება უზრუნველყოს ქალების მიერ მსგავსი პროგრამების მოთხოვნების მარტივად დაკმაყოფილება (მაგალითად, მიწის საკუთრება და ლაბორატორიული კვლევა) და ქალების ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (რეგისტრირებული მიწის გირაოდ გამოყენება) და მიწის თანამესაკუთრების წახალისება;
- გენდერულ საკითხებზე სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა, ვინაიდან ისინი რეგიონებში ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურებას, მათ შორის პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში. შესაძლებლობების გაზრდა საჭიროა, რომ აღნიშნულმა დეპარტამენტმა შეძლოს ქალების საჭიროებების გათვალისწინება პროგრამების განხორციელების ყველა სხვა ეტაპზე;
- მიწის ფრაგმენტაციის საკითხის გადასაჭრელად და სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის მხარდასაჭერად მთავრობის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის წახალისება.

გ) მონაცემებთან დაკავშირებული შეზღუდვები და გენდერულ ჭრილში ჩაშლილი მონაცემების ანალიზის ნაკლებობა:

- მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა (მაგ. ვებ-გვერდზე გენდერულ ჭრილში ჩაშლილი მონაცემების განთავსება) მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მხარდასაჭერად;
- ინფორმაციის შეგროვება პროგრამაში მონაწილეობის იმ მსურველთა გენდერული განაწილების შესახებ, რომელთაც ვერ დააკმაყოფილეს სავალდებულო კრიტერიუმები და, შესაბამისად, ვერ მიიღეს თანადაფინანსება. მნიშვნელოვანია უარის მიზეზის შესწავლა, იმის განსაზღვრა, თუ რომელი კრიტერიუმების დაკმაყოფილება არის ყველაზე რთული პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის და

როგორია აღნიშნული გამოწვევების გენდერული გადანაწილება;

- უკვე დაფინანსებული პროექტების სათანადო მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება;
- პროგრამის შეფასებისა და შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება, შედეგების შეფასების ინდიკატორების და არსებული მონაცემების გენდერულ ჭრილში წარმოდგენა და ანალიზი.

მნიშვნელოვანია პროგრამა „დანერგე მომავლის“ მონიტორინგისა და შეფასების პროცესის გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწოებს პროგრამის აგებულების დახვეწასა და სრულყოფას. ამისათვის საჭიროა:

- უკვე დაფინანსებული პროექტების სათანადო მონიტორინგი და შეფასება გენდერულ ჭრილში;
- პროგრამის შეფასება და შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება, შედეგების შეფასების ინდიკატორების და არსებული მონაცემების გენდერულ ჭრილში წარმოდგენა და ანალიზი;
- პროგრამაში მონაწილეობის იმ მსურველთა შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა და დამუშავება, რომელთაც უარი ეთქვათ მონაწილეობაზე.

ბოლოს, გენდერული თანასწორობის წახალისებაზე მიმართული ღონისძიებების პოპულარიზაციისთვის, მნიშვნელოვანია, პროგრამის შედეგების პრეზენტაცია მოხდეს ისე, რომ ხელი შეუწყოს არსებული ნორმებისა და ღირებულებების ცვლილებას:

- სასურველია, წარმოაჩინდეს სხვადასხვა სქესის ფერმერები ან/და გააშუქდეს ქალი ფერმერების წარმატების ისტორიები და აისახოს გენდერული საკითხები პროგრამის სარეკლამო და საინფორმაციო მასალებში;
- პროგრამის აგებულება, მიზნები და სხვა მახასიათებლები არ უნდა ახალისებდეს არსებულ გენდერულ ნორმებსა და სტერეოტიპებს;
- RDA-სა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე მნიშვნელოვანია, პროგრამა „დანერგე მომავლისა“ და სხვა მსგავსი სასოფლო-სამეურნეო პროგრამების შესახებ განთავსდეს განახლებული ინფორმაცია.

ნაწილი 7: რეკომენდაციები „დანერგე მომავლის“ გენდერული თანასწორობის კუთხით გაუმჯობესებისთვის

გამოვლენილი გამოწვევების და ქვემოთ მოცემული ალტერნატივების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის გათვალისწინებით, GIA-ის გუნდმა გადაწყვიტა, შეესწავლა პროგრამის ცვლილების ორი სცენარი და შეეფასებინა მათი გენდერული გავლენა სტატუს-კვოსთან შედარებით.

საბაზისო სცენარი (ალტერნატივა 0) - სტატუს-კვო: პროგრამის აგებულება არ იცვლება, შესაბამისად, მიმდინარე ტენდენციები ნარჩუნდება მომავალში:

საბაზისო სცენარად GIA-ის გუნდმა გამოიყენა ალტერნატივა 0 – პროგრამა „დანერგე მომავლის“ დღევანდელი მდგომარეობა. ეს ნიშნავს, რომ დღეისათვის არსებული სიტუაცია, როცა პროგრამაში ქალების მონაწილეობის დონე დაბალია, უცვლელი

რჩება მომავალშიც. პროგრამა კვლავ განიხილება როგორც „გენდერულად ნეიტრალური“ პოლიტიკის შემქმნელთა მხრიდან, ამიტომ არ ხდება გენდერთან დაკავშირებული კრიტერიუმების შემუშავება და პროგრამის გენდერული ანალიზი. ამ სცენარში ნავარაუდევია, რომ ქალთა წილი ჯამური ბენეფიციარების რაოდენობაში საშუალოდ 20%-ს უტოლდება, რაც წარმოადგენს ბენეფიციარი ქალების საშუალო წილს პროგრამისთვის 2015 – 2020 წწ-ის პერიოდისთვის¹¹¹.


ვინაიდან საბაზისო სცენარის მთავარი დაშვებაა, რომ RDA არ გამოიყენებს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას, ქალისა და კაცის მონაწილეობის მაჩვენებელი განვითარდება არსებული ტენდენციის მიხედვით. შესაბამისად, 2021 – 2025 წწ-ში პროგრამაში მონაწილეობის მოსალოდნელი საშუალო მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება: კაცების მონაწილეობის მაჩვენებელი პროგრამის ბენეფიციარების ჯამურ რაოდენობაში 61%-ს შეადგენს, ხოლო ქალებისა – 16%-ს. აქედან გამომდინარე, RDA-ს 1 ლარის თანადაფინანსება ბენეფიციარებს საშუალოდ 1.4 კგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტსა და 2.99 ლარის შემოსავალს მოუტანს.

111 2018 წლის ბოლოს, პროგრამის კენკროვნების ქვეკომპონენტის შემოღებამდე, პროგრამაში ქალების მონაწილეობის საშუალო მაჩვენებელი 17,8% იყო (პერიოდი: 2015 – 2018 წწ). კენკრის ქვეკომპონენტის შემოღებით ფერმერებს, რომლებსაც

აქვთ 0.5 ჰა ან ნაკლები მიწის ნაკვეთი, მიეცათ პროგრამაში მონაწილეობის უფლება. შესაბამისად, ბენეფიციარ ქალთა 36% ფლობს მიწის ნაკვეთს, რომლის ფართობი 0.5 ჰა ან ნაკლებია. ხოლო კაცი ბენეფიციარების იგივე მაჩვენებელი 24%-ს შეადგენს.

გრაფიკი 13.

ქალი და კაცი ბენეფიციარების მონაწილეობის მაჩვენებელი (პროგრამის ბენეფიციარების მთლიანი რაოდენობის პროცენტული წილი)



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით

შესაბამისად, მოცემულ ალტერნატივაში, გენდერული კუთხით პროგრამის ცვლილების შესაძლებლობა არ არის გამოყენებული. პროგრამაში სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, მხოლოდ პროგრამის ინსტრუმენტების ისეთი მოდიფიკაციით, როგორიც, მაგალითად, მიწის ნაკვეთის მინიმალური დასაშვები ფართობის შემცირებაა, შესაძლოა, ქალთა მონაწილეობის დონე გაიზარდოს, თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ ქალებმა მოიპოვონ იმ დონის მხარდაჭერა, რომ გახდნენ სასოფლო განვითარების მნიშვნელოვანი მონაწილეები. შედეგად, ხელიდან იქნება გაშვებული შესაძლებლობა, რომ ქალების ყოველდღიური ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს და თავად სასოფლო-სამეურნეო სექტორიც უფრო პროდუქტიული გახდეს.

გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ საბაზისო სცენარში არ შეიცვლება პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებიც. პროგრამის ადმინისტრაცია მომავალშიც ვერ დაამუშავებს და შეინახავს ინფორმაციას პროგრამაში ვერმოხვედრილი აპლიკანტების შესახებ, რაც, თავის მხრივ, გაართულებს და ნაკლებად ეფექტიანს გახდის პროგრამის მიზნ-შედეგობრივ ანალიზს, მათ შორის გენდერული ზემოქმედების შეფასე-

ბისთვის. ამასთან, დაიკარგება პროგრამის მიზნობრივი ჯგუფების განსაზღვრის ეფექტიანობა.

საბაზისო სცენარის ძლიერი მხარეები (შესაძლებლობები):

- მარტივია განსახორციელებლად;
- არ საჭიროებს დამატებით ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს.

საბაზისო სცენარის სუსტი მხარეები (რისკები):

- პროგრამის გავლენის არეალის შეზღუდულობა პოტენციური ბენეფიციარების, განსაკუთრებით ქალების, მიმართ;
- კაცებთან შედარებით, ქალებს კვლავ ექნებათ არათანაბარი წვდომა პროგრამებზე, ცოდნაზე, რესურსებზე, ფინანსებსა და გრანტებზე;
- არ მოხდება სოფლის მეურნეობის სექტორში ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
- არ მოხდება სამინისტროებისა და RDA-ს შესაძლებლობების გაძლიერება;
- არ ჩატარდება გენდერული გავლენისა და მომგებიანობის შეფასება;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემების სიმწირე.

ალტერნატივა 1: გენდერულ ანალიზზე დაფუძნებული გენდერულად მგრძნობიარე კრიტერიუმების შემუშავება პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“ და გენდერული თანასწორობისა და ანალიზის შესახებ საჯარო დაწესებულებებში ცნობიერების ამაღლება.

ალტერნატივა 1 ბენეფიციარებს განიხილავს არა მხოლოდ გენდერული კუთხით, არამედ სხვა მახასიათებლების გათვალისწინებითაც. იგი ქალებსა და კაცებს განიხილავს არა როგორც ფიქსირებულ ჯგუფებს, არამედ ითვალისწინებთ მათ სოციალურ და ეკონომიკურ მახასიათებლებს. ამიტომ ალტერნატივა 1 გვთავაზობს, რომ RDA-მ ჩაატაროს პოტენციური და ამჟამინდელი ბენეფიციარების უფრო სიღრმისეული ანალიზი, იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ხელს პროგრამა „დანერგე მომავალი“ თავისი ბენეფიციარების კეთილდღეობას, სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ტრადიციული საარსებო მეურნეობების კომერციალიზაციას.

სოფლის მეურნეობის კომერციალიზაცია გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე ფერმერთა ჩართულობის გაზრდას, რაც მიიღწევა გასაყიდად გამომზადებული ნაწარმის წილის გაზრდითა და დივერსიფიკაციით; ასევე, ნედლეულისა და ისეთი საწარმოო ფაქტორების გამოყენების გაზრდით, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, იარაღები და სხვა ინსტრუმენტები, სამუშაო ძალა, კაპიტალი, ფინანსები, ტექნოლოგია და ა.შ. იმისათვის, რომ პროგრამამ ხელი შეუწყოს კომერციალიზაციას და მიიღოს სასურველი შედეგები, RDA-მ უნდა გააანალიზოს რამდენიმე ასპექტი, რომელიც განაპირობებს პროგრამაში მოწვევადი ჯგუფების მონაწილეობის ზრდას. კერძოდ:

- მიწის ნაკვეთის ფართობი: პროგრამის ბენეფიციართა უმეტესობა, როგორც ქალები, ისე კაცები, 1.5 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელები არიან. მცირე მიწის ნაკვეთების მფლობელები შეზღუდული არიან შემდგომი ზრდისა და კომერციალიზაციის თვალსაზრისით, ძირითადად იმიტომ, რომ მათი მიწის მხოლოდ მცირე ნაწილი თუ შეიძლება დაეთმოს კომერციულ მიწათმოქმედებას და მიწის დიდი ნაწილი ეთმობა საკუთარი

საკვების მოყვანას (ტრადიციული, საოჯახო მოხმარებაზე ორიენტირებული წარმოება).

- ბენეფიციართა სქესი: კომერციალიზაციამ შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს გენდერული განსხვავებები. კერძოდ, კაცებს, სავარაუდოდ, უკეთესი პოტენციალი აქვთ კომერციული საქმიანობისთვის, რადგან მათ, როგორც წესი, უფრო მეტი წვდომა აქვთ კაპიტალსა და ფინანსებზე და უკეთესი კავშირები აქვთ ბაზრის ისეთ მონაწილეებთან, როგორებიცაა კოოპერატივები, ვაჭრები და გადამამუშავებლები.
- სასოფლო-სამეურნეო კულტურის ტიპი: უნდა ხდებოდეს კულტურების დიფერენცირება ბაზარზე მოთხოვნის დონის, ბაზარზე არსებული ხარისხის სტანდარტის, გადამამუშავების საჭიროებისა და მომგებიანობის მიხედვით.
- ადგილმდებარეობა/გეოგრაფიული რეგიონი: ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა შეიძლება განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ მათი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალიც განსხვავებულია. მეტიც, რეგიონში არსებულმა ბუნებრივმა რესურსებმა, დემოგრაფიულმა სტრუქტურამ და საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების დონემ შეიძლება გავლენა მოახდინოს პროგრამაში ჩართულობაზეც.

ალტერნატივა 1 გულისხმობს ორ პოტენციურ მიდგომას გენდერული სხვაობის აღმოსაფხვრელად და პროგრამის პოტენციური გავლენის გასაზრდელად:

- პირველი, RDA-მ შეიძლება გადაწყვიტოს შეამციროს პროგრამაში მონაწილე მცირემიწიან ქალებსა და კაცებს შორის არსებული დისბალანსი და მხარი დაუჭიროს ტრადიციულ, საოჯახო მეურნეობებს. ამ გზით პროგრამას შესაძლებლობა ექნება, შეასრულოს საკუთარი, სოციალურად ორიენტირებული მიზნები. ეს გულისხმობს მცირე მეურნეობების, ძირითადად, კენკროვანი კულტურების წარმოების, მხარდაჭერას, რაც, თავის მხრივ, ახალისებს მცირემიწიანი/დაბალშემოსავლიანი ფერმერების ჩართვას პროგრამაში. შედეგად, პროგრამას შეუძლია წვლილი შეიტანოს სიღარიბის დონის შემცირებაში. თუმცა ამგვარი მიდგომით, არ არის მოსალოდნელი, რომ პროგრამა

რაიმე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე სოფლის მეურნეობის სექტორში.

- მეორე, RDA-მ შეიძლება ყურადღება გაამახვილოს პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობაში გენდერული დისბალანსის შემცირებაზე, როგორც ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ისე დაფინანსების კუთხით. ამ მიდგომის გამოყენებით პროგრამას ბევრად უფრო დიდი გავლენა ექნება მეურნეობების კომერციალიზაციასა და სოფლის განვითარების წახალისებით მიღწეულ ეკონომიკურ ზრდაზე. ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებული იქნება გენდერული ასპექტების გავლენისწინებაზე პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით კი გენდერული ანალიზის გამოყენებაზე დიდი მეურნეობების მხარდასაჭერად. ასეთი ზომები უნდა მოიცავდეს:
 - სხვა პროგრამებიდან შემავსებელი გრანტების მოძიებას, რაც უზრუნველყოფს ბენეფიციარების თანაბარ წვდომას ინფრასტრუქტურასა/სარწყავ სისტემებსა და ცოდნაზე (ქალისა და კაცის თანასწორობის აღიარება და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემა).
 - ხელსაყრელი გარემოს შექმნას თანამედროვე ქალი მეწარმეებისთვის. (ეს ალტერნატივა მიზნად უნდა ისახავდეს როგორც ქალების, ისე კაცების ეკონომიკურ გაძლიერებას).
 - სხვადასხვა საწარმოო ჯაჭვიდან პროგრამის ბენეფიციარებს შორის თანამშრომლობისა და კავშირების მხარდაჭერას, რათა გაუმჯობესდეს მათი კავშირი ადგილობრივ ბაზრებთან.

ალტერნატივა 1.1 ტრადიციული, საოჯახო მეურნეობა

ბენეფიციარების 36% ფლობს 1.25 ჰა ან ნაკლები ფართობის მიწას. აქედან 8% ფლობს 0.25 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მიწის ნაკვეთს. მიწის სიმცირე კი ძალიან ართულებს კომერციალიზაციის

პროცესს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კატეგორიაში მოხვედრილი ბენეფიციარები შეიძლება ძირითადად კლასიფიცირდნენ როგორც ფერმერები, რომლებიც საოჯახო მეურნეობას ეწევიან, პროგრამა „დანერგე მომავალს“ შეიძლება უფრო მეტად სოციალური გავლენა ჰქონდეს, ვიდრე ეკონომიკური. აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ ალტერნატივა 1.1-ს ჰქონდეს უფრო მაღალი ეკონომიკური გავლენა, საჭიროა ბენეფიციართა ამ სეგმენტში გენდერული კვოტების შემოღება.

გარდა ამისა, RDA-ს 1 ლარის თანადაფინანსებას საშუალოდ მოაქვს 3.09 ლარის შემოსავალი იმ ბენეფიციარი ქალებისთვის, რომლებიც 1.25 ჰა-ს ან ნაკლები ფართობის მიწას ფლობენ. კაცების შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ მხოლოდ 2.17 ლარია. ამრიგად, ამ კატეგორიის ბენეფიციარებში ქალებისა და კაცების მონაწილეობის მაჩვენებლის გათანაბრებამ (თითოეულზე 18%) შეიძლება გამოიწვიოს მწარმოებლების საშუალო შემოსავლის 0.1 ლარით გაზრდა RDA-ს მიერ პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში დაფინანსებულ თითოეულ ლარზე. თუ სტატუს-კვოს შემთხვევაში 1 ლარის თანადაფინანსებით მიღებული მწარმოებლის საშუალო შემოსავალი 2.99 ლარს შეადგენს, 1.25 ჰა-ს ან ნაკლები მიწის ფართობის მფლობელი ქალი და კაცი ბენეფიციარების პროგრამაში მონაწილეობის დონის გათანაბრება გამოიწვევს მწარმოებლის შემოსავლების 3.08 ლარამდე გაზრდას.

ამ ალტერნატივის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მიწის ხელმისაწვდომობაზე. მიწის რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება იმ შესაკუთრეთათვის, რომელთა მიწის ნაკვეთის ზომა ტოლია ან ნაკლებია 1,25 ჰა-ზე დაბლობში და 5 ჰა-ზე მთაში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიწაზე წვდომის გაუმჯობესებას¹¹². ამასთან, საჭიროა, გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო ცენტრების როლი და კიდევ უფრო განვითარდეს სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის შესაძლებლობები. ეს ღონისძიება არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ახდენს „დანერგე მომავლისა“ და მსგავსი პრო-

112 საქართველოს კანონი „მიწაზე საკუთრების უფლების სისტემური და სპორადული რეგისტრაციისა და

საკადასტრო მონაცემების გაუმჯობესების სპეციალური ნესი“.

გრამების შესახებ, არამედ უზრუნველყოფს პოტენციურ ბენეფიციარებში მიწის საკუთრების შესახებ უფლებების ცოდნის დონის ამაღლებასა და მათი მიწის რეგისტრაციის რეფორმებში აქტიურ ჩართულობასაც.

ალტერნატივა 1.1 ძლიერი მხარეები (შესაძლებლობები):

- პროგრამაში ქალების მონაწილეობის გაზრდისა და სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური გამოწვევების დაძლევის გზით მეტი ჩართულობის მიღწევა;
- გენდერული მგრძნობელობის გაზრდა და ძირითადი მონაწილე/დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება;
- უფრო მეტი ყურადღების გამახვილება გენდერული გავლენისა და მომგებიანობის შეფასებაზე;
- პროგრამის ბიუჯეტის უფრო ეფექტიანად განაწილებისა და ინფორმაციის უკეთ გაზიარების გზით პროგრამის ეფექტიანობის გაზრდა.

ალტერნატივა 1.1 სუსტი მხარეები (რისკები):

- მიწის რეგისტრაციის რეფორმების ნელი ტემპის გამო, პროგრამის წვდომა პოტენციურ ბენეფიციარებზე, და განსაკუთრებით ქალებზე, მცირდება;
- არსებული გენდერული ნორმების გამო, კაცებთან შედარებით, ქალებს კვლავ აქვთ არათანაბარი წვდომა სასოფლო-სამეურნეო პროგრამებზე, ცოდნაზე, რესურსებზე, ფინანსებსა და გრანტებზე;
- ქალების მიზნობრივი, მაგრამ შეზღუდული ეკონომიკური გაძლიერება სოფლის მეურნეობის სექტორში;
- სამინისტროსა და RDA-ს პოტენციალის განვითარების შეზღუდული შესაძლებლობები.
- გენდერული გავლენისა და მომგებიანობის შეფასების სიმწირე;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის აუცილებელი მონაცემების დაბალი ხელმისაწვდომობა.

აქტივობები, რომლებიც RDA-მ უნდა განახორციელოს გენდერული თანასწორობის გაზრდის მიზნით ალტერნატივა 1.1-ის შემთხვევაში:

- სიღრმისეული ანალიზი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება

- გენდერულ ჭრილში ჩამოლილი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის (არა მხოლოდ პროგრამის ბენეფიციარების, არამედ პროგრამის ყველა აპლიკანტის შესახებ) საჭირო უნარების განვითარება, რაც გააუმჯობესებს ინტერვენციის მიზნობრიობას და ეფექტიანობას.
- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს პირობების ორგანიზებას, რათა RDA-მ და მისმა პარტნიორმა უწყებებმა/ორგანიზაციებმა განსაზღვრონ რეგიონები, სადაც მოთხოვნა (პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა) პროგრამა „დანერგე მომავალზე“ დაბალია და გაანალიზონ ამის მიზეზები.
- შესაძლებლობა მიეცეს RDA-ს, განსაზღვროს ისეთი რეგიონები, რომლებშიც სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოებს სჭირდებათ მეტი ინვესტირება, რათა გაიზარდოს ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირებულობის დონე პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა შეგროვება და შენახვა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, RDA-სგან დამატებითი ფინანსურ რესურსის მობილიზება საჭირო არაა, რადგან უკვე არსებობს მონაცემთა შეგროვების პროგრამა, რომელიც პროგრამის მიზნებისთვისაც შეიძლება იქნას გამოყენებული.

- არსებული პროგრამის საკოორდინაციო მექანიზმების გაუმჯობესება/პროგრამის განხორციელება:

- RDA-მ უნდა გააძლიეროს კოორდინირებული მუშაობა სხვა სამთავრობო უწყებებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მიწის რეგისტრაციის რეფორმაზე. 2019 წლიდან საქართველოს მთავრობის ინიციატივით გამართვდა მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაცია დაბლობში 1.25 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობისა და მთაში 5 ჰა მიწის ფართობის ნაკვეთის შემთხვევაში და ეს ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა

სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. გაძლიერებული კოორდინაცია საშუალებას მისცემს RDA-ს, შეისწავლოს რეგიონებში პროგრამაზე მოთხოვნა იმ შემთხვევისთვის, რომელშიც მიწის რეგისტრაციის რეფორმა მიყვება დაფიქსირებულ ტრენდს. მეტიც, RDA-მ და შესაბამისმა მიწის საკითხებზე პასუხისმგებელმა უწყებამ ხელი უნდა შეუწყო მიწის თანამესაკუთრების პრინციპის დანერგავს. თუმცა საერთო საკუთრება ყოველთვის არ ნიშნავს თანაბარ უფლებებს. შესაბამისად, აუცილებელია ამ საკითხზე გენდერულ ჭრილში ტრენინგის ჩატარება შესაბამისი უწყებისა და ბენეფიციართა სამიზნე ჯგუფისთვის.

- მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოების მომსახურების ეფექტიანობა, სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მიწის რეგისტრაციის რეფორმის შესახებ ინფორმაციის გაზიარებით. ამ მიზნით, RDA-ს შეიძლება დასჭირდეს რამდენიმე საკოორდინაციო შეხვედრის მოწყობა შესაბამის სუბიექტებთან, რათა გადაწყდეს ინფორმაციის გაზიარების ფორმა, დრო და სიხშირე.

- შესაძლებლობების განვითარება:

- RDA-მ უნდა განიხილოს სწავლების, შესაძლებლობების განვითარებისა და ცოდნის მენეჯმენტის ინტეგრირება პროგრამა „დანერგე მომავლის“ განხორციელების ყველა ეტაპზე, რათა სოფლის მეურნეობის პროგრამებში მოხდეს გენდერული თანასწორობისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერების საკითხების ეფექტურად ჩართვა. ასეთი შესაძლებლობების განვითარება მოითხოვს გრძელვადიან ვალდებულებასა და ინვესტიციას გენდერული თანასწორობის, სოფლის განვითარების და მეურნეობის საკითხებში შიდა შესაძლებლობების განვითარებისთვის, რაც ამჟამად არ ხორციელდება.
- ვინაიდან სამინისტროს რეგიონებთან

ურთიერთობის დეპარტამენტი არის ძირითადი წყარო, საიდანაც ფერმერებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის მიღება RDA-ს მიერ შემოთავაზებული ყველა სახელმწიფო პროგრამის შესახებ, ისინი უნდა ჩაერთონ შესაძლებლობების განვითარების პროცესშიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხარჯები არ არის მაღალი, შესაძლებლობების განვითარება კი მუდმივი პროცესია, RDA-ს სჭირდება ბიუჯეტში დამატებითი რესურსების გამოყოფა ამ აქტივობისთვის.

ალტერნატივა 1.2: წარმოების კომერციალიზაცია:

პროგრამის ბენეფიციართა დაახლოებით 7% ფლობს 10 ჰა ან უფრო მეტ მიწას, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ მეურნეობებს აქვთ კომერციალიზაციის პოტენციალი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კატეგორიაში შემავალი ბენეფიციარები შეიძლება კლასიფიცირდნენ როგორც კომერციული წარმოების სფეროში სპეციალიზირებული ფერმერები, ამ შემთხვევაში პროგრამა „დანერგე მომავლს“ შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი ეკონომიკური გავლენა ვიდრე სოციალური.

კომერციალიზაციამ თავდაპირველად შეიძლება გამოიწვიოს უკვე არსებული გენდერული დისბალანსის კიდევ უფრო გაღრმავება; ამასთან, ეს, ძირითადად, დამოკიდებულია პროგრამების უნარზე, აღმოფხვრას გენდერულ როლებთან დაკავშირებული გამოწვევები. RDA-მ თავისი პროგრამების საშუალებით, კომერციული წარმოების ხელშეწყობა/წახალისების მიზნით, უნდა გაითვალისწინოს არსებული კონტექსტი და უნდა შეიმუშავოს ისეთი ინტერვენციები, რაც არსებულ ხავებებს გამოასწერს და არა პირიქით. კომერციულ მეურნეობაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, RDA-მ უნდა შექმნას სხვა დამხმარე მექანიზმები, რომლებიც არამართო უზრუნველყოფს ქალების მონაწილეობას პროგრამაში, არამედ გაზრდის მათ მიერ მიღებულ მოგებას. ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ მცირე მიწის ნაკვეთებისგან განსხვავებით, საშუალო და უფრო დიდი ზომის (10 ჰა და მეტ) მიწის ნაკვეთების შემთხვევაში RDA-სგან თანადაფინანსების 1 ლარს საშუალოდ ნაკლები შემოსავალი მოაქვს ქალის

ბენეფიციარებისთვის, ვიდრე კაცებისთვის. ეს მაჩვენებელი ქალებისთვის 3.39 ლარს, ხოლო კაცებისთვის 3.53 ლარის შეადგენს. აღნიშნული შეიძლება მრავალი მიზეზით იყოს გამოწვეული: კაპიტალზე, დამატებით დაფინანსებასა და ინოვაციურ საირიგაციო სისტემებზე დაბალი წვდომა, დაბალი ღირებულების/ნაკლები რისკის შემცველი კულტურების არჩევა, საწყისი კაპიტალის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-იარაღისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. ამიტომ 1.2 ალტერნატივა გულისხმობს, რომ ჩარევის ფინანსურ სტიმულთან და დახმარებასთან ერთად, RDA-მ უნდა დაიწყოს სხვა ისეთი ძირითადი ცვლადების იდენტიფიცირება, რომლებიც ამჟამად ზღუდავს სოფლის მეურნეობის დარგში კომერციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებას. ამასთან, ამ ტიპის პროგრამებისკენ ნაბიჯის გადასადგმელად, RDA-მ უნდა გააუმჯობესოს თავისი შესაძლებლობები სოფლის მეურნეობის სექტორში გენდერისა და თანასწორობის მნიშვნელობის გააზრების თვალსაზრისით და დაიწყოს მუშაობა უფრო სრულყოფილი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე, რათა გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ პროგრამაში ბენეფიციარების მონაწილეობაზე, შედეგებსა და პროდუქტიულობაზე.

1.1 ალტერნატივის მსგავსად, ეს ალტერნატივა უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში პროგრამა „დანერგე მომავლის“ და მსგავსი სასოფლო-სამეურნეო პროგრამების სიღრმისეულ ანალიზს, რათა შეიქმნას საფუძველი RDA-სა და სამინისტროს მუშაობის შედეგების სამომავლო მონიტორინგისთვის.

ალტერნატივა 1.2-ის ძლიერი მხარეები (შესაძლებლობები):

- გენდერული ასპექტების გათვალისწინება – პროგრამაში ქალების მონაწილეობის გაზრდა;
- პროგრამების გენდერული მგრძნობელობის გაზრდა ყველა დაინტერესებული მხარის შემთხვევაში;
- პროგრამის ტრანსფორმაციული შესაძლებლობების გაზრდა;
- უფრო მეტი ყურადღების გამახვილება გენდერული გავლენის და მომგებიანობის შეფასებაზე;
- პროგრამის ეფექტიანობის გაზრდა პროგრამის

ბიუჯეტის უფრო ეფექტიანად განაწილებითა და ინფორმაციის უკეთ გაზიარებით;

- ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა სოფლის განვითარების პროცესში;
- მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის;
- ქალებისთვის პროგრამაზე, ცოდნაზე, რესურსებზე, ფინანსებსა და გრანტებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კაცებთან შედარებით.
- გაძლიერებული ადამიანური რესურსი და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსების უკეთესი განკარგვა.

ალტერნატივა 1.2-ის სუსტი მხარეები (რისკები):

- ქალთა დაბალი მონაწილეობის რისკი, რის გამოც ქალებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეიძლება გამოუყენებელი დარჩეს;
- ბენეფიციარებში სტიმულების შეცვლა – ნომინალურად ბენეფიციარად ქალის წარმოჩენა, მაშინ, როდესაც გრანტის რეალური მიმღები კაცია.

ალტერნატივა 1.2-ის წარმატებულად დასაწერად და გენდერულ თანასწორობაზე მეტი გავლენის მოსახდენად, RDA-მ უნდა განახორციელოს შემდეგი აქტივობები:

- შესაძლებლობების განვითარება:

- ალტერნატივა 1.1-ის მსგავსად, RDA-მ უნდა განიხილოს სწავლების, შესაძლებლობების განვითარებისა და ცოდნის მენეჯმენტის ინტეგრირება პროგრამა „დანერგე მომავლის“ განხორციელების ყველა ეტაპზე, რათა სოფლის მეურნეობის პროგრამებში მოხდეს გენდერული თანასწორობისა და ქალების გაძლიერების საკითხების ეფექტიანი გათვალისწინება.

- მონაცემების შეგროვება, შენახვა და ანალიზი:

- პროგრამის ბენეფიციართა და მონაწილეობის მსურველთა შესახებ მონაცემების შეგროვების გარდა, როგორც 1.1 ალტერნატივაშია აღწერილი, RDA-მ უნდა დაიწყოს მონაცემების შეგროვება და ანალიზი მისი პროგრამის ბენეფიციარების სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანახარჯების შესახებ. პროგრამა „დანერგე მომავლის“ გენდერული

მნიშვნელოვნების შესწავლისას, სოციალური ნორმებისა და ღირებულებების გათვალისწინებით, GIA-ის ამ ანალიზმა განსაზღვრა ძირითადი გენდერული გამოწვევები, რაც შეიძლება ჰქონდეთ სოფლად მცხოვრებ ქალებს რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და, შესაბამისად, პროგრამაში მონაწილეობის კუთხით.

- იმისათვის, რომ RDA-მ შეძლოს დააკვირდეს და უკეთ შეაფასოს ბენეფიციარებს შორის არსებული განსხვავებები და პროგრამის გავლენა, მნიშვნელოვანია, თითოეული ბენეფიციარისთვის დონეზე მოხდეს დეტალური ინფორმაციის შეგროვება პირველადი და მეორადი წარმოების შესახებ, ისეთი საოპერაციო ხარჯების შესახებ, როგორიცაა დანახარჯი სასუქებზე, პესტიციდებზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მანქანადანადგარებზე, ენერგიაზე (წყალი, სანავი, ელექტროენერგია და ა.შ.), ოჯახის და დაქირავებულ სამუშაო ძალაზე. დეტალური ინფორმაცია უნდა შეგროვდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და ფასზეც.
- RDA-მ უნდა გადანევიტოს, რა მიდგომებს გამოიყენებს პროგრამის ბენეფიციარების წარმოების ხარჯების შესაგროვებლად, რა მეთოდით და პერიოდულობით შეგროვდება ეს მონაცემები.

- არსებული პროგრამის საკოორდინაციო მექანიზმების გაძლიერება / პროგრამის განხორციელება:

- RDA-მ უნდა გაამჯობესოს კოორდინაცია პროგრამა „დანერგე მომავალსა“ და მის მიერ განხორციელებულ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამებს შორის. მხოლოდ ქალი ფერმერების მიწაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას არ ექნება სათანადო შედეგი, თუ ამავდროულად არ მოხდა დამატებითი ფინანსური რესურსების და წარმოების საშუალებების გამოყოფა, ასევე, თუ არ ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები და გაუმჯობესდა ინფორმაციის მიწოდება.

- RDA უნდა დარწმუნდეს, რომ პროგრამა „დანერგე მომავალს“ ბენეფიციარები, განსაკუთრებით კი ქალები, ფლობენ საკმარის ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- პროგრამა „სოფლის მეურნეობის მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“;
- პროგრამა „მოსავლის ამღები ტექნიკისთვის თანადაფინანსება“;
- პროგრამა „აგროდიზელის მხარდაჭერა“;
- პროგრამა „აგროდაზღვევა“;
- პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა“.

- ცოდნისა და ინფორმაციის გაზიარება:

- RDA-ს შეუძლია შეიმუშავოს გამკველვი, რომელიც მიეძღვნება არა მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ პროგრამას, არამედ აღწერს სააგენტოს ყველა სერვისსა და სასოფლო-სამეურნეო პროგრამას, მათში მონაწილეთათვის წარდგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, საჭირო დოკუმენტაციასა და პროცედურებს; სერვისების გამოყენების მაგალითებს მდგრადი და ეფექტური აგრობიზნესის დასაფუძნებლად.

გემოთ აღნიშნულ რამდენიმე აქტივობას შეიძლება დასჭირდეს დამატებითი სახსრებისა და ადამიანური რესურსების გამოყოფა. თუმცა, ზოგადად, უმჯობესია არსებული სახსრების მიზნობრივად გამოყენება და ეფექტიანად გადანაწილება არა მხოლოდ RDA-ს, არამედ სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების შემთხვევაშიც – რადგან შემოთავაზებული აქტივობები გულისხმობს ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი ზომის გატარებას.

დასაწყისისთვის, დამატებითი სახსრების ნაცვლად, RDA-ს ამაჟამინდელი დაფინანსება შეიძლება გადანაწილდეს, რათა პროგრამა „დანერგე მომავალი“ გახდეს უფრო ეფექტიანი და მომგებიანი და ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას სოფლის მეურნეობაში.

ცხრილი 7.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, პროგრამა „ერთიანი აგროპროექტისთვის“ და პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“, 2018 – 2024 წწ

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები							
ათასი ლარი	2018	2019	2020 (გეგმა)	2021 (პროექტი)	2022 (პროგნოზი)	2023 (პროგნოზი)	2024 (პროგნოზი)
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA), მათ შორის:	263,009	358,045	476,860	415,805	456,215	459,025	491,434
ერთიანი აგროპროექტი (UAP), მათ შორის:	101,689	140,817	211,795	159,040	156,350	159,700	166,700
„დანერგე მომავალი“	9,563	15,614	13,000	17,000			

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის¹¹³ მიხედვით, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ¹¹⁴ მოამზადა (იხ. ცხრილი 7), 2021 წელს MEPA-ს საბიუჯეტო ასიგნებები 415 მლნ. ლარზე მეტი იქნება და 2022 – 2024 წლებში ყოველწლიურად 6%-ით გაიზრდება. MEPA-ს პროგრამა „ერთიანი აგროპროექტი“ (UAP) 2021 წელს პროგნოზირებულია დაახლოებით 159 მილიონი ლარის ფარგლებში და დაფინანსება ყოველწლიურად დაახლოებით 2%-ით იზრდება (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები). თავის მხრივ, პროგრამა „დანერგე მომავლის“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება 2021 წელს მნიშვნელოვნად (31%-ით) გაიზრდება 2020 წელთან შედარებით. ამ პროგრამისთვის 17 მლნ. ლარის დაფინანსებაა გათვალისწინებული 2021 წელს, ხოლო 2022 – 2024 წლებისთვის

ამ ქვე-პროგრამის ოფიციალური პროგნოზები არ არსებობს. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ სამინისტროს და „ერთიანი აგროპროექტის“ ბიუჯეტის საშუალო ზრდის ტემპს იმავე პერიოდში, შეიძლება დავუშვათ, რომ „დანერგე მომავლის“ დაფინანსება ყოველწლიურად დაახლოებით 4%-ით გაიზრდება (იხ. ცხრილი 8). ჩვენი რეკომენდაციაა ამ GIA-ის მიერ შემოთავაზებული ქმედებების ინტეგრირება პროგრამის ბიუჯეტში 2022 წელს.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს¹¹⁵, არსებობს გენდერულად მგრძნობიარე დაფინანსების გამოყოფის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის გენდერული ბიუჯეტირების (GRB)¹¹⁶ გამოყენება. ჩვენი ანალიზის მიზნებისთვის, გენდერულად ჩაშლილი მონაცემების არარსებობის გამო, GRB-ისთვის გამოვიყენებთ „5%-ის წესს“, რომელიც ეფექტურად გამოიყენება აზიის რამდენიმე

113 პროექტი ამჟამად პირველად, სამუშაო ვერსიას წარმოადგენს. ის შეიძლება შეიცვალოს 2020 წლის ბოლომდე, სანამ პარლამენტი არ მიიღებს 2021 წლის ბიუჯეტის კანონს.

114 იხილეთ: <https://www.mof.ge/5355>

115 L. Chakraborty, Asia: A Survey of Gender Budgeting Efforts (IMF, Strategy, Policy, and Review and Research Departments, 2016). წყარო: <https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2016/wp16150.pdf>

116 GRB შეიძლება გაკეთდეს როგორც ბიუჯეტის ხარჯვის, ისე შემოსავლის მხარეს და, როგორც წესი, იგი მოითხოვს რამდენიმე ეტაპად განხორციელებას, რათა განვითარდეს და ეფექტურად განხორციელდეს.

ქვეყანაში¹¹⁷. ეს წესი გულისხმობს, რომ GRB-ისთვის გამოყოფილი სახსრები უნდა შეადგენდეს მთლიანი სახელმწიფო ხარჯების 5%-ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს შეიძლება გულისხმობდეს გენდერული თანასწორობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ინტეგრირებას სახელმწიფო უწყებების რეგულარულ საქმიანობაში, რაზეც მათი ბიუჯეტის მინიმუმ 5% უნდა იხარჯებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ შეგვეძლო ეს გამოცდილება გამოგვეყენებინა და მთლიანი RDA-ს ბიუჯეტის 5% გაგვეთვალისწინებინა გენდერული ასპექტების

გათვალისწინებაზე (იხ. ცხრილი 3) იქიდან გამომდინარე, რომ ეს GIA ხორციელდება „დანერგე მომავლის“ პროექტზე (იხ. ცხრილი 8), ჩვენი შემოთავაზებაა, რომ პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბიუჯეტის 5% (დაახლოებით 800-900 ათასი ლარი) დაიხარჯოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც აღწერილია ზემოთ მოცემულ თავში. ეს იქნება GRB პრინციპების განხორციელებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი RDA-ს დაგეგმვის, პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

ცხრილი 8.

„დანერგე მომავლის“ დაფინანსება 2020-2021 წლებისთვის და GIA-ის გუნდის პროგნოზები (წითლად)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები					
ათასი ლარი	2020 (გეგმა)	2021 (პროექტი)	2022 (GIA-ის გუნდის პროგნოზი)	2023 (GIA-ის გუნდის პროგნოზი)	2024 (GIA-ის გუნდის პროგნოზი)
პროგრამა „დანერგე მომავალი“	13,000	17,000	17,621	17,900	18,183
გენდერული თანასწორობის მისაღწევად შემოთავაზებული ბიუჯეტი, პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბიუჯეტის 5% (GIA-ის გუნდის მიერ შემოთავაზებული)	-	850	881	895	909

წყარო: ავტორის პროგნოზები ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

და ბოლოს, გენდერული თანასწორობის, ისევე როგორც, ზოგადად, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, RDA-მ უნდა აწარმოოს პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბიუჯეტის შესახებ უფრო დეტალური და გენდერულად ჩაშლილი მონაცემების შეგროვება. მონაცემები მოიცავს გენდერულად ჩაშლილ ინფორმაციას ყველა განმცხადებლის (წარმატებული და წარუმატებელი) ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ, ასევე, შერჩეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის და ბენეფიციარების ინვესტიციების ფინანსური მომგებიანობის შესახებ. ამგვარი გაუმჯობესებული

და დეტალური მონაცემებით შეიძლება ჩატარდეს უფრო ღრმა და უფრო ფართო ანალიზი RDA-ს პროგრამებისთვის, მათ შორის პროგრამა „დანერგე მომავლისთვის“. შესაბამისად, RDA შეძლებს პროგრამა „დანერგე მომავალში“ გენდერული კუთხით არსებული უთანასწორობის გამოსწორებას და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს გენდერული სტრატეგიის შემუშავება და აღსრულება სოფლის მეურნეობაში და სოფლად ქალთა გაძლიერებისთვის.

117 M. K. V. Delgado, Gender-Responsive Planning and Budgeting at the National Level: The Philippine Experience (Office of the President, Philippine Commission on Women). წყარო: <https://www.unescap.org/sites/default/files/2.%20The%20Philippines.pdf>. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ

ინდოეთის გამოცდილება: „ბიუჯეტი 2020: გენდერული ბიუჯეტირების საჭიროება“ https://economictimes.indiatimes.com/news/economy/policy/budget-2020-the-need-for-gender-budgeting/articleshow/73793600.cms?utm_source=contentofinterest&utm_medium=text&utm_campaign=cppst

დანართი

დანართი 1:
კვლევის პროცესში გამოყენებული
დაინტერესებული მხარეების მატრიცა
(გამოკითხული დაინტერესებული მხარეები)

გავლენა/ინტერესი	დაბალი გავლენა	მაღალი გავლენა
დაბალი ინტერესი	ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიები გენდერის ექსპერტები რეგიონული განვითარების ცენტრი ფონდი „ტასო“	სოფლის განვითარების სააგენტო: • კოოპერატივების განვითარების და მართვის დეპარტამენტი
მაღალი ინტერესი	სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოების კოორდინატორები ISET-PI-ის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი საქართველოს ფერმერთა ასოციაცია	სოფლის განვითარების სააგენტო: • პროექტების ოპერაციების დეპარტამენტი; • პროექტების განვითარების დეპარტამენტი; • ანგარიშგებისა და ბიუჯეტირების განყოფილება ფინანსურ დეპარტამენტში

დანართი 2: გამოყენებული ლიტერატურა

GIA-ის პროცესში გუნდმა მიმოიხილა შემდეგი ლიტერატურა:

ა) ეროვნული

ეროვნული ჩარჩო:

- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, „საქართველო 2020“
- სამთავრობო პროგრამა 2019-2020
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წწ
- სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლებში საქართველოში
- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წწ
- საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 წწ
- საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წწ
- „ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა საქართველო / VNR 2020 – ანგარიში მდგრადი განვითარების შესახებ 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების შესახებ“.
- სახელმწიფო საბიუჯეტო დოკუმენტები, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები (BDD) და პროგრამის ბიუჯეტირების ნაწილები
- 2018 წლის საპილოტე კვლევა გენდერული პერსპექტივით აქტივების საკუთრებისა და მენარმეობის გაზომვის შესახებ (საქსტატი).

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (2018 წ.). გზა ფერმერობისკენ. თბილისი: GFA. ხელმისაწვდომია: <https://gfa.org.ge/>

FAO (2018 წ.) გენდერი, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება საქართველოში – ქვეყნის გენდერული შეფასების სერია. რომი: FAO. ხელმისაწვდომია: <http://www.fao.org/3/ca0577en/CA0577EN.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2016 წ.). გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება; ქალები სოფელში; ეკონომიკური გაძლიერება. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2018 წ.). ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში. წყარო: <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2018/12/womens-economic-empowerment---regional>

გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის მთავრობა, კავშირი „საფარი“ (2017 წ.). ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/uploads/other/86/86670.pdf>

ბ) საერთაშორისო

აზიის განვითარების ბანკი (2006 წ.). გენდერის სია: სოფლის მეურნეობა.

გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (2016 წ.). გენდერი სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაში.

FAO (2016 წ.). სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანახარჯების სტატისტიკა – მონაცემთა შეგროვების, შედგენისა და გავრცელების სახელმძღვანელო მითითებები. წყარო: <http://www.fao.org/3/ca6411en/ca6411en.pdf>

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამა და მსოფლიო ბანკის ჯგუფი (2015 წ.). გენდერული უთანასწორობის საფასური სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაში მალავიში, ტანზანია და უგანდაში.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2019 წ.). გენდერული გამოწვევები სოფლის მეურნეობაში. პროდუქტიულობა სუბსაჰარულ აფრიკაში: მიზეზები, ხარჯები და გადაჭრის გზები.

მსოფლიო ბანკი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD). (2009 წ.). გენდერი სოფლის მეურნეობაში (წყარო წიგნი).

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება და პროგრამა „დანერგე მომავალი“

ცხრილი 9.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

State budget assignments (thousands of GEL)										
ათასი ლარი	2015	2016	2017	2018	2019	2020 (გეგმა)	2021 (პროექტი)	2022 (პროგნოზი)	2023 (პროგნოზი)	2024 (პროგნოზი)
1. სახელმწიფო ასიგნებები, მთლიანი. მათ შორის:	9,703,127	10,292,234	11,764,835	12,590,182	13,469,689	15,923,793	17,071,433	-	-	-
1.1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	314,332	330,256	329,099	263,009	358,045	476,860	415,805	456,215	459,025	491,434
1.1.1. გაერთიანებული აგრო პროექტი	231,793	250,602	115,614	101,689	140,817	211,795	159,040	156,350	159,700	166,700
1.1.1.1. დანერგე მომავალი	1,788	6,861	10,961	9,563	15,614	13,000	17,000	-	-	-
სამინისტროს ასიგნებების წილი მთლიან ბიუჯეტში	3%	3%	3%	2%	3%	3%	2%	-	-	-
ერთიანი აგრო პროექტის ბიუჯეტის წილი სამინისტროს მთლიან ბიუჯეტში	74%	76%	35%	39%	39%	44%	38%	-	-	-
„დანერგე მომავლის“ ბიუჯეტის წილი ერთიანი აგროპროექტის ბიუჯეტში	1%	3%	9%	9%	11%	6%	11%	-	-	-
სამინისტროს ბიუჯეტის ასიგნებების ზრდის ტემპი		5%	0%	-20%	36%	33%	-13%	10%	1%	7%
„ერთიანი აგრო პროექტის“ ბიუჯეტის ასიგნებების ზრდის ტემპი		8%	-54%	-12%	38%	50%	-25%	-2%	2%	4%
„დანერგე მომავლის“ ბიუჯეტის ასიგნებების ზრდის ტემპი		284%	60%	-13%	63%	-17%	31%	-	-	-

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დანართი 4:

პროგრამა „დანერგე მომავალი“ – ფინანსური დახმარების/სუბსიდიების კომპონენტები

პროგრამა სთავაზობს ბენეფიციარებს ფინანსურ მხარდაჭერას/სუბსიდირებას სამი ცალკეული კომპონენტისთვის:

1. მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი: ამ კომპონენტის თანახმად, მიზნობრივი ფინანსური დახმარება მიეწოდება პოტენციურ ბენეფიციარებს თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შესაძენად, ისე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოსაწყობად. მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში, სახელმწიფოს დაფინანსების წილი, ზოგადად, 70%-ს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობის კოოპერატივებისა და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების შემთხვევაში – 80%-ს. წვეთოვანი სარწყავი სისტემის დაფინანსების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსების წილი არის 50% ზოგადად, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებისა და მთიანი რეგიონებისთვის – 60%. დასაფინანსებელი ბაღის (ბაღები) მაქსიმალური ფართობი თავდაპირველად 20 ჰა იყო, თუმცა 2019 წელს პროგრამის ცვლილებების შემდეგ, ეს მაჩვენებელი 50 ჰა-მდე გაიზარდა. ამ კომპონენტში ტექნიკური დახმარების ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარებისთვის სავალდებულო იყო ტრენინგები, მაგრამ 2020 წლისმარტიდანპროგრამისმონაწილეებისთვის ტრენინგები ნებაყოფლობითი გახდა. პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. პროგრამის ძირითადი კრიტერიუმებია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფლობა ან მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი იჯარა (ამ მომენტისთვის, სულ მცირე, შემდეგი 10 წელი). მიწის

ნაკვეთის მინიმალური ფართობი, რომელზეც მრავალწლიანი ბაღის მოწყობა იგეგმება, ამჟამად უნდა იყოს მინიმუმ 0.5 ჰა, მაგრამ 2015 წელს, პროგრამის დასაწყისში, იგი იყო 5 ჰა, შემდეგ შეიცვალა 1 ჰა-ით 2015 წელს, და 2019 წლის მაისის შემდეგ გახდა 0.5 ჰა. ის მიწა, რომელზეც ბაღი არის დაგეგმილი, უნდა დამუშავდეს. გარდა ამისა, არსებობს დეტალური წინაპირობების ჩამონათვალი, რომელიც განმცხადებლებმა უნდა დააკმაყოფილონ, მაგალითად, მიწის ნაკვეთზე არსებული ნიადაგის შესაბამისობა შერჩეულ კულტურასთან, ძირითადი საკომუნიკაციო არხებზე ხელმისაწვდომობა, დაფინანსებისათვის წარსადგენი დოკუმენტები, თანადაფინანსების მოსაპოვებლად არსებული სხვა წინაპირობები და მონიტორინგის პროცედურებისთვის საჭირო პირობები.

1.1. მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი:¹¹⁸ ამ ქვეკომპონენტის მიხედვით, გათვალისწინებულია, მიზნობრივი ფინანსური დახმარება გაეწიოს პოტენციურ ბენეფიციარებს კენკროვანი კულტურების ნერგების შესყიდვისთვის, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობისთვისა და ბაღის გამშენებისათვის საჭირო მასალების შესაძენად. ქვეკომპონენტის სამივე ნაწილი 100%-ით ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი კენკროვანი კულტურები: ა) მოცვი; ბ) მავყალი; გ) ჟოლო. დაფინანსების მისაღებად ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ განუვლ იქნება ტექნიკური დახმარება

118 „თანადაფინანსება“ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ფარავს ხარჯების ნაწილს (სახელმწიფო დაფინანსების პროცენტული წილი დეტალურად არის აღწერილი პროგრამაში), კენკროვნების

შემთხვევაში კი „თანადაფინანსება“ გულისხმობს ხარჯების სრულად დაფარვას სახელმწიფოს მიერ (ანუ სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს 100%-ს).

ტრენინგებისა და შესაბამისი ტესტირების სახით (გამოცდები). ტექნიკური დახმარება წინაპირობაა დაფინანსებისთვისაც. მიწის ნაკვეთის ფართობი, რომელზეც დაგეგმილია კენკროვანი კულტურების ბაღის მოწყობა, ერთი ბენეფიციარისთვის უნდა იყოს მინიმუმ 0.15 ჰექტარი და არაუმეტეს 0.5 ჰექტარისა. თუმცა კენკრის ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შესაბამის მუნიციპალიტეტში ჯამურად გაშენდება მინიმუმ 3 ჰა კენკრა. პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. პროგრამის სხვა კომპონენტებისგან განსხვავებით, კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტი საშუალებას აძლევს ინდივიდუალურ განმცხადებელს, ჰქონდეს მიწის ნაკვეთი საკუთრებაში ან თანასაკუთრებაში („თანასაკუთრების“ შესაძლებლობა ქვეკომპონენტს დაემატა 2019 წლის ბოლოს). პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი კრიტერიუმია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მინიმუმ 0.15 ჰა-ს და არაუმეტეს 5 ჰა-ს ფლობა. გარდა ამისა, არსებობს დეტალური წინაპირობების ჩამონათვალი, რომელიც განმცხადებლებმა უნდა დააკმაყოფილონ – მაგალითად, ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი, ძირითადი საკომუნიკაციო არხების ხელმისაწვდომობა, დასაფინანსებლად წარსადგენი დოკუმენტები, თანადაფინანსების მოსაპოვებლად არსებული სხვა წინაპირობები და მონიტორინგის პროცედურებისთვის საჭირო პირობები.

2. სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი; ამ კომპონენტის ფარგლებში დაფინანსება ხორციელდება იმ პოტენციური ბენეფიციარებისათვის, რომელთაც სურთ სანერგე მეურნეობების გახსნა ან არსებულების განვითარება. სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ფინანსური დახმარება უზრუნველყოფს ვირუსისგან თავისუფალი ნერგებით სანერგეს მოწყობას. 2019 წლის მაისიდან სახელმწიფო დაფინანსების წილი 70% იყო, მაშინ როდესაც 2015

წელს, პროგრამის დასაწყისში, იგი 50%-ს შეადგენდა. ამ კომპონენტით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას მიიღებენ მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომლებიც შექმნიან ისეთ სანერგე მეურნეობებს, სადაც აწარმოებენ იმ კულტურას, რომელიც აღნიშნულია „დანერგე მომავლის“ შესახებ მთავრობის დადგენილების დანართში. ამ კომპონენტში ტექნიკური დახმარება წარმოადგენდა სავალდებულო ტრენინგებს პროგრამის ბენეფიციარებისათვის, თუმცა 2020 წლის მარტიდან ტრენინგებმა ნებაყოფლობითი ხასიათი მიიღო. პროგრამის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ როგორც ინდივიდუალური მენარმეები, ისე იურიდიული პირები. პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი კრიტერიუმებია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფლობა ან მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი იჯარით ქონა (იმ მომენტისთვის, სულ მცირე, შემდეგი 10 წელი). გარდა ამისა, არსებობს მოთხოვნების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც განმცხადებლებმა უნდა დააკმაყოფილონ, მაგალითად, მიწის ნაკვეთის შესაბამისობა, ძირითადი საკომუნიკაციო არხების ხელმისაწვდომობა, დაფინანსებისათვის წარსადგენი დოკუმენტები, თანადაფინანსების მოსაპოვებლად არსებული სხვა წინაპირობები და მონიტორინგის პროცედურებისთვის საჭირო პირობები.

3. სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტი; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კომპონენტი პროგრამაში ყველაზე ახალია, დაემატა რა 2020 წლის მარტში. კომპონენტი ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისთვის სახელმწიფო თანადაფინანსების გამოყოფას სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობისთვის ან/და ჭების, ჭაბურღილების ან სატუმბი სადგურის მოწყობისთვის, როგორც არსებული, ისე ახალი მრავალწლიანი ბაღებისთვის. ვენახის, ვაშლის, მსხლისა და ალუბლის ბაღებისთვის სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის ხარჯების სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს არაუმეტეს 10%-სა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის და 20%-ს კოოპერატივებისთვის, ოკუპირებული ტერიტო-

რიების მიმდებარე სოფლებისა და მთიან რეგიონებისთვის. ჭის, ჭაბურღილის ან სატუმბი სადგურის მოწყობის ხარჯების სახელმწიფო დაფინანსება ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის არ აღემატება 50%-ს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში – 60%-ს. პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი კრიტერიუმებია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფლობა ან მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი იჯარა (იმ მომენტისთვის, სულ

მცირე, შემდეგი 10 წელი). მიწის ნაკვეთის მინიმალური ზომა, რომელზეც დაგეგმილია სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭების, ჭაბურღილების ან სატუმბი სადგურების მოწყობა, უნდა იყოს, სულ მცირე, 0.5 ჰა. გარდა ამისა, კომპონენტში აღწერილია პროცედურები, რომლებიც უნდა გაიროს პოტენციურმა ბენეფიციარმა და სია იმ დოკუმენტებისა, რომლებიც წარსადგენია თანადაფინანსების მისაღებად.

დანართი 5: გენდერული თანასწორობა სოფლის მეურნეობაში – ლიტერატურის მიმოხილვა

სოფლის მეურნეობაში გენდერული თანასწორობა ფუნდამენტურია სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით და, ზოგადად, კაცობრიობის განვითარების საწინდარს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობაში გენდერს დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტიანობისა (საწარმოო რესურსების ხელმისაწვდომობა და კონტროლი) და თანასწორობის (ადამიანის ძირითადი უფლება) კუთხით¹¹⁹. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და სურსათის უვნებლობა ყოველდღიურად უკავშირდება ჩვენი ცხოვრების ყველა სხვა სფეროს; ის პირდაპირ კავშირშია ადამიანის ძირითად საჭიროებებთან და გავლენას ახდენს დარგში ჩართული ადამიანების ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში გენდერული ნიშნის გამონეგებები ძალიან მსგავსია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ სოფლის მეურნეობაში არსებობს მეტნაკლებად საყოველთაოდ აღიარებული პრობლის გენდერული დაყოფა (მცენარეთა ან ცხოველთა სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში გასახორციელებელი „მამრობითი“ და „მდედრობითი“ აქტივობები, „მდედრობითი სქესისა“ და „მამრობითი სქესისთვის“ განკუთვნილი ცხოვე-

ლები და მცენარეები¹²⁰. ქალთა და კაცთა ფიზიკური განსხვავების აღიარების და განსაზღვრული გენდერული როლების მიუხედავად, ამ განსხვავებების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ინტერპრეტაცია იწვევს გენდერულ უთანასწორობას¹²¹.

მებაღეობის კულტურებში¹²² გენდერული გამოწვევები გარკვეულწილად განსხვავდება ზოგადი სასოფლო-სამეურნეო და საველე კულტურებში არსებული გამოწვევებისგან, თუმცა ამ სექტორში ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მებაღეობის კულტურები მნიშვნელობას იძენს საკუთარი მზარდი კომერციული, კვების და საექსპორტო პოტენციალიდან გამომდინარე და, შედეგად, ქალის როლი, სავარაუდოდ, შეიცვლება. საჭიროა ძალისხმევა ქალების სტატუსის შესაცვლელად, რათა ისინი დაქირავებული მუშაკებიდან ან დამხმარეებიდან მწარმოებლად იქცნენ.¹²³ ამ მიმართულებით, ამ სფეროს შესახებ არსებული ლიტერატურის თანახმად, პოლიტიკის შემუშავებისა და ინიციატივების შეთავაზებისას, სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის სტრატეგიები ფოკუსირებული უნდა იყოს უთანასწორობის მიზეზების და არა სიმპტომების გამოვლენაზე.

119 C. R. Farnworth, Gender Aware Approaches in Agricultural Programmes: A Study of Sida-supported Agricultural Programmes (Sida, 2010). წყარო: <https://www.sida.se/contentassets/45e74879e0c94430bc85f466b2418e85/15017.pdf>


120 Gallina, Gender Aware Approaches in Agricultural Programmes.

121 European Commission, Women in EU Agriculture and Rural Areas: Hard Work, Low Profile (2012).

EU Agricultural Economic Briefs. წყარო: https://ec.europa.eu/info/sites/info/files/food-farming-fisheries/farming/documents/agri-economics-brief-07_en.pdf

122 მებაღეობა მოიცავს ზოგადად ხილს, ბოსტნეულს და დეკორატიულ მცენარეებს.

123 Tripathi et al., eds., *Role of Women in Horticulture and women friendly technologies*.



გენდერული როლები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობაში გარკვეულწილად არის განაწილებული როლები, რომლებიც აღიქმება ან „კაცის“, ან „ქალის“ საქმედ. მაგალითად, მეზღვრობაში ქალების საქმედ ითვლება თესლის განმენდა, თესლის მომზადება და თესვა. სანერგეებშიც, ტრადიციულად, ქალები მუშაობენ. სარეველების მოშორებაც, ჩვეულებრივ, ქალებს ევალებათ, რაც დიდ დროს მოითხოვს და საკმაოდ მძიმე სამუშაოა¹²⁴. შესაბამისად, გენდერული სეგრეგაცია ვრცელდება მეზღვრობაშიც, თან არა მხოლოდ აქტივობებზე, როგორებიცაა საკითხები, თუ ვინ აიღებს მოსავალს, დარგავს, გადაამუშავებს, სარეველებისგან განმინდავს ან მორწყავს სასოფლო-სამეურნეო კულტურას, არამედ უფრო ფართო დიაპაზონზე. მაგალითად, კაცები, ძირითადად, აწარმოებენ მაღალი ღირე-

ბულების სასოფლო-სამეურნეო კულტურებს გასაყიდად, მაშინ როდესაც ქალები საკუთარი/ოჯახის მოხმარებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, წვრილი კულტურებისა და ბოსტნეულის წარმოებით არიან დაკავებული¹²⁵. იგივე ვრცელდება საქართველოსთან მიმართებაშიც – ქალები, ძირითადად, დაკავებულნი არიან საოჯახო/საარსებო წარმოებით, ხოლო კაცები – მაღალი ღირებულების/მომგებიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით¹²⁶. მეტიც, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქალების მიერ კონტროლირებადი რესურსები და შემოსავალი უფრო მეტად გამოიყენება ოჯახის საერთო კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და იხარჯება საკვებზე, ბავშვთა კვებასა და განათლებაზე¹²⁷. გარდა ამისა, ქალებს ხშირად აქვთ მეტი ცოდნა ადგილობრივი საჭიროებების შესახებ და გააჩნიათ

124 Tripathi et al., eds., *Role of Women in Horticulture and women friendly technologies*.

125 World Bank, FAO and IFAD, *Gender in Agriculture: Sourcebook*. კულტურები, რომელთა მოსავალი თითქმის სრულად გამოიყენება საოჯახო მეურნეობაში მოხმარებისთვის და ძლიან მცირე ნაწილი რჩება გასაყიდად.
<https://www.britannica.com/topic/subsistence-farming>

126 FAO, *Gender, agriculture and rural development in Georgia*.

127 Farnworth, *Gender Aware Approaches in Agricultural Programmes*; UN Women, UNDP, UNEP and the World Bank Group, *The Cost of the Gender Gap in Agricultural Productivity in Malawi, Tanzania, and Uganda* (2015). ხელმისაწვდომია: https://www2.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/library/publications/2015/costing%20gender%20gap_launch.pdf?v=1&d=20151015T142608

ინტერპერსონალური და კომუნიკაციის გამორჩეული უნარი¹²⁸. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მცენარეების გენეტიკურ გაუმჯობესებაში, რადგან მუდმივად ჩართულები არიან სელექციის პროცესში. მათ მოჰყავთ საკვები და სამკურნალო დანიშნულების მცენარეები, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება ყველა სახლის ბაღში¹²⁹.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ეს გენდერული როლები ძალიან გავრცელებულია, ეს არ ნიშნავს, რომ სიტუაცია არის ან უნდა იყოს სტატიკური. ყველა შესაძლებლობის გამოყენებისა და, ზოგადად, ოჯახებისა და საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კაცები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ საოჯახო მეურნეობის აქტივობებში, ხოლო ქალები უნდა გაძლიერდნენ მარკეტინგისა და ბიზნესის კუთხით.

არაანაზღაურებადი საოჯახო საქმე და ქალის უჩინარი საქმიანობა

ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეკონომიკაში როგორც ფერმერულ მეურნეობებში ანაზღაურებადი შრომით, ისე იმ არაანაზღაურებადი შრომით, რომლებითაც ისინი ტრადიციულად დაკავებული არიან სახლსა და საზოგადოებაში¹³⁰.

ქალთა საქმიანობა სასოფლის მეურნეობაში არ არის ანაზღაურებადი და არ არის გაცხადებული არც საყოფაცხოვრებო და არც სამეურნეო საქმიანობაში. ქალები უმეტეს დროს ბავშვებზე, მოხუცებსა და ოჯახზე ზრუნვაში ატარებენ, რაც ითვლება საყოფაცხოვრებო არაანაზღაურებად საქმიანობად და მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალთა მონაწილეობას ანაზღაურებად, ფორმალურ შრომის ბაზარზე. სოფლად ქალები უფრო ხშირად ირჩევენ ნახევარ განაკვეთზე მუშაობას, ვიდრე ქალაქში,

და ეს, ძირითადად, სოფელში არასათანადოდ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურით არის განპირობებული, მათ შორის ბავშვთა და მოხუცთა მოვლის სერვისების შეზღუდულობით¹³¹, რის გამოც ქალებს თავად უნევთ ამ აქტივობების განხორციელება. კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ თავად ქალები დასაქმებულად არ აღიქვამენ თავს, როცა არაანაზღაურებად შრომას ეწევიან, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, საქართველოში, საშუალოდ, ქალები სოფლის მეურნეობაში მუშაობენ 80 დღით მეტს, ვიდრე კაცები¹³². ქალებს მეუღლისგან დამოუკიდებელი შემოსავალიც არ აქვთ, მათი საქმიანობა ხშირად განიხილება როგორც კაცისთვის დამხმარე აქტივობა, რომელიც არ ანაზღაურდება და, შესაბამისად, არ შედის ღირებულების ჯაჭვში¹³³.

ქალების დაბალი წილი მეურნეობის/ მიწის საკუთრების მფლობელებს შორის და დაბალი ჩართულობა სოფლის მეურნეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ ქალთა წვლილი ადგილობრივ და საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანია, მაგრამ სოფლად მცხოვრები ქალები უმცირესობაში არიან გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში¹³⁴. ზოგადად, მსოფლიოში იგივე ვითარებაა – ისევე როგორც სხვა სექტორებში, ქალები სოფლის მეურნეობაშიც ნაკლებად იკავებენ მენეჯერულ თანამდებობებს, მიუხედავად იმისა, რომ ქალისთვის ეს უმნიშვნელოვანესი სექტორია და ეს დარგი ქალის შრომას ინტენსიურად იყენებს. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში, სოფლის მეურნეობაში ქალების წილი სამუშაო ძალაში დახლოებით 30-50%-ია, თუმცა იმავე ქვეყნებში მათი წილი სასოფლო-სამეურნეო აქტივების

128 EIGE, *Gender in Agriculture and Rural Development* (2016). წყარო: <https://eige.europa.eu/publications/gender-agriculture-and-rural-development>

129 World Bank, FAO and IFAD, *Gender in Agriculture: Sourcebook*.

130 Asian Development Bank, *Gender Checklist: Agriculture* (2006). წყარო: <https://think-asia.org/bitstream/handle/11540/2443/agri2.pdf?sequence=1>

131 EIGE, *Gender in Agriculture and Rural Development*.

132 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა, *სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება საქართველოში* (2018 წ.).

133 EIGE, *Gender in Agriculture and Rural Development*.

134 EIGE, *Gender in Agriculture and Rural Development*.

მფლობელთა შორის 5-20%-ს შორის მერყეობს¹³⁵. მიუხედავად იმისა, რომ ქალები არ არიან სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა უმრავლესობა, სოფლის მეურნეობის სექტორი ქალებისათვის მნიშვნელოვანია – საერთო ჯამში, მსოფლიოში ეკონომიკურად აქტიური ქალების 48% აცხადებს, რომ მათი ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა¹³⁶.

კვლევამ¹³⁷ აჩვენა, რომ ქალის ხელმძღვანელობით ოჯახები წარმოადგენენ ყველა შინამეურნეობის 3-38%-ს და ქალებზე მოდის წარმოებული საკვების ღირებულების 2-17%. ეს ნიშნავს, რომ ქალის ხელმძღვანელობით შინამეურნეობები უფრო ნაკლებს აწარმოებენ, ვიდრე უნდა აწარმოებდნენ მათი წილიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ კაცების მსგავსი რესურსი და პროდუქტიულობა ექნებოდათ. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ იმ შინამეურნეობებში, სადაც ქალია სათავეში, მეტი შეზღუდვაა სამუშაო ძალასთან დაკავშირებით, რადგან ასეთ ოჯახებში, იმ შინამეურნეობებისგან განსხვავებით, სადაც კაცია სათავეში, როგორც წესი, ნაკლები ოჯახის წევრია, მაგრამ მეტი ადამიანი, ვისაც მოვლა სჭირდება¹³⁸.

საქართველოში, სადაც სოფლადაც კი ოჯახის ბიუჯეტს ხშირად ქალები აკონტროლებენ, ეს ფაქტი შეიძლება დადებითად იყოს გამოყენებული ქალთა როლის გასაძლიერებლად და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი მონაწილეობის გასაზრდელად. კვლევის თანახმად¹³⁹, გენდერული ბიუჯეტირება (GRB) და ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ დაგეგმვაში ეფექტური გზაა სოფლის მეურნეობაში მდგრადი და გენდერულად სამართლიანი განვითარების მისაღწევად.

რესურსებზე არათანაბარი წვდომა და კონტროლი

რესურსებზე ხელმისაწვდომობა და კონტროლი შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული უთანასწორობის მთავარ მიზეზად, რადგან ეს იწვევს ამ სექტორში ქალების უფრო დაბალ პროდუქტიულობას. ზოგადად, წარმოების ფაქტორებზე დაბალი ხელმისაწვდომობა არის დაბალი პროდუქტიულობის მიზეზი¹⁴⁰, რომელიც იზომება დამუშავებული მიწის ერთეულზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებით. არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ქალები ისევე პროდუქტიულები არიან, როგორც კაცები, როდესაც მათ აქვთ წვდომა იმავე რესურსებზე, რაზეც კაცებს. ასეთი რესურსებია საოჯახო შრომა, მაღალმოსავლიანი კულტურები¹⁴¹, პესტიციდები და სასუქები, განათლება, გაუმჯობესებული ტექნოლოგიები, კრედიტი, მიწა და სხვა რესურსები¹⁴². მეტიც, თუ ქალ ფემერებს იმავე რაოდენობისა და ხარისხის რესურსზე მოუწვდებათ ხელი, რასაც ჩვეულებრივ კაცები იღებენ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და შემოსავლების 10-20%-იანი ზრდა¹⁴³.

მიწის ფლობის შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემაა არა მხოლოდ ქალების მიერ მიწის საკუთრების წილის ნაკლებობა, არამედ ისიც, რომ ქალები ფლობენ უფრო მცირე ფართობის მიწის ნაკვეთებს, ვიდრე კაცები. როგორც ჩანს, ქალებს ნაკლები წვდომა აქვთ სამუშაო ძალაზე, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვაა, რომელიც იწვევს პროდუქტიულობაში გენდერულ დისბალანსს. ამ უკანასკნელს ხელს უწყობს ქალების

135 FAO, *The State of Food and Agriculture 2010-11: Women in Agriculture*.

136 Doss, *If women hold up half the sky, how much of the world's food do they produce?*

137 SOFA Team and Cheryl Doss, *The role of women in agriculture* (FAO, Agricultural Development Economics Division, 2011). წყარო: <http://www.fao.org/3/am307e/am307e00.pdf>

138 FAO, *The State of Food and Agriculture 2010-11: Women in Agriculture*.

139 გაერთიანებული ორგანიზაცია, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა, *სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების*

სისტემების გენდერული შეფასება საქართველოში (2018 წ.).

140 Croppenstedt, Goldstein and Rosas, *Gender and Agriculture*.

141 მაღალმოსავლიანი კულტურები არის საექსპორტო, ე.წ. „cash crop“-ები, რომელთა მოყვანა, ძირითადად, კაცების საქმედ ითვლება. UN Women, *The Gender Gap in Agricultural Productivity in Sub-Saharan Africa*

142 Doss, *If women hold up half the sky, how much of the world's food do they produce?* UN Women, *The Gender Gap in Agricultural Productivity in Sub-Saharan Africa*.

143 Farnworth, *Gender Aware Approaches in Agricultural Programmes*.

დაბალი წვდომაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და წარმოების სხვა ტექნოლოგიებზე¹⁴⁴. გარდა ამისა, იმ მეურნეობებში, სადაც უფროსი კაცია, უფრო ხშირად გამოიყენება ქიმიური სასუქები, ვიდრე იმ მეურნეობებში, სადაც უფროსი ქალია¹⁴⁵. ფინანსებსა და კრედიტებზე ხელმისაწვდომობა ამ მხრივ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. რესურსებზე წვდომასა და კონტროლში ყველა ზემოთ ხსენებული უთანასწორობა ამცირებს კრედიტის მიღებისა და ბიზნესის დაწყების ან გაფართოების შანსებს, რადგან ასე მუშაობენ ფინანსური ინსტიტუტები – სესხის მისაღებად ადამიანს გირაოს სახით უნდა ჰქონდეს გარკვეული ქონება. იმ კრედიტებთან მიმართებაში, რომლებიც გირაოს მოითხოვს, ქალები კაცებთან შედარებით არათანაბარ პირობებში არიან, რადგან მათ აქვთ ნაკლები მიწა და სხვა რესურსი, რომლებიც, პოტენციურად, გირაოდ შეიძლება ჩაიდოს¹⁴⁶.

საბოლოო ჯამში, აქტივების გამოყენება, კონტროლი და ფლობა გავლენას ახდენს როგორც კაცების, ისე ქალების უნარზე, ისარგებლონ სოფლის მეურნეობის დარგში გატარებული რეფორმებით¹⁴⁷. საკმაოდ მცდარია მოსაზრება, რომ ქალები ავტომატურად ისარგებლებენ მრავალწლიანი ბაღების სფეროში რეფორმების გატარებით – როდესაც კულტურები მომგებიანი ხდება, კაცები ხშირად ექცევიან წარმოების სათავეში¹⁴⁸, რადგან ისინი სარგებლობენ არსებული უპირატესობებითა და რესურსების განაწილებით.

ტრენინგსა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობა

ცალკე უნდა აღინიშნოს განათლებისა და ცოდნის გამოყენება და მნიშვნელობა როგორც არა მხოლოდ ჩვეულებრივი რესურსი, არამედ განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საბაზისო ადამიანური რესურსი. აქ ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ უმაღლეს განათლებაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რეგიონებში, სადაც ქალები სოფლის მეურნეობის სექტორში აქტიურად არიან ჩართულები¹⁴⁹, არამედ ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებზე, რაც ქალებს საშუალებას აძლევს, გაზარდონ ცოდნა მარკეტინგისა და ბიზნესის მიმართულებით, ისწავლონ მექანიზაციის (ხშირად ხდება ისე, რომ ქალებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ის ან ფიზიკურად უჭირთ მექანიზაციის გამოყენება პრაქტიკაში), ტექნოლოგიებისა და სხვა მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის გამოყენება.

არსებული გენდერული სტერეოტიპების გამო, ქალები ხშირად ნაკლებად არიან ინფორმირებულნი, ვიდრე კაცები და იშვიათად მონაწილეობენ ადგილობრივი თემის შეხვედრებსა თუ ტრენინგებში¹⁵⁰. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოებზეც. დადგენილია, რომ გლობალური

144 UN Women, UNDP, UNEP and the World Bank Group, *The Cost of the Gender Gap in Agricultural Productivity in Malawi, Tanzania, and Uganda*.

145 Croppenstedt, Goldstein and Rosas, *Gender and Agriculture*.

146 Ibid.

147 N. L. Johnson and others, "Gender, Assets, and Agricultural Development: Lessons from Eight Projects", *World Development*, vol. 83 (July 2016), pp. 295-311. წყარო: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0305750X16000073>

148 S. Nischalke, B. A. Wondimagegnhu and G. B. Kedding, "Gender challenges in horticultural research in Ethiopia and Madagascar", *Acta Horticulturae* (June 2018). წყარო: https://www.researchgate.net/publication/326603720_Gender_challenges_in_horticultural_research_in_Ethiopia_and_Madagascar

149 Croppenstedt, Goldstein and Rosas, *Gender and Agriculture*.

150 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა, *სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება საქართველოში* (2018 წ.).

მასშტაბით ამ სამმართველოების წარმომადგენელთა მხოლოდ 15% არის ქალი და ხშირად კაცი წარმომადგენლები მუშაობენ ისეთ ფერმერულ ჯგუფებთან, სადაც კაცები დომინირებენ. ეს ზოგჯერ იმიტომ ხდება, რომ მათთვის არსებული კულტურული ნორმებიდან გამომდინარე, მიუღებელია ქალებთან ურთიერთობა. როდესაც ქალები მონაწილეობენ სამმართველოს ღონისძიებებში, მათი უნარები და პასუხისმგებლობა შეიძლება არ იყოს სათანადოდ აღიარებული¹⁵¹. როგორც ქართული გამოცდილება გვაჩვენებს, სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცხრა სამმართველოდან მხოლოდ სამს ხელმძღვანელობს ქალი¹⁵².

ჯანმრთელობის საკითხები

სოფლის მეურნეობაში ქალთა დასაქმება ასოცირდება ისეთ არაეკონომიკურ გამოწვევებთან, როგორიცაა უსაფრთხო სამუშაო გარემო ან რუტინული ფიზიკური დატვირთვების გავლენა¹⁵³. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფლის მეურნეობაში ქალები, ძირითადად, დასაქმებულნი არიან და-

ბალი კვალიფიკაციის აქტივობების შესასრულებლად, რომელთათვის საჭიროა ხელით შრომა, რაც, სხვა ზემოქმედებებთან ერთად, განსხვავებულად ემუქრება მათ ჯანმრთელობასაც. მეზღვრულ დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები მოიცავს საშიში ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედებას (რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს გავლენა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე)¹⁵⁴. ქალები არ არიან დაცულები ინსექტიციდებით და პესტიციდებით გამოწვეული ჯანმრთელობის გართულებებისგან. გენდერული განსხვავებები გამოიკვეთა ჰერბიციდების გავლენაშიც ჯანმრთელობის მიმართ¹⁵⁵. ამის მიზეზი, ძირითადად, არაადეკვატური ცოდნა, დამცავი ტანსაცმლის არქონა, ცუდი ჰიგიენური პირობები, ფიზიკური დატვირთვა და ხანგრძლივი სამუშაო საათებია¹⁵⁶. ამრიგად, ქალის ჯანმრთელობაზე აგროქიმიკატების უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად საჭიროა აგროქიმიკატების უსაფრთხო და გონივრული გამოყენების შესახებ ცოდნისა და უნარების ამაღლება¹⁵⁷, ჯანმრთელობის სტანდარტების დამკვიდრება სამუშაო ადგილზე და ამ სტანდარტების დაცვის გაკონტროლება.

151 Gallina, *Gender Aware Approaches in Agricultural Programmes*.

152 წყარო: სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ათ სამმართველოსთან ჩატარებული კონსულტაციები ამ კვლევის ფარგლებში (იხ. დანართი 9).

153 A. Giroud and J. S. Huaman, "Investment in agriculture and gender equality in developing countries", *Transnational Corporations*, vol. 26, No. 3 (2019). წყარო: https://unctad.org/en/PublicationChapters/diaeia2019d3a4_en.pdf

154 K. Sexsmith, *Promoting Gender Equality in Foreign Agricultural Investments: Lessons from voluntary sustainability standards* (International Institute for Sustainable Development, 2017). წყარო: [https://www.iisd.org/sites/default/files/publications/pro-](https://www.iisd.org/sites/default/files/publications/pro-moting-gender-equality-foreign-agricultural-investments.pdf)

[moting-gender-equality-foreign-agricultural-investments.pdf](https://www.iisd.org/sites/default/files/publications/pro-moting-gender-equality-foreign-agricultural-investments.pdf)

155 World Bank Group, FAO and IFAD, *Gender in Climate-Smart Agriculture: Module 18 for the Gender in Agriculture Sourcebook* (2015). წყარო: <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/22983/Gender0in0clim0riculture-0sourcebook.pdf?sequence=1&isAllowed=y>

156 World Bank, FAO and IFAD, *Gender in Agriculture: Sourcebook*.

157 S. P. Khatiwada and others, "A Gender Analysis of Changing Livelihood Activities in the Rural Areas of Central Nepal", *Sustainability*, vol. 10, No. 11 (2018). წყარო: <https://www.mdpi.com/2071-1050/10/11/4034/htm>

დანართი 6:

„დანერგე მომავლის“ შეჯამებული მონაცემები MEPA-ს 2019 წლის წლიური ანგარიშიდან

ცხრილი 10.

ინფორმაცია პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ.

გაშენებული ბალები და ინვესტიცია (2015 - 2019 წწ)				
ბალების რაოდენობა	ფართობი (ჰა)	მთლიანი ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების წილი მთლიან ინვესტიციაში (%)
1,305	8,476 ha	GEL 86,898,356	GEL 47,843,589	55%

მოსავლიანობისა და ფერმერთა შემოსავლების პროგნოზი წლების მიხედვით						
	2020	2021	2022	2023	2024	2025
მოსავლიანობა (ტონა)	16,139	28,468	42,338	57,597	68,708	74,385
შემოსავალი (ლარი)	20,505,543	41,534,827	69,224,305	105,013,765	134,060,181	151,425,550

გაშენებული კულტურები და ინვესტიციები (2015 - 2019 წწ)				
კულტურები	ნათესი ფართობი (ჰა)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	წილი მთლიან ნათეს ფართობში	წილი მთლიან სახელმწიფო დაფინანსებაში
კაკალი	2,809	13,641,155	33%	29%
ნუში	1,412	5,552,262	17%	12%
ვაშლი	1,023	8,449,076	12%	18%
თხილი	627	1,213,016	7%	3%
მოცვი	474	6,807,243	6%	14%
ზეითუნი	468	2,414,056	6%	5%
ჟოლო	318	3,038,109	4%	6%
ქლიავი	311	1,562,762	4%	3%
სხვა	1,034	5,165,909	12%	11%
სულ	8,476	47,843,588	100%	100%

ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით (2015 - 2019 წწ)		
რეგიონი	ნათესი ფართობი (ჰა)	წილი მთლიან ნათეს ფართობში
აჭარა	44	1%
გურია	196	2%
იმერეთი	497	6%
კახეთი	3,380	40%
მცხეთა-მთიანეთი	120	1%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	21	0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	648	8%
სამცხე-ჯავახეთი	25	0%
ქვემო ქართლი	1,449	17%
შიდა ქართლი	2,096	25%
სულ	8,476	100%

კენკროვანი კულტურების ნათესი ფართობი და ინვესტიცია (2019 წ.)				
კულტურები	ნათესი ფართობი (ჰა)	მთლიანი ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო დაფინანსება (ლარი)	სახელმწიფო დაფინანსების წილი მთლიან ინვესტიციაში
რეგიონი	ნათესი ფართობი (ჰა)	წილი მთლიან ნათეს ფართობში	2,120,945	100%
მოცვი	50.90	2,120,945	2,120,945	100%
მოცვი, მაყვალი, ჟოლო	0.40	10,060	10,060	100%
მაყვალი	3.31	68,502	68,502	100%
ჟოლო	11.57	285,693	285,693	100%
ჟოლო, მაყვალი	2.26	50,688	50,688	100%
სულ	68.4	2,535,888	2,535,888	100%

კენკროვანი კულტურების ნათესი ფართობები რეგიონების მიხედვით (2019 წ.)		
რეგიონი	ნათესი ფართობი (ჰა)	წილი მთლიან ნათეს ფართობში
გურია	15.95	23%
იმერეთი	26.34	38%
მცხეთა-მთიანეთი	7.79	11%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	17.61	26%
შიდა ქართლი	0.75	1%
სულ	68.44	100%


წყარო: 2019 წლის MEPA-ს წლიური ანგარიში¹⁵⁸ და ავტორის გამოთვლები ამ ანგარიშის საფუძველზე

2015 წლიდან 2019 წლის ბოლომდე ვანისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში გაშენდა სულ 2 სანერგე მეურნეობა, რომელთა წლიური წარმოება 100000 ნერგია.

158 წყარო: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/35451>


დანართი 7: მიწის ფართობი – პროგრამის ბენეფიციარების სიხშირის განაწილება სქესისა და წლის მიხედვით

გრაფიკი 14.
 მიწის ფართობი კაცების შემთხვევაში



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მონოლებულ მონაცემებზე დაყრდნობით


გრაფიკი 15.
 მიწის ფართობი ქალების შემთხვევაში



დანართი 8: განდერული პროფილი ტოპ 20 ბენეფიციარისთვის

გრაფიკი 16.


ტოპ 20 ბენეფიციარი ქალი



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით

გრაფიკი 17.

ტოპ 20 ბენეფიციარი კაცი.



წყარო: ავტორის გამოთვლები RDA-ს მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით

დანართი 9: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები

RDA

მონაწილეები: პროექტების ოპერაციის დეპარტამენტი; პროექტების განვითარების დეპარტამენტი; კოოპერაციების განვითარების და მართვის დეპარტამენტი; ანგარიშგების და ბიუჯეტის განყოფილება ფინანსთა დეპარტამენტში.

ტიპი: სიღრმისეული ონლაინ ინტერვიუები.

თარიღები: 2020 წლის 29 მაისი, 4 და 19 ივნისი.

ზოგადი ინფორმაცია

- პროგრამის „დანერგე მომავალი“ განვითარების იდეა ემყარებოდა მოცემულ რეალობას, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის უმეტესობა არ იყო დამუშავებული. პროგრამა შემუშავდა საჭიროებების შეფასებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული წინა ორი სოფლის მეურნეობის პროგრამის შედეგების გათვალისწინებით: 1) მცირე და საშუალო ფერმერების პროგრამების მხარდაჭერა და 2) შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების პროგრამის მხარდაჭერა.
- პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბიუჯეტი დამოკიდებულია მოთხოვნაზე. თუ მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე პროგრამის ბიუჯეტი, პროგრამა შეეცდება მიიღოს დამატებითი დაფინანსება.
- პროგრამაში არ არის გენდერული კრიტერიუმები.
- გენდერულ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების მოთხოვნის გამო, RDA-ს აქვს გენდერული კუთხით მონაცემების დამუშავების გამოცდილება.
- პროგრამის ფარგლებში გარკვეული ხარჯები (მაგ. მიწის ნაკვეთის შემოღობვა, საყრდენი ბოძების შეძენა, აუდიტის სერვისები) პირდაპირ ფინანსდება განმცხადებლების მიერ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ფერმერების ინტერესშიც უნდა იყოს ამ ხარჯების და-

ფინანსება, რადგან, საბოლოოდ, მომავალში ისინი იღებენ სარგებელს.

მონიტორინგი და შეფასება

- RDA სხვადასხვა პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების¹⁵⁹ პროცესში ახორციელებს სხვადასხვა სახის ანალიზს. ამასთან, რადგან „დანერგე მომავალს“ არ აქვს კონკრეტული გენდერული კრიტერიუმები (არსებობს სხვა პროგრამები, რომლებსაც აქვთ გარკვეული გენდერული კრიტერიუმები), მონაცემები არ არის გაანალიზებული გენდერულ ჭრილში.
- RDA-ს მონიტორინგის განყოფილება პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მონიტორინგზე. თუმცა მხოლოდ სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოები არიან ჩართულები ბენეფიციარების მიწის ნაკვეთებზე უშუალო დაკვირვებაში. ზოგადად, პროგრამის მონიტორინგი არ არის მათი პირდაპირი პასუხისმგებლობა.
- იმ შემთხვევებში, როდესაც პროგრამის ბენეფიციარი არ ასრულებს ვალდებულებებს, ეს საკითხი რეგულირდება ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისი პირობებით – სავალდებულო დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში ჯარიმა 50 ლარს შეადგენს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბენეფიციარს ეკისრება ჯარიმა, რომელიც

159 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დებულება (ამავე სააგენტოს დირექტორის ბრძანება N 1-4 / 211, 28/05/2020), მუხლი 6.

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; ნაწილი 6.13. ბენეფიციართა მონიტორინგის განყოფილება.

ერიცხება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და შეადგენს სახელმწიფოსგან მიღებული თანხის 0.05%-3%-ს.

ცნობიერება

პროგრამის პოპულარიზაციასა და პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ბენ, რადგან ისინი უშუალოდ ურთიერთობენ ადგილობრივ მოსახლეობასა და ფერმერებთან. გარდა ამისა, RDA-ს წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ მუნიციპალიტეტებს და ატარებენ შეხვედრებს ადგილობრივ ფერმერებთან. RDA-ს ცხელი ხაზიც ამ პროცესის მთავარი მოთამაშეა. ზოგადად, სააგენტო ცდილობს გამოიყენოს ყველა საინფორმაციო არხი.

ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიები

მონაწილეები: მრავალპროფილიანი ქიმიური ლაბორატორია საკვები და ნიადაგის მინერალებისთვის; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ლაბორატორიული ცენტრი; ნიადაგისა და საკვების დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“.

ტიპი: სატელეფონო ინტერვიუები.

თარიღები: 2020 წლის 12 და 17 ივნისი.

ზოგადი ინფორმაცია

- ყველა ლაბორატორია სათანადოდ არის ინფორმირებული პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ, აქვს დეტალური ინფორმაცია სტანდარტების შესახებ და ესმის, რა სჭირდებათ მათგან ბენეფიციარებს.
- ერთ-ერთი ლაბორატორია ემსახურება პროგრამა „დანერგე მომავლის“ ბენეფიციართა დაახლოებით 80%-ს.
- პროგრამის ბენეფიციარებზე ვრცელდება შეღავათიანი ფასები. პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებისათვის შეთავაზებული ფასი დაბალია, ვიდრე ფასი, რომელსაც სთავაზობენ მათ, ვინც არ მონაწილეობს პროგრამაში (მომსახურების საბაზრო ფასი).
- გარდა ამისა, მომსახურების ფასი განსხვავდება ლაბორატორიების მიხედვით. რესპონდენტის თქმით, ერთ-ერთ ლაბორატორიას აქვს ოდნავ მაღალი ფასები, რადგან ისინი უფრო მაღალხარისხიან კვლევას ატარებენ (ისინი ორჯერ ატარებენ ლაბორატორიულ კვლევას, რათა შედეგებს ჰქონდეთ უფრო მეტი სანდოობა).
- წლების განმავლობაში მომსახურების ფასი ოდნავ გაიზარდა, 375 ლარიდან 2015 წელს 398 ლარამდე 2020 წელს.

- პროგრამის ბენეფიციარებისთვის ერთი ლაბორატორიის მომსახურების ჯამური ღირებულებაა 250 ლარი (ჯამური ლაბორატორიული დანახარჯები) და დამატებით კონსულტანტების ტრანსპორტირების ხარჯები.
- ნიადაგის ნიმუშის აღების ფასი ერთნაირია ყველა ბენეფიციარისთვის და არ განსხვავდება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, თუმცა ტრანსპორტირების ხარჯები განსხვავებულია.
- მომხმარებელს შეუძლია თავად უზრუნველყოს ტრანსპორტირება ან მას მოუწევს აანაზღაუროს ტრანსპორტირების ხარჯები ლაბორატორიისთვის (ადგილმდებარეობიდან გამომდინარე).
- სპეციალისტები ერთი ვიზიტის განმავლობაში სტუმრობენ იმავე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს თითო ბენეფიციარზე.
- ოფიციალურად, ნიადაგის კვლევას 1 თვე სჭირდება, თუმცა პრაქტიკაში ლაბორატორიული კვლევის შედეგების მისაღებად საჭიროა 10 დღე – 2 კვირა.

სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) რეგიონული ურთიერთობების დეპარტამენტი

მონაწილეები: RDA-ს რეგიონული კოორდინატორები/რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები.

ტიპი: სატელეფონო ინტერვიუები (სულ 10 ინტერვიუ, რომელთაგანაც 9 ჩატარდა RDA-ს რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებთან, ხოლო 1 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში RDA-ს კოორდინატორთან) სულ თერთმეტი ინტერვიუ).

თარიღები: 2020 წლის 12 ივნისი და 2 ივლისი.

რეგიონული კოორდინატორები და RDA-ს რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო პროგრამების შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიას შესაბამის რეგიონებში/ქალაქებში/სოფლებში ახორციელებენ. სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოების წარმომადგენლები, როგორც წესი:

- რეკომენდაციებსა და რჩევებს აძლევენ დაინტერესებულ ადამიანებს/პირებს, რომლებიც გეგმავენ განაცხადის შეტანას რომელიმე სასოფლო-სამეურნეო პროგრამაში ან უკვე არიან რომელიმე პროგრამის ბენეფიციარები;
- განმცხადებლებს ეხმარებიან დოკუმენტების მომზადებაში, რათა მათ დააკმაყოფილონ პროგრამის კრიტერიუმები (მაგ. მიწის რეგისტრაციისა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები და ა.შ.);
- განმცხადებლებს ეხმარებიან შესაბამისი დოკუმენტების ელექტრონულად ატვირთვაში;
- განმცხადებლებს აკავშირებენ შესაბამის ლაბორატორიასთან, სადაც მათ მიწის ანალიზის ჩატარება შეუძლიათ;
- აფასებენ, აქვს თუ არა განმცხადებლის მიწის ნაკვეთს წვდომა საბაზისო სერვისებზე (ელექტროენერგია, წყალი და ა.შ.);
- ატარებენ მიწის წინასწარ ანალიზს (განსხვავდება ლაბორატორიული ანალიზისგან, რომელიც ტარდება ქვეყნის მასშტაბით სამი სხვადასხვა ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის მიერ) პროგრამაში განაცხადის გაკეთებამდე, რათა გაირკვეს, არის თუ არა მიწა გამოსადევი კონკრეტული კულტურისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი გასცემენ ამის დამამტკიცებელ სერთიფიკატს;
- ბენეფიციარებს ეხმარებიან შესაბამის ექსპერტებთან ან კონსულტანტებთან დაკავშირებაში;

- ბენეფიციარებს ეხმარებიან სამეცნიერო ცენტრებსა და მექანიზაციის ექსპერტებთან დაკავშირებაში;
- ბენეფიციარებს უხსნიან კონკრეტული კულტურების გაშენებისა და მოვლის წესებს;
- პროგრამის ბენეფიციარებს ეხმარებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;
- აგროვებენ მონაცემებს (დამუშავებული და ნათესი ფართობები, აღებული მოსავალი, ზოგადი სტატისტიკა, პროგნოზები და ა.შ.);
- განსაკუთრებულ როლს ასრულებენ მონიტორინგში – დამუშავებული მიწის ნაკვეთების ფოტოების გადაღება დაფინანსების შემდეგ, შესაბამისი აღწერილობის შედგენა და RDA-ს შესაბამის დეპარტამენტში გაგზავნა. არსებობს რამდენიმე მაგალითი, როდესაც ბენეფიციარის ნაკვეთი საჩვენებელ ნაკვეთად იქნა გამოყენებული.

სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოების მიერ რეგიონების მოსახლეობასა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონტაქტის დროს გამოყენებული ძირითადი საკომუნიკაციო არხების არასრული ჩამონათვალი არის შემდეგი:

- პერიოდული შეხვედრები/ვიზიტები რეგიონის მოსახლეობასა და სოფლის რწმუნებულებთან;
- დაინტერესებული მხარეების მიერ რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოების ოფისებში ვიზიტები;
- ზოგ შემთხვევაში რეგიონში მოსახლეობის ჟურნალებით უზრუნველყოფა (მაგალითად, MEPA ყოველთვიური ჟურნალი „ჩვენი სოფელი“) და მათთვის ინფორმაციის მიწოდება სექტორში არსებული სახელმწიფო სტრატეგიების შესახებ;

- სექტორში სახელმწიფო პროგრამების შესახებ გამოცემული ბუკლეტების დარიგება;
- რეგიონული ცენტრის საჯარო რეესტრისთვის საინფორმაციო ბუკლეტებისა და გაზეთების მიწოდება;
- სატელეფონო ზარები (კერძო ზარები; ცხელი ხაზები ხელმისაწვდომია მხოლოდ უშუალოდ MEPA/RDA-სთვის);
- ინტერნეტი (ვებ-გვერდები), სოციალური ქსელი, ჩათები (მაგ. Viber), შეტყობინებები, მედია, ტელევიზია (რაც განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ინდივიდუალურ პროექტებში განცხადებების მიღების დაწყებისას) და ა.შ.

ძირითადი მიგნებები და გამონკვევები (მათ შორის გენდერული)

- ინფორმაციის ნაკლებობაა პროგრამისა და მისი სარგებლის შესახებ. ასევე, პროგრამის განმცხადებლებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მათ უნდა წარმოადგინონ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად;
- პროგრამა მოითხოვს ძალიან ბევრ დოკუმენტს – ეს ართულებს პროცესს;
- არსებობს პრობლემები/გამონკვევები მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მოპოვებისას¹⁶⁰;
- პროგრამის მონაწილეთა უმეტესობა კაცია, რადგან, ზოგადად, მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობა კაცია¹⁶¹, მიწის მეურვეებიც, ძირითადად, კაცები არიან. მიწის მეურვე ქალების რამდენიმე მაგალითიც არსებობს. ზოგიერთ პროგრამაში ბევრი ქალი არის ქონების თანამესაკუთრე;
- რადგან „დანერგე მომავალი“, ძირითადად, ბაღის გაშენებას ეხება, პროგრამით ქალები ხშირად ინტერესდებიან. ქალებს ხშირად

- თავიანთი ქმრები მიჰყავთ თან, რათა პროგრამაში მონაწილეობაზე განაცხადი შეიტანონ (რადგან მიწის მესაკუთრეები ქმრები არიან¹⁶²);
- პროგრამაში „ვენკროვნების“ ქვეკომპონენტის დანერგვის შემდეგ, ქალები უფრო მეტად დაინტერესდნენ ამ პროგრამით, რადგან ამ ქვეკომპონენტში მოთხოვნა მხოლოდ 0.15 ჰა მიწის ნაკვეთზეა, რისი დაკმაყოფილებაც ქალებს შედარებით მარტივად შეუძლიათ¹⁶³;
- რამდენიმე რეგიონში მიწის ფართობთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილება პრობლემას წარმოადგენს – მოსახლეობა ვერ ერთვება პროგრამაში, რადგან ზოგიერთ რეგიონში მეურნეობები ფლობენ მცირე ზომის მიწის ნაკვეთებს;
- ადამიანები ვერ ერთვებიან პროგრამაში, რადგან არსებობს პრობლემები საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნასთან დაკავშირებით (მაგალითად, ელექტროენერგია, წყალი და ა.შ.);
- მიწის დამუშავება რთული ფიზიკური სამუშაოა, გარდა ამისა, ქალებს ბევრი საქმე აქვთ სახლში – ამიტომ მათ ნაკლები ინტერესი აქვთ პროგრამის მიმართ;
- განმცხადებლების ტექნოლოგიური ცოდნა დაბალია და არ განსხვავდება სქესის მიხედვით – განმცხადებლებს ეძლევათ წერილობითი ფორმით ყველა საჭირო დოკუმენტის ჩამონათვალი განაცხადის წარსადგენად;
- ფერმერებს სჭირდებათ ტრენინგები, რათა გაზარდონ ცოდნა კონკრეტული ტიპის კულტურების გაშენებისა და მოვლის შესახებ;
- ქალები უფრო ხშირად საუბრობენ პროგრამის შესახებ მეზობლებთან, ვიდრე კაცები, და ზოგადად, სოფლებში საჭირო ინფორმაციას ძირითადად ქალები ავრცელებენ.

160 სასოფლო-სამეურნეო მიწების 30%-ზე ნაკლებია დარეგისტრირებული.

161 „დანერგე მომავლის“ ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია კონკრეტული მიწის ნაკვეთის შესაბამისი ზომა (ავტორის შენიშვნა).

162 Ibid.

163 ქალის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ზომა, ძირითადად, 0.5 ჰა-ზე ნაკლებია.

ფონდი ტასო

ტიპი: სატელეფონო ინტერვიუ.

თარიღი: 2020 წლის 13 ივლისი.

ფონდი ტასო უშუალოდ არ მონაწილეობდა „დანერგე მომავლის“ პროგრამაში, რადგან ქალები ხშირად არ აკმაყოფილებენ ამ პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და, შესაბამისად, ინტერესი ნაკლებია – როდესაც ისინი გაეცნობიან პროგრამის პირობებს, მათ უკვე იციან, რომ მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მასში.

მთავარი მიგნებები და გამომწვევები

- ზოგიერთ სოფელში ინფორმაციის გავრცელების სირთულე;
- ინტერნეტზე ან კომპიუტერზე წვდომის არარსებობა;
- კომპიუტერის გამოყენების შესახებ ცოდნის ნაკლებობა;
- განაცხადების შევსების გამოცდილების ნაკლებობა ქალებში;
- ქალებში მოტივაციის ნაკლებობა, მიიღონ მონაწილეობა პროგრამაში, იმ პროექტების სიმრავლის გამო, რომელთაც ხელმძღვანელობენ კაცები;
- ორგანიზაციის მიმართ ნდობის ნაკლებობა, ვინაიდან ყოფილა შემთხვევები, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები გარკვეული პროექტების შესრულების პირობებს დებენ, თუმცა პროექტებს შემდეგ აღარ ასრულებენ;
- კაცებისგან განსხვავებით, ქალები ნაკლებად მობილურები არიან (კაცებს შეუძლიათ სხვებს სთხოვონ გამგზავრება ნებისმიერი დანი-

შნულების ადგილას ან სხვისი მეშვეობით შეავსონ განაცხადი, ქალებს კი ხშირად არ შეუძლიათ მართო გადაადგილება, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში);

- ქალები ხშირად არ ფლობენ ისეთ ნაკვეთებს, რომელთა ფართობიც აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს;
- მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები;
 - ქართული დასახლებებისაგან განსხვავებით, მაგალითად, მარნეულში (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული), ოჯახებში სქესის მიხედვით ქონების საკუთრების საკითხები თანდათან რეგულირდება – ბოლო პერიოდში ქალები დაბადებიდან ქონების თანამესაკუთრებად რეგისტრირდებიან.

ხშირად საჭიროა სხვადასხვა სასწავლო კურსებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება;

- სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება (ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში) და კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობა;
- მოთხოვნა კულინარიის სპეციფიკურ კურსებზე;
- ფსიქოლოგიის კონსულტაციის აუცილებლობა ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ტიპი: ონლაინ ინტერვიუ.

თარიღი: 2020 წლის 14 ივლისი.

ISET-PI-მა ჩაატარა რამდენიმე კვლევა სოფლის მეურნეობის სექტორში. ამ კვლევებისა და ISET-PI-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა სხვადასხვა ასპექტი. ის, რომ, ზოგადად, ითვლება, რომ კენკრა ყველაზე

მაღალ შემოსავალს იძლევა ჰექტარზე, ეხება საქართველოს. სოფლის მეურნეობისა და მეხაღებლის სექტორი სპეციფიკურია და მოითხოვს სხვადასხვა ტექნიკურ საქმიანობას. ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა შენამღვა, ჭრა და

მსგავსი ტიპის სამუშაოები, ძირითადად, კაცები ასრულებენ, ქალები კი, მეტწილად, კენკრის კრეფით არიან დაკავებული. როგორც პრაქტიკული გამოცდილებიდან არის ცნობილი, ბევრი ადგილობრივი სოფლად მაცხოვრებელი ქალი აპირებს, ისარგებლოს კენკრის ქვეკომპონენტით და მიმართოს პროგრამას.

მთავარი მიგნებები და გამოწვევები

- პროგრამის მიერ მოთხოვნილი მიწის ზომა დიდია და უნდა შემცირდეს;
- ცოდნის ნაკლებობა და სამუშაო ძალის სიმცირე;
- სექტორში ქალების კავშირების ნაკლებობა ხელს უშლის მათ მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე აქტიურად ჩართვას;
- ქალები ხშირად არ აღიქმებიან სერიოზულად თავიანთი კაცი კოლეგების მიერ.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ტიპი: ონლაინ ინტერვიუ.

თარიღი: 2020 წლის 16 ივლისი.

ფერმერთა ასოციაციას აქვს მრავალი პროექტი ამ სფეროში, რომლებიც მხარს უჭერს ქალებს და ხელს უწყობს ქალების ჩართულობას (მათ შორის UN Women პროექტები).

2019 წელს ფერმერთა ასოციაციამ RDA-ს გაუგზავნა კომენტარები პროგრამა „დანერგე მომავლის“ შესახებ. ეს შენიშვნები ეხებოდა კენკრის ქვეკომპონენტს და ისინი სააგენტომ გაითვალისწინა. ასოციაციას არ ჰქონდა გენდერთან

დაკავშირებული შენიშვნები. პროგრამას არანაირი შეზღუდვა არ ჰქონია გენდერთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ფერმერთა ასოციაციას ჰქონდა შენიშვნები მიწის ზომის შესახებ (რაც თავისთავად გენდერულად მგრძნობიარე საკითხია).

ფერმერთა ასოციაციის თანახმად, დონორი ორგანიზაციების პროგრამებში ყოველთვის არსებობს გენდერული კრიტერიუმები, განსხვავებით სახელმწიფო პროგრამებისა.

ბიბლიოგრაფია

- გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის მთავრობა, კავშირი „საფარი“ (2017 წ.). ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/uploads/other/86/86670.pdf>
- გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის მთავრობა, საქართველოს პარლამენტი (2018 წ.). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ნაწილი 2. ხელმისაწვდომია: http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/84646/ENG_Volume2_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_ENG
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა (2018 წ.). სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება საქართველოში. ხელმისაწვდომია: <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/agri%20and%20local%20dev%20georgia.pdf?la=en&vs=4604>
- საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო (2019 წ.). სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა. ხელმისაწვდომია: http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/125318/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83
- Asian Development Bank. (2006). Gender Checklist: Agriculture. Asian Development Bank. Retrieved from <https://think-asia.org/bitstream/handle/11540/2443/agri2.pdf?sequence=1>
- Chakraborty, L. (2016). *Asia: A Survey of Gender Budgeting Efforts*. International Monetary Fund (IMF), Strategy, Policy, and Review and Research Departments. 2016 International Monetary Fund. Retrieved October 2020, from <https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2016/wp16150.pdf>
- Croppenstedt, A., Goldstein, M., & Rosas, N. (2013). *Gender and Agriculture: Inefficiencies, Segregation, and Low Productivity Traps*. The World Bank, Capacity Building Unit. Retrieved from <http://documents.worldbank.org/curated/en/957311468161359832/pdf/wps6370.pdf>
- Doss, C. (2011). *If women hold up half the sky, how much of the world's food do they produce?* The Food and Agriculture Organization of the United Nations, Agricultural Development Economics Division. Retrieved from <http://www.fao.org/3/a-am309e.pdf>
- EIGE. (2016). *Gender in Agriculture and Rural Development*. European Institute for Gender Equality. Retrieved from <https://eige.europa.eu/publications/gender-agriculture-and-rural-development>
- European Commission. (2012). EU Agricultural Economic Briefs. *WOMEN IN EU AGRICULTURE AND RURAL AREAS: HARD WORK, LOW PROFILE*. Retrieved from https://ec.europa.eu/info/sites/info/files/food-farming-fisheries/farming/documents/agri-economics-brief-07_en.pdf
- FAO. (2011). Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, Italy: FAO 2011. Retrieved from <http://www.fao.org/3/i2050e/i2050e.pdf>
- FAO. (2018). *Gender, agriculture and rural development in Georgia - Country Gender Assessment Series*. Rome: FAO. Retrieved from <http://www.fao.org/3/ca0577en/CA0577EN.pdf>
- Farnworth, C. R. (2010). *Gender Aware Approaches in Agricultural Programmes: A study of Sida-supported Agricultural Programmes*. Swedish International Development Cooperation Agency, Sida. Sida, 2010. Retrieved from <https://www.sida.se/contentassets/45e74879e0c94430bc85f466b2418e85/15017.pdf>
- Gallina, A. (2010). *Gender Aware Approaches in Agricultural Programmes - International Literature Review*. Swedish International Development Cooperation Agency, Sida. Edita

2010. Retrieved from <https://www.sida.se/contentassets/7d8e7381a9644c0b83df399f2c837e74/15012.pdf>
- Giroud, A., & Huaman, J. S. (2019). Investment in agriculture and gender equality in developing countries. *Transnational Corporations*, 26. Retrieved from https://unctad.org/en/PublicationChapters/diaeia2019d3a4_en.pdf
- Johnson, N. L., Kovarik, C., Meinzen-Dick, R., Njuki, J., & Qisumbing, A. (2016). Gender, Assets, and Agricultural Development: Lessons from eight Projects. *World Development*, 83, 295-311. Retrieved from <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0305750X16000073>
- Khatiwada, S. P., Deng, W., Paudel, B., Khatiwada, J. R., Zhang, J., & Wan, J. (2018). A Gender Analysis of Changing Livelihood Activities in the Rural Areas of Central Nepal. *Sustainability*, 10(11). Retrieved from <https://www.mdpi.com/2071-1050/10/11/4034/html>
- Nischalke, S., Wondimagegnhu, B. A., & Keding, G. B. (2018). Gender challenges in horticultural research in Ethiopia and Madagascar. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/326603720_Gender_challenges_in_horticultural_research_in_Ethiopia_and_Madagascar
- Secretariat of the SDGs. (2020). *Voluntary National Review*. Administration of the Government of Georgia, Interagency Council of Georgia. Retrieved from https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/26389VNR_2020_Georgia_Report.pdf
- Sexsmith, K. (2017). *Promoting Gender Equality in Foreign Agricultural Investments: Lessons from voluntary sustainability standards*. International Institute for Sustainable Development. Retrieved from <https://www.iisd.org/sites/default/files/publications/promoting-gender-equality-foreign-agricultural-investments.pdf>
- SOFA Team and Cheryl Doss. (2011). The role of women in Agriculture. The Food and Agriculture Organization of the United Nations, Agricultural Development Economics Division. Retrieved from <http://www.fao.org/3/am307e/am307e00.pdf>
- Tripathi, D., A.K., D., Babu, D., & Srinath, D. (Eds.). (2012). Role of Women in Horticulture and women friendly technologies. Bhubaneswar, Orissa, India: Directorate of Research on Women in Agriculture. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/303802575_Role_of_Women_in_Horticulture_and_women_friendly_technologies
- UN Women, UNDP, UNEP, and the World Bank Group. (2015). *The Cost of the in Agricultural Productivity in Malawi, Tanzania, and Uganda*. 2015 UN Women, UNDP, UNEP, and the World Bank Group. Retrieved from https://www2.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/library/publications/2015/costing%20gender%20gap_launch.pdf?v=1&d=20151015T142608
- V. Delgado, M. K. (n.d.). *Gender-Responsive Planning and Budgeting at the National Level: The Philippine Experience*. Office of the President, Philippine Commission on Women. Retrieved October 2020, from <https://www.unescap.org/sites/default/files/2.%20The%20Philippines.pdf>
- WB, FAO and IFAD. (2009). *Gender in Agriculture (Sourcebook)*. Washington, DC: The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. Retrieved from <http://www.fao.org/tempref/docrep/fao/011/aj288e/aj288e.pdf>
- World Bank Group, FAO, IFAD. (2015). *Gender in Climate-Smart Agriculture: Module 18 for Gender in Agriculture Sourcebook*. World Bank Group, FAO and IFAD. Retrieved from <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/22983/Gender0in0clim0riculture0sourcebook.pdf?sequence=1&isAllowed=y>



გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
კავსადის ქ. #3, ოფისი 11, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

www.unwomen.org
www.georgia.unwomen.org